

საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფნის არეალში მიწისზედა ძეგლთა შესწავლა

III ფაზის ანგარიში



საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფნის
არეალში მიწისზედა ძეგლთა შესწავლა**

III ფაზის ანგარიში

თბილისი 2003

საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი და პროექტის მონაწილეები მადლობას უხდებიან BTC Co-ს, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას და არქეოლოგიური კვლევის ცენტრს პროექტის მხარდაჭერისათვის.

ასევე მადლობა ყველა იმ პიროვნებას და ორგანიზაციას, ვინც ხელი შეუწყო პროექტის განხორციელებას.

კონტრაქტი: **N C-02-BTC-51961-002** და **N C-03-BTC-52923**

პროექტის დამკვეთი:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კომპანია (BTC Co)

პროექტის შესრულება უზრუნველყო:

გენერალური კონტრაქტორი - **არქეოლოგიური კვლევის ცენტრი**

ქვეკონტრაქტორი - **საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი**

პროექტის შემსრულებელი:

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს

საქართველოს ეროვნული კავშირი (საქართველოს ICOMOS -ის კავშირი)

პროექტის ძირითადი მონაწილეები:

- | | |
|-------------------------|--------------------------|
| პროექტის ხელმძღვანელი | - მერაბ ბოჭორიძე |
| არქეოლოგი | - ლალი ახალაია |
| ხელოვნებათმცოდნეები | - ირინე ელიზბარაშვილი |
| | - მანანა სურამელაშვილი |
| | - ციციხოველი ჩაჩუნაშვილი |
| არქიტექტორები | - ლია ბოკუჩავა |
| | - ეთერ მახათელაშვილი |
| | - გიორგი გუგუშაშვილი |
| ტოპოგრაფი | - ალექსანდრე თევზაძე |
| კომპიუტერული დამუშავება | - თამაზ ჩხაიძე |
| ანგარიშის რედაქტირება | - ლალი ჭურდულია |

შ ი ნ ა ა რ ს ი

პრეამბულა	4
ძეგლი 1. kp-29 მუსლიმანური სასაფლაო	7
ძეგლი 2. kp-59 მენჭირი	11
ძეგლი 3. kp-75 დადეთ-ხაჩინი, ეკლესია სოფლის გარეთ	17
ძეგლი 4. kp-84 მენჭირი	24
ძეგლი 5. kp-85 ნასოფლარი ნაჭიგჭაგები	29
ძეგლი 6. kp-87 ნასოფლარი მდინარე ჭიგჭავის ხეობაში	52
ძეგლი 7. kp-88 ახლად გამოვლენილი ეკლესია	70
ძეგლი 8. kp-89 ნასოფლარი ტყემლარა	85
ძეგლი 9. kp-91 ნადარბაზევის კომპლექსი	106
ძეგლი 10. kp-93 ტახტისწყაროს ნასოფლარი და ეკლესია	130
ძეგლი 11. kp-124 ციკლოპური ციხე და ეკლესია “აი ილია”	149
ძეგლი 12. kp-140 მენჭირი “ქვაკაცი”	154
ძეგლი 13. kp-185 ნასოფლარი მდინარე ცხრაწყაროს ხეობაში	159
ძეგლი 14. kp-185 წმინდა მარიაშის ეკლესია და ნამოსახლარი	173
ძეგლი 15. kp-186 ციხისჯვარი, ნასოფლარი ეკლესიით	178
ძეგლი 16. kp-194 ქვაყრილები	183
ძეგლი 17. kp-195 ნასოფლარი ორწო	194
ძეგლი 18. kp-196 ისტორიული გზა სოფელ საკირის მიდამოებში	205
ძეგლი 19. kp-199 საკირის ციხე, წმ. გიორგის ეკლესია და ნამონასტრალი	218
ძეგლი 20. kp-199 ნამოსახლარი საკირის ციხის მიდამოებში	252
ძეგლი 21. kp-201 ტაძრისის მონასტერი	258
ძეგლი 22. kp-245 “ირქის” წმ. გიორგის ეკლესია	285
ფოტოლოგი	290

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფნის არეალში მიწისზედა ძეგლების შესწავლა

III ფაზის ანგარიში

პრეამბულა:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის არეალში არსებული მიწისზედა ძეგლების შესწავლის III ფაზის მთავარ მიზანს წარმოადგენდა დაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა იმ ძეგლებისათვის, რომლებმაც შესაძლოა განიცადონ ზემოქმედება ან ხელყოფა მილსადენის პროექტის განხორციელების დროს.

მიწისზედა ძეგლების III ფაზის სამუშაო განსაზღვრულია დოკუმენტით: "საქართველოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სამშენებლო დერეფანში მოქვეყნებული ძეგლების დაცვის გეგმა", რომელიც შემუშავდა კომპანია "URS"-ის მიერ საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ექსპერტებთან შეთანხმებით (2003 წ.), ხოლო სამუშაო მოცულობები და მიმდინარეობის გრაფიკი დადგინდა მემორანდუმით (2003 წ. 1 თებერვალი).

BTC მილსადენის დერეფნის არეალში გამოვლენილი 162 ძეგლიდან პოტენციური ზემოქმედების საფრთხის მიხედვით III ფაზის სამუშაო დაიგეგმა 22 ძეგლზე:

- ძეგლი 1. მუსლიმანური სასაფლაო, kp-29
- ძეგლი 2. მენჰირი, kp-59
- ძეგლი 3. ეკლესია სოფლის გარეთ, kp-75
- ძეგლი 4. მენჰირი, kp-84
- ძეგლი 5. ნასოფლარი ნაჭივჭავეები, kp-85
- ძეგლი 6. ნასოფლარი მდინარე ჭივჭავის ხეობაში, kp-87
- ძეგლი 7. ახლად გამოვლენილი ეკლესია, kp-88
- ძეგლი 8. ნასოფლარი ტყემლარა, kp-89
- ძეგლი 9. ნადარბაზევის კომპლექსი, kp-91
- ძეგლი 10. ტახტისწყაროს ნასოფლარი და ეკლესია, kp-93
- ძეგლი 11. ციკლოპური ციხე და ეკლესია “აი ილია”, kp-124
- ძეგლი 12. მენჰირი “ქვაკაცი”, kp-140
- ძეგლი 13. ნასოფლარი მდინარე ცხრაწყაროს ხეობაში, kp-185
- ძეგლი 14. წმინდა მარიამის ეკლესია და ნამოსახლარი, kp-185
- ძეგლი 15. ნასოფლარი ეკლესიით, kp-186
- ძეგლი 16. ქვაყრილები, kp-194
- ძეგლი 17. ნასოფლარი ორწო, kp-195
- ძეგლი 18. ისტორიული გზა სოფელ საკირის მიდამოებში, kp-196
- ძეგლი 19. საკირის ციხე, წმ. გიორგის ეკლესია და ნამონასტრალი, kp-199
- ძეგლი 20. ნამოსახლარი საკირის ციხის მიდამოებში, kp-199
- ძეგლი 21. ტაძრის მონასტერი, kp-201
- ძეგლი 22. “ირქის” წმ. გიორგის ეკლესია, kp-245

ამ ძეგლების ერთი ნაწილი მდებარეობს მილსადენის დერეფნის უშუალო სიახლოვეს, ნაწილი ვრცელდება სამანქანო გზის პირას, ბანაკისა, თუ საქაჩის მახლობლად, ანუ იმ ტერიტორიაზე, სადაც მილსადენის მშენებლობის პროცესში სავარაუდოა პირდაპირი ზემოქმედება.

ამ ფაქტორებისა და ძეგლების თავისებურების გათვალისწინებით შერჩეული 22 ძეგლიდან 10 ძეგლზე ჩატარდა მოკლევადიანი სამუშაო, რომლის დროსაც მოხდა ძეგლის გავრცელების საზღვრების დაზუსტება, გზასთან და მილსადენის კორიდორთან მიმართების დადგენა და რუკაზე დატანა; განისაზღვრა მათი დაცვის ზონა.

დანარჩენ 12 ძეგლზე დაიგეგმა არსებული მდგომარეობის დოკუმენტაციის შედგენა.

ამისათვის საველე ეტაპზე განხორციელდა შემდეგი ხასიათის სამუშაო:

- არსებული მდგომარეობის ფიქსაცია (აღწერილობითი, გრაფიკული, ფოტო და ტოპოგრაფიული);
- ძეგლის გავრცელების საზღვრების შესწავლა, გზასთან და მილსადენის კორიდორთან მიმართების დადგენა და რუკაზე დატანა.

სამუშაოს შემდგომ ეტაპზე, მოპოვებული მასალის ლაბორატორიული კვლევის შედეგად გადამუშავებული დოკუმენტაცია წარმოდგენილია III ფაზის ანგარიშში.

დოკუმენტაცია ცალკეულ ძეგლზე შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- ტექსტი, სადაც მოცემულია – ზუსტი კოორდინატები, მიმართება გზასა და მილსადენთან, ადგილმდებარეობის დახასიათება, ძეგლის ფიზიკური მდგომარეობის აღწერა, თავისებურებებისა და მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრება, თარიღი, ზედაპირული გაწმენდის შედეგები და რეკომენდაციები დაცვითი ღონისძიებებისათვის;
- გრაფიკული მასალა, რომელიც შეიცავს – გენგეგმას, გეგმას, ჭრილებს, ფასადებს და ცალკეულ მნიშვნელოვანი დეტალებს;
- ტოპოგრაფიული მასალა;
- რუკა, სადაც მონიშნულია ძეგლის მდებარეობა, გავრცელების საზღვრები, ნაჩვენებია მიმართება მილსადენთან და გზასთან;
- ფოტო მასალა, რომლის ნაწილი თან ერთვის ანგარიშის ტექსტურ ვარიანტს ილუსტრაციების სახით და ფოტოლოგი, რომელიც ანგარიშის ელექტრონულ ვერსიაშია წარმოდგენილი.

III ფაზის სამუშაოს შედეგად დაიგეგმა დაცვითი ღონისძიებები იმ ძეგლებისთვის, რომლებმაც შესაძლოა განიცადონ ზემოქმედება ან ხელყოფა მილსადენის მშენებლობის განხორციელების დროს.

ცალკეულ ძეგლზე შემუშავებულ რეკომენდაციებზე დაფუძნებული დაცვითი ღონისძიებები შემდეგ კატეგორიებად შეიძლება დაჯგუფდეს:

- დადგენილი დაცვითი ზონის მთლიანი ან ფრაგმენტული შემოღობვა და დამცავი ნიშნების დასმა 10 ძეგლზე;
- შემოღობვა და დამცავი ნიშნების აღმართვა ნასოფლარების, არქიტექტურული კომპლექსების და შენობათა ჯგუფების იმ მონაკვეთებში, სადაც მოსალოდნელია პოტენციური ზემოქმედება – ნასოფლარი ნაჭივჭავეების სამანქანო გზისპირა უბანი KP-85, ნასოფლარი ჭივჭავის ხეობაში KP-87, ახლად გამოვლენილი ეკლესია KP-88,

ნასოფლარი ტყემლარა KP-89, ნასოფლარი ტახტისწყარო KP-93,
ნასოფლარი ცხრაწყარო KP-181, ნასოფლარი ციხისჯვარში KP-186,
ნამონასტრალი მიწის საყდართან KP-199;

- საკონსერვაციო და გადაუდებელი გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება პოტენციური საფრთხის ქვეშ, მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფ ძეგლებზე, რომლებიც გამოირჩევა განსაკუთრებული მხატვრულ-ისტორიული ღირებულებით – ნადარბაზევის სასახლე, ტახტისწყაროს ეკლესია, საკირის ციხე-დარბაზი, ტაძრისის ეკლესიები;
- მარშრუტის შეცვლა მეგალითური კულტურის ძეგლის – ქვაყრილების მილსადენით გადაკვეთის მონაკვეთში;
- სპეციალისტების ზედამხედველობა და ვიზრაციის მონიტორინგი;
- ამას გარდა მილსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ საჭიროა შემოწმდეს ყველა შერჩეული ძეგლი, რათა განისაზღვროს განიცადა თუ არა ცვლილება მან და მიღებული იქნას სათანადო ზომები.

მუსლიმანური სასაფლაო

აღბილმდებარეობა	8
მიმართება მილსაღენთან.	8
მოკლე აღწერა	8
ღაცვითი რეკომენდაციები.	8
გავრცელების საზღვრები რუკაზე.	9
ფოტომასალა	10

მუსლიმანური სასაფლაო

(XIX-XX სს.)



აღბილმდებარეობა:

ისტორიული მხარე - ქვემო ქართლი

რაიონი - გარდაბანი

სოფელი - აღთაქლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1.5 კმ-ში

მიღსაღენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – kp-29

მიმართება მიღსაღენთან - უახლოესი მანძილი 400 მ


მოკლე აღწერა:

სამანქანო გზის ორივე მხარეს, მოქმედი მუსლიმანური სასაფლაოა განთავსებული. იგი საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება და ძველ სასაფლაოსაც შეიცავს. ვერტიკალურად დაყენებული მუქი ღვინისფერი და მორუხო-მოყვითალო ფერის ძველი საფლავის ქვები გეომეტრიული, ასტრალური და მცენარეული ორნამენტული მოტივებით არის შემკული; ასევე მრავალ საფლავის ქვაზე გამოსახულია იარაღები (ხანჯალი, დანა) და საყოფაცხოვრებო ნივთები (სავარცხელი, მაკრატელი, კომბალი და სხვა), ყველა საფლავის ქვას ახლავს არაბული წარწერები. არის აგრეთვე გეგმით მრგვალი, სფერული გუმბათით დასრულებული უფრო მოგვიანო მავზოლეუმები.

დაცვითი რეკომენდაციები:

სასურველია სასაფლაოს ტერიტორიის ბაღიანი ღობის შეკეთება.

გზისპირა მონაკვეთებში პირობითი ნიშნებით მოინიშნოს გავრცელების საზღვრები.



მენჭირი

აღბილმდებარეობა	12
მიმართება მილსაღენთან	12
მოკლე აღწერა	12
დაცვითი რეკომენდაციები	12
გავრცელების საზღვრები რუკაზე	13
დაცვითი ზონის გეგმა	14
ბრაფიკული მასალა	15
ფოტომასალა	16

მენჰირი

(წინაქრისტიანული ხანა)



ადგილმდებარეობა:

ისტორიული მხარე - ქვემო ქართლი
რაიონი - თეთრიწყარო
სოფელი - ხაიში

მილსადენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – **kp-59**

მიმართება მილსადენთან - უახლოესი მანძილი 200 მ

მოკლე აღწერა:

სოფელ ხაიშის მახლობლად, სამანქანო გზის ნაპირთან ახლოს, მინდორში გდია არასწორი მოხაზულობის ბაზალტის გრძელი ლოდი, რომელსაც გვერდები და ზედაპირი დამუშავებული აქვს. მისი ერთი დაბოლოება უფრო განიერია. ქვას ატყვია ანთებული სანთლების კვალი, ადგილობრივი მოსახლეობა მას წმინდა ქვად მიიჩნევენ.


დაცვითი რეკომენდაციები:

გაუკეთდეს პირობითი აღნიშვნა და შემოიღოს ქვის გარშემო ტერიტორია ლითონის ბადით (თანახმად ნახაზისა).

დეგლი 2, ხაიში, მენპირი; კპ.-59

საზღვრების GPS კოორდინატები:

1. მენპირი - 8475752 - 4597620
2. 8475747 - 4597633
3. 8475765 - 4597626
4. 8475758 - 4597608
5. 8475740 - 4597615




ბეგლი 2, ხაიში, მენჰირი; კპ.-59

საზღვრების GPS კოორდინატები:

1. მენჰირი - 8475752 - 4597620
2. 8475747 - 4597633
3. 8475765 - 4597626
4. 8475758 - 4597608
5. 8475740 - 4597615

დაცვითი ზონის გეგმა






საქართველოს ICOMOS-ის კავშირი

პროექტის ხელმძღვანელი: - მ. ბოჭორიძე
 სპეციალისტები: - ლ. ახალაია
 - ლ. ბოჭორიძე
 კამერალური სამ. თარიღი: 01.10.2003 წ. - 07.01.2004 წ.

მეგლი 2, ხაიში; კპ.-59

მეწიერი



საქართველოს ICOMOS-ის კავშირი

პროექტის ხელმძღვანელი: - მ. ბოჭორიძე
 სპეციალისტები: - ლ. ახალაია
 - ლ. ბოჭორიძე
 კამერალური სამ. თარიღი: 01.10.2003 წ. - 07.01.2004 წ.

ფოტომასალა

S02-F001	მეწიერი, სოფ. ხაიში	ლ. ბოკუნავა
S02-F002	მეწიერი, სოფ. ხაიში	ლ. ბოკუნავა
S02-F003	მეწიერი, სოფ. ხაიში	ლ. ბოკუნავა

გადაღებულია 25.07.2003

დადეთ-ხაჩინი, ეკლესია სოფლის გარეთ

აღბილმდებარეობა	18
მიმართება მილსაღენთან	18
მოკლე აღწერა	18
დაცვითი რეკომენდაციები	18
გავრცელების საზღვრები რუკაზე	19
დაცვითი ზონის გეგმა	20
არქიტექტურული დეტალები	21
ფოტომასალა	23

დაღეთ-ხაჩინი, ეკლესია სოფლის გარეთ



აღბილმდებარეობა:

ისტორიული მხარე - ქვემო ქართლი

რაიონი - თეთრიწყარო

სოფელი - დაღეთ-ხაჩინის სამხრეთით 0.5 კმ.

მილსაღენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – **kp-75**

მიმართება მილსაღენთან - უახლოესი მანძილი 50 მ.

მოკლე აღწერა:

სოფლის ფარგლებს გარეთ, შემორჩენილია ძველი ეკლესიის ნანგრევები. გეგმა არ იკითხება. დაცულია ჩრდილო-დასავლეთი კედლის ფრაგმენტი. ეკლესია ნაგებია წვრილი, ერთმანეთთან კარგად მორგებული ქვებით კირის ხსნარზე.

ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარეობს სოფლის სასაფლაო, რომელშიც შემორჩენილია ძველი ეკლესიის ფრაგმენტი, ტერიტორიაზე მიმოფანტულია ეკლესიის საპირე ქვები და კარნიზის ფრაგმენტი, ჯვართი გამოსახული სანათლაგის ქვა, სანათლაგის ქვა და საფლაგის ქვები.

დაცვითი რეკომენდაციები:

სოფლის ფარგლებს გარეთ მდებარე ეკლესიას გაუკეთდეს პირობითი აღნიშვნა და შემოიღოს მისი ტერიტორია ლითონის ბადით (თანახმად ნახაზისა).

ძეგლი 3, დაღეთ-ხაჩინი, ეკლესია; კპ.-75


საზღვრების GPS კოორდინატები:

1. ეკლესია - 8461069 - 4598597
2. 8461030 - 4598610
3. 8461100 - 4598610
4. 8461100 - 4598565
5. 8461030 - 4598565

ძეგლი 3-1, დაღეთ-ხაჩინი, სასაფლაო; კპ.-75


საზღვრების GPS კოორდინატები:

1. 8460988 - 4598970
2. 8461170 - 4598960
3. 8461040 - 4598850




ძეგლი 3, დღეთ-ხაჩინი, ეკლესია; კპ.-75

გეგმა დაცვითი ზონით



გეგმა







საქართველოს ICOMOS-ის კავშირი

პროექტის ხელმძღვანელი: - მ. ბოჭორიძე
 სპეციალისტები: - ლ. ახალაია
 - ლ. ბოჭორიძე
 კამერალური სამ. თარიღი: 01.10.2003 წ. - 07.01.2004 წ.

ძეგლი 3-1, დაღეთ-ხაჩინი, სასაფლაო; კპ.-75

არქიტექტურული დეტალები




საქართველოს ICOMOS-ის კავშირი


პროექტის ხელმძღვანელი: - მ. ბოჭორიძე
 სპეციალისტები: - ღ. ახალაია
 - ღ. ბოჭორიძე
 კამერალური სამ. თარიღი: 01.10.2003 წ. - 07.01.2004 წ.

მეგლი 3-1, დაღუთ-ხაჩინი, სასაფლაო; კპ.-75


საფლავის ქვა






ქვაჯვარის ბაზა



ეკლესიის კარნიზის ქვა



ეკლესიის აფსიდის ფრაგმენტი



საქართველოს ICOMOS-ის პაჭვირი

პროექტის ხელმძღვანელი: - მ. ბოჭორიძე
 სპეციალისტები: - ღ. ახალაია
 - ღ. ბოჭორიძე
 კამერალური სამ. თარიღი: 01.10.2003 წ. - 07.01.2004 წ.

ფოტომასალა:

S03-F001	ეკლესია სოფ. დიდუთის გარეთ	ლ. ბოკუჩავა
S03-F002	ეკლესია სოფ. დიდუთის გარეთ	ლ. ბოკუჩავა
S03-F003	ეკლესია სოფ. დიდუთის გარეთ	ლ. ბოკუჩავა
S03-F004	არქიტექტურული დეტალი სოფ. დიდუთის სასაფლაოზე	ლ. ბოკუჩავა
S03-F005	არქიტექტურული დეტალი სოფ. დიდუთის სასაფლაოზე	ლ. ბოკუჩავა
S03-F006	არქიტექტურული დეტალი სოფ. დიდუთის სასაფლაოზე	ლ. ბოკუჩავა
S03-F007	არქიტექტურული დეტალი სოფ. დიდუთის სასაფლაოზე	ლ. ბოკუჩავა

გადაღებულია 24.07.2003

მენჭირი

აღბილმდებარეობა	25
მიმართება მილსაღენთან	25
მოკლე აღწერა	25
დაცვითი რეკომენდაციები	25
გავრცელების საზღვრები რუკაზე	26
დაცვითი ზონის გეგმა	27
არქიტექტურული დეტალები	27
ფოტომასალა	28

მენჭირი

(წინაქრისტიანული ხანა, გამოყენებული ქრისტიანულ პერიოდში)



აღბილმდებარეობა:

ისტორიული მხარე - ქვემო ქართლი

რაიონი - თეთრიწყარო

თეთრი წყაროდან სამხრეთ-დასავლეთით 1 კმ-ში.

მიღსაღენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – kp-84


მიმართება მიღსაღენთან - უახლოესი მანძილი 20 მ.

მოკლე აღწერა:

თეთრიწყარო ივანოვკის გზის ხელმარჯვნივ, გზის პირას მიყუდებულია უშველებელი მენჭირი, რომელიც ადგილობრივებს სალოცავად გამოუყენებიათ. მენჭირი გადაწოლილია. უკანა კედელზე, მკრთალად იკითხება გაურკვეველი გამოსახულება.

დაცვითი რეკომენდაციები:


გასწორდეს გადაწოლილი მენჭირი, გაუკეთდეს პირობითი აღნიშვნა და შემოიღოს ლითონის ბადით (თანახმად ნახაზისა).




დეგლი 4, მენჰირი, კპ.-85

საზღვრების GPS კოორდინატები:

1. მენჰირი
8453001 - 4600354
2. 8453011 - 4600354
3. 8452998 - 4600344
4. 8452989 - 4600355
5. 8453002 - 4600365



მენჰირის ხედი



სამართლებრივი ICOMOS-ის კავშირი

პროექტის ხელმძღვანელი: - მ. ბოჭორიძე
 სპეციალისტები: - ღ. ახალაია
 - ღ. ბოჭორიძე
 კამერალური სამ. თარიღი: 01.10.2003 წ. - 07.01.2004 წ.

ფოტომასალა:

S04-F001	მეწიერი თეთრიწყაროს სამხრეთ-დასავლეთით, კრ-84	ლ. ბოკუჩავა
S04-F002	მეწიერი თეთრიწყაროს სამხრეთ-დასავლეთით, კრ-84	ლ. ბოკუჩავა
S04-F003	მეწიერი თეთრიწყაროს სამხრეთ-დასავლეთით, კრ-84	ლ. ბოკუჩავა
S04-F004	მეწიერი თეთრიწყაროს სამხრეთ-დასავლეთით, კრ-84	ლ. ბოკუჩავა

გადაღებულია 23.07.2003

ნასოფლარი ნაჭივჭავეები

აღბილმდებარეობა	30
GPS კოორდინატები	30
მიმართება მილსადენთან	30
გავრცელების საზღვრები რუკაზე	31
აბსტრაქტი	32
მიმართება სამანქანო გზასთან	32
აღბილმდებარეობისა და გეგმარების ზოგადი აღწერა	33
კეზლის ვიზიკური მდგომარეობა, ზედაპირული გაწმენდის შედეგები და თარიღი.	35
მნიშვნელობა.	36
რეკომენდაციები დაცვითი ღონისძიებებისათვის	37
გამოყენებული ლიტერატურა.	37
ბრაფიკული მასალა	38
ფოტომასალა	47

ნასოფლარი ნაჭიგჭაგები

(XI – XVI სს.)



აღბილმდებარეობა:

თეთრი წყაროს რ-ნი
რაიონული ცენტრიდან 2კმ
ისტორიული მხარე – ქვემო ქართლი
მდინარე ჭიგჭაგის მარჯვენა სანაპირო


GPS კოორდინატები:

მთავარი ეკლესია - **8451874 - 4600409**
მეორე ეკლესია - **8451835 - 4600380**
საფლავის ქვა ორი ფიგურის გამოსახულებით – **8451860 - 4600383**
ნაგებობა სამანქანო გზის ქვემოთ – **8452000 - 4600448**
ნაგებობა სამანქანო გზის ქვემოთ – **8452040 - 4600420**
ნასოფლარის გავრცელების საზღვრები:
8451940 - 4600300 8451570 - 4600350
8451500 - 4600620 8451710 - 4600740
8452190 - 4600460

მილსაღენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – **kp-85**

მიმართება მილსაღენთან

ნასოფლარის აღმოსავლეთის უბანი, რომელიც მდინარე ჭიგჭაგას მარჯვენა სანაპიროს ფერდზეა გაშენებული, ყველაზე უფრო მეტად უახლოვდება მილსაღენს, მანძილი საშუალოდ შეადგენს 450 მეტრს.



აბსტრაქტი

ნასოფლარი ნაჭივჭავეები თეთრიწყაროს მიდამოებიდან ბედენის პლატოსკენ განვითარებული დერეფნის (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის) მახლობლად გამოვლენილ შუასაუკუნეების ნასოფლარებს შორისაა. იგი ერთ-ერთი დიდი და შედარებით კარგად შემორჩენილი ისტორიული დასახლებაა, რომელიც 1950-იან წლებში იქნა ნაწილობრივ გაწმენდილი და შესწავლილი არქეოლოგიურად.

ნასოფლარი წარმოადგენს განვითარებულ დასახლებას დამახასიათებელი ადგილმდებარეობით ხევისპირა ფერდობზე. იკითხება სოფლის საერთო გეგმარებითი სტრუქტურა, ტერასები, კომუნიკაციების ქსელი, პატარა და დიდი მოედნები. ნასოფლარის ცენტრსა და გარეუბანში მდებარეობს ორი დარბაზული ეკლესია; საინტერესოა მათ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებზე დაცული ძველი საფლავის ქვები.

ნანგრევების სახით შემორჩენილია გლეხის საცხოვრებელი კომპლექსები, რომლის ტიპური ნიმუში შეიცავს განსხვავებული ფუნქციის 5–6 სადგომს – დარბაზს, სამზარეულოს, საკუჭნაოს, სათონეს, მარანს, საქონლის სადგომს და სამეურნეო ეზოს; ჩანს კალოებიც. ეს ნათლად მეტყველებს მეურნეობის დარგების – მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მაღალ განვითარებაზე შუაფეოდალური ხანის ქვემო ქართლში ნასოფლარმა ნაჭივჭავეებმა დღემდე გარკვეული დანაკარგებით მოაღწია; ადგილობრივი ბერძენი მოსახლეობის მიერ უხეშად სახეცვლილია მთავარი ეკლესიის საკურთხეველი; დაკარგულია 1950-იან წლებში მიკვლეული მოჩუქურთმებული კანკელის ფილები, აგრეთვე, მეორე ეკლესიის სატრაპეზო ქვა, სტელა, კანკელის სვეტი. ვერ მოხერხდა მთავარი ეკლესიის რელიეფებითა და ფიგურებით გაფორმებული ქვის მიგნება.

ნაჭივჭავეებს კვეთს სამანქანო გზა, რომელიც მილსადენის მშენებლობის პროცესში აქტიურად იქნება გამოყენებული. საჭიროა სათანადო დაცვითი ღონისძიებების გატარება, რომელიც გამორიცხავს ნასოფლარის გზის მოსაზღვრე ქვედა უბნის დაზიანებას. მისი დაცვა არსებული მდგომარეობით მომავალში შესაძლებელს გახდის საინტერესო, მეტად ღირებული მასალის შემცველი ამ ნასოფლარის სრულყოფილ შესწავლას. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ისტორიისა და არქიტექტურის სპეციფიკური საკითხების კვლევას და გააფართოებს მხარის ისტორიული სურათის აღდგენის შესაძლებლობას.

მიმართება სამანქანო გზასთან

ნასოფლარ ნაჭივჭავეებს კვეთს ბედენის პლატოს მიმართულებით მიმავალი სამანქანო გზა, რომლის დასავლეთით რჩება დიდი უბანი – საცხოვრებელი კომპლექსებით, ნაეკლესიარებითა და სასაფლაოთი, ხოლო გზის აღმოსავლეთით, მდინარისპირა ფერდზე ტერასულად გაშენებული პატარა უბანია; ამ უბნის ნასახლარების ერთი რიგი უშუალოდ გზის პირს მიუყვება. მილსადენის მშენებლობის პროცესში გზაზე მძიმე ტექნიკის ინტენსიური გადაადგილება რისკის ქვეშ აყენებს ამ მონაკვეთის სრულფასოვნად შენარჩუნების საკითხს, რის გამოც აუცილებელია შესაბამისი დაცვითი ღონისძიებების განხორციელება.

ადგილმდებარეობისა და გეგმარების ზოგადი აღწერა

ისტორიული დასახლება ნაჭივჭავეები, მსგავსად ამ რეგიონის სხვა ნასოფლარებისა, ხევისპირა ფერდობზეა გაშენებული. ნასოფლარს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უკავია. იგი მთავარი ეკლესიის ირგვლივ არის განვითარებული. ამ ნაწილში დასახლება უფრო ინტენსიურია. ერთსართულიანი, ბანიანი სახლების ტერასულ განაშენიანებას განვითარებული სივრცულ-გეგმარებითი სტრუქტურა აქვს; ზოგად ხაზებში იკითხება ვიწრო ქუჩებისა და შუკების ქსელი. ტერასებად განლაგებულ ნამოსახლარებს შორის ჩანს სასოფლო გზებიც (3 მ-მდე სიგანის), სადაც ბორბლიანი ტრანსპორტი იმოძრაავდა;

ეკლესიას, როგორც აღვნიშნეთ, ცენტრალური მდებარეობა უკავია. მას გალავანი აქვს შემოვლებული, რომელიც სამსათავსიანი ნაგებობის ნანგრევსა და სასაფლაოსაც ზღუდავს. საფლავის ქვები ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გალავნით შემოზღუდული ტერიტორიის გარეთ, ქვედა ტერასაზე ფიქსირდება და უფრო ქვემოთ – ნანგრევების სახით შემორჩენილ კიდევ ერთ ნაეკლესიართანაც.

რაც შეეხება საცხოვრებელ კომპლექსებს, სამეცნიერო ლიტერატურაზე და სავსელე დაკვირვებებზე დაყრდნობით შესაძლებელია გამოხატული თავისებურებების ჩამოყალიბება:

- საცხოვრებელი კომპლექსები განლაგებულია ქუჩების მიმდებარედ. სათავსები ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა დონეზეა განლაგებული და მათ შორის ქვის კიბეებია მოწყობილი;
- კომპლექსებს განვითარებული გეგმარება ახასიათებს, მრავალსათავსიანი (5-6) და მრავალფუნქციურია (საცხოვრებელი და სამეურნეო);
- სათავსების ზურგის მხარე ღრმად შედის ფერდობში, ხოლო საფასადო მხარე ქანობის დაბალ დონეზე გამოდის (ამის გამო კომპლექსებში თითქმის მთელი სიმაღლით შემორჩენილია უკანა კედლები, ხოლო საფასადო მხარე განადგურებულია);
- მძლავრი კედლები მშრალად ნაწყობი არათანაბარი ზომის ბაზალტის ქვებითაა ნაშენი. წყობაში ხსნარი არ შეინიშნება. კედლების სიგანე საკმაოდ შთამბეჭდავია, იგი 140 სმ-ის ფარგლებში მერყეობს. ქვები უმთავრესად სწორხაზოვან რიგებადაა დაწყობილი, მჭიდროდაა ერთმანეთთან მორგებული, იარაღით დამუშავების კვალი არ ატყვია;
- ნაჭივჭავეების გლეხის საცხოვრებელი კომპლექსის ტიპური ნიმუში შედგება – დარბაზის, საკუჭნაოს, სამზარეულოს, საქონლის სადგომის, შემოდგომილი სამეურნეო ეზოსა და მარნისაგან;
- სათავსები ხშირად არასწორი მოხაზულობისაა. კარის ღიობები უმთავრესად კუთხეშია გაჭრილი. სადგომებს შორის არის ირეგულარული გეგმარების დამაკავშირებელი დერეფნები;
- სათავსების შიდა სივრცე ხის კოჭებით იყო გადახურული, რომელზეც მიწატკეპნილი ბანები იქნებოდა მოწყობილი. 1950-იან წლებში გაწმენდილ კომპლექსებში, საკუთრივ საცხოვრებელ სადგომებში იატაკზე დაფიქსირებულ ქვის ბაზისებს (მოვარდისფერო ბაზალტის თლილი, გადაჭრილი კონუსის ფორმის ბაზისი მიმდინარე წლის სავსელე სამუშაოების დროსაც იქნა მიკვლეული ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთი ნაგებობის ნანგრევებში), ჩანს, ხის ბოძები ეყრდნობოდა, რომელიც თავის მხრივ, გადახურვის კოჭებს იჭერდა. სავარაუდოა, რომ დარბაზის ამ

ნაწილში, კერის თავზე, გვირგვინიანი გადახურვის კონსტრუქცია იყო გამოყენებული;

- გვირგვინიანი დარბაზის წინ, ცალკეულ შემთხვევებში, ქვის ბაზისებზე დამყარებულ ხის ბოძებზე მოწყობილი გადახურული დერეფანიც იყო.

ეკლესია

ნასოფლარში ორი ეკლესიის ნანგრევია შემორჩენილი. ერთ მათგანს ცენტრალური მდებარეობა უკავია და მის ირგვლივ ტერიტორია გალავნითაა შემოზღუდული. მეორე ეკლესიის ნანგრევი მისგან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ორივე ეკლესიის მახლობლად სასაფლაო ყოფილა. ცალკეული საფლავის ქვები მათ შორის არსებულ ტერასაზეცაა დაცული.

მთავარმა ეკლესიამ სერიოზული დაზიანებითა და უხეში გადაკეთებით მოაღწია. ესაა საშუალო ზომის, დარბაზული ტიპის ნაგებობა. ეკლესია კირხსნარზე ნაწყობი, საგულდაგულოდ გათლილი უზარმაზარი ბაზალტის კვადრებით იყო ნაგები და მხატვრულად დამუშავებული დეტალებით და რელიეფებით გაფორმებული; დარჩენილია ქვების მხოლოდ ქვედა რიგი, რომელიც ერთსაფეხურიან ცოკოლზეა დაფუძნებული. თლილი ქვის საფეხური შემოუყვება კედლებს შიგნიდანაც საკურთხევლის კუთხეებამდე. მეტი სიმაღლით შემორჩენილი ჩრდილოეთის კედელი გარედან ნაყარი მიწითაა დაფარული. ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა, ღიობის მხოლოდ ძირია დარჩენილი. ვიცით აგრეთვე, რომ ეკლესიის იატაკი მოგებული იყო თლილი ქვის ფილებით.

საკურთხევლის კუთხეები მოვარდისფრო ბაზალტის ქვითაა ამოყვანილი. აფსიდს თავდაპირველი სახე დაკარგული აქვს. იატაკის დონე ორი საფეხურით არის აწეული ეკლესიის დანარჩენ ნაწილთან შედარებით. საკურთხეველი დავიწროებული და უხეშად სახეცვლილია შუა მონაკვეთში დამატებული კედლებით. ამის გამო აღარ იკითხება აფსიდის აბრისი. წყობაში ჩასმული ქვის წარწერაში მითითებულია გადაკეთების წელი – 1962 და ავტორი – ოსტატი კარაილანოვი.

სამწუხაროდ ადგილზე აღარ არის 1950-იან წლებში ეკლესიის სამხრეთ კედელთან ნაყარ მიწაში აღმოჩენილი მოჩუქურთმებული კანკელის ფრაგმენტები და ამავე დროს მიკვლეული სამხრეთ კედლის საპირე ქვა ადამიანის, ცხოველების, ფრინველების და ჯვრის ბარელიეფური გამოსახულებებით.

რაც შეეხება მეორე ეკლესიას, იგი მთავარი ეკლესიის სამხრეთით, დასახლების გარეუბანში მდებარეობს. ფლეთილი ქვის მშრალი წყობით ნაგები რამდენიმე რიგის სიმაღლით შემორჩენილი ნაგებობა იმდენად არის დაზიანებული, რომ მისი იდენტიფიკაციაც ჭირს; მცენარეებით დაფარულ ნანგრევებში ძნელად იკითხება, რომ შიგნით საკურთხევლის აფსიდალური დასრულება გარედანაც ყოფილა ნაწილობრივ გამოვლენილი სამხრეთ-აღმოსავლეთის მომრგვალებულ კუთხეში. ასეთი გეგმარება აქვს 1950-იან წლებში დაფიქსირებულ, ფლეთილი ქვის ეკლესიას. სამწუხაროდ, აღარც აქ არის ადგილზე ამ დროს მიკვლეული სატრაპეზო ქვა, სტელა ხელის გამოსახულებით და ტუფის კანკელის მრგვალი სვეტის ფრაგმენტი.

როგორც აღვნიშნეთ ძველი საფლავის ქვები განთავსებულია მთავარი ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით გალავნით შემოსაზღვრულ ადგილზე, მეორე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე და მათ შორის არსებულ ტერასაზე.

სრულიად განსხვავებულია ერთი საფლავის ქვა, რომელიც შუა ტერასაზე მდებარეობს. სხვა დანარჩენებისგან იგი გამოირჩევა ორმაგი სიგანით, მოსწორებულ ზედაპირზე ამოკვეთილია ორი ფიგურის სქემატური გამოსახულება. ფიგურებს ქვედა კიდურები შიშველი აქვს. გამოსახულ პირთა სახეები მრგვალია, მარცხენა ნაკლებ დაზიანებულ სახეს წრიული გუგები, მორკალული წარბები და აპრეზილი უღვაშები გამომსახველობას ანიჭებს. მარჯვენა ფიგურის გვერდით თავისუფალი არე ხანჯლის, გუთნის, დოქის გამოსახულებითაა შევსებული. გამოთქმული მოსაზრების თანახმად საფლავის ქვა XIV ს-ის შემდგომი პერიოდის უნდა იყოს.

შემორჩენილი ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ ეკლესიის თლილი ქვის ორმხრივ საპირეს კირხსნარი და თხელი შემავსებელი აკავშირებდა; ასეთი დიდრონი კვადრებით შედგენილი კედლის კვალობაზე მისი სისქე არ არის შესაბამისად მძლავრი, თვით კვადრებიც თხელია და ღრმად არ შედის კედლის სიღრმეში. ვფიქრობთ, ესეც გახდა მიზეზი ნაგებობის ნგრევისა.

ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა, ზედაპირული გაწმენდის შედეგები და თარიღი

როგორც აღინიშნა ნასოფლარი ნაჭივჭავეები სამეცნიერო ლიტერატურაში 1950-იანი წლებიდან არის ცნობილი, მას შემდეგ, რაც ნასოფლარის ტერიტორია ტოპოგრაფიულად აიგეგმა და რამდენიმე სეზონის განმავლობაში ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები; პუბლიკაციებით ირკვევა, რომ ძეგლის გრაფიკულ და ფოტო ფიქსაციაში არსებობდა გარკვეული ხარვეზი. მიმდინარე სეზონის დროს მოხდა მისი ნაწილობრივ შევსება, ძეგლის არსებული მდგომარეობის დაფიქსირება და ნასოფლარის გავრცელების საზღვრების დადგენა. ძეგლის მასშტაბიდან, დროის სიმცირიდან, და ზედაპირული შესწავლის მეთოდიდან გამომდინარე, ცხადია საკვლევი მომავალშიც ბევრია.

ნასოფლარის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება ტყე. მშრალი წყობით ნაშენი საცხოვრებელი და სამეურნეო შენობა-ნაგებობები ნანგრევების სახითაა მოღწეული. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია ეკლესიები. ნანგრევებზე ამოსული ხეების ფესვები უფრო მეტად აზიანებს და ამძიმებს ძეგლის ფიზიკურ მდგომარეობას.

ზედაპირული გაწმენდითი სამუშაოები შემოიფარგლა მხოლოდ ეკლესიისა და გალავნის შიგნით მოქცეული ტერიტორიის ხელმეორე გასუფთავებით.

მოიჭრა ხეები, გაიწმინდა ნაყარისაგან ეკლესიის დასავლეთი, სამხრეთი და აღმოსავლეთი ფასადები. ჩრდილოეთ კედელთან მხოლოდ მცენარეები გაიკაფა, საფასადო მხარეს დარჩა ნაყარი მიწა, რომელიც მას ამჟამად იცავს ნგრევისგან. საგალალო მდგომარეობაშია ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთი. მასზე ამოსულ მუხის ხის ფესვებს დეფორმირებული აქვს კედლის წყობა. დიდი სიფრთხილით

მოიჭრა ამ ხის ძირი და ტოტები, კედლის ჩამოშლის შიშით ფესვები დატოვებული იქნა. გასუფთავდა ეკლესიის განსაკუთრებით დანაგვიანებული საკურთხეველი და მიმდებარე ტერიტორია. ჩატარებული სამუშაოს შედეგად უკეთ გამოჩნდა მთელი ეკლესია, გამოვლინდა ფასადებთან ჩამოცვენილი საპირე ქვები.

გვიანდელი გადაკეთებისას ამაღლებული აბსიდის იატაკის თავდაპირველი დონის გარკვევის მიზნით ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხესთან აიყარა ქვები,

დაფიქსირდა კირხსნარით გადაღესილი იატაკის პირვანდელი დონე, რომელიც ეკლესიის დარბაზული ნაწილის იატაკის დონიდან აწეულია 15-20 სმ-ით. წყობის ქვების გადაადგილებისას აღმოჩნდა ცისფრად მოჭიქული ჯამის ძირ-ქუსლის ნატეხი და ბაზალტის ქვის ორნამენტირებული ფრაგმენტი, რომელიც, შესაძლოა, კანკელის ფრაგმენტი იყოს.

გაიწმინდა მიმდებარე ტერიტორია, რის შედეგად გამოვლინდა მიწით დაფარული საფლავის ქვები. მათი უმეტესობა ბრტყელზედაპირიანი, მოგრძო ლოდებია. ისინი თავსა და ბოლოში მოზღუდულია მიწაში ვერტიკალურად ჩასმული თითო ქვით. არის საფლავის ქვები, რომელთა ზედაპირი პროფილირებულია და ჯვრის გამოსახულებაა ამოკვეთილი. რამდენიმე საფლავის ქვა ადგილობრივად აღმოჩენილია და ორიენტაცია აქვს შეცვლილი.

ნასოფლარის ზოგადი თარიღი გასული საუკუნის 50-იანი წლების განათხარი მასალის მიხედვით (საყოფაცხოვრებო ინვენტარი, ბრტყელი და ღარიანი კრამიტი, მოჭიქული კერამიკა, მინის სამკაული და სხვ.) X – XVI სს განისაზღვრება; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვედა ფენებში სხვადასხვა ადგილზე აღმოჩენილი შავპრიადი კერამიკული ჭურჭლის ნატეხები და მოგრძო, ბრტყელი, ზურგმორკალული ხელსაფქვავე ამ ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების ქვედა თარიღს წინაქრისტიანულ ხანაში წევს.

რაც შეეხება მთავარ ეკლესიას, რომელსაც დაზიანებისა და უხეში გადაკეთების გამო არ შემორჩა არქიტექტურული დეტალები, თუ სივრცის ორგანიზაციის თავისებურებები, რაც ზუსტად განსაზღვრავდა აგების დროს, არსებულ მწირ მასალაზე დაყრდნობით, სავარაუდოდ, X საუკუნით თარიღდება. არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ქვის მოჩუქურთმებული კანკელი XIII საუკუნით დათარიღდა და ეკლესიაში მოგვიანებით გამართულად იქნა მიჩნეული.

გარეუბნის ეკლესია არქეოლოგიური გათხრებისას მიკვლეული დეკორის ფრაგმენტებისა და კულტურულ ფენებში აღმოჩენილი დამახასიათებელი მოჭიქული ჯამების ფრაგმენტებით, ზოგადად, XI-XIII სს არის დათარიღებული.


მნიშვნელობა

სოფელი ნაჭივჭავეები სასმელი წყაროთი, მდინარის სარწყავი წყლით, საძოვრებითა და სამეურნეო სავარგულებით, მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების დარგების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობებით, მდიდარი და დროის შესაბამისად განვითარებული სასოფლო დასახლება ყოფილა. საცხოვრებელ კომპლექსებში სათავსო რაოდენობა და მრავალფუნქციურობა მიუთითებს, რომ ნაჭივჭავეების გლეხის სახლი ინდივიდუალური მეწარმის სადგომია. რაც შეეხება მათ გეგმარებას და დარბაზში გვირგვინიანი გადახურვის კონსტრუქციის გამოყენებას, ამ თვალსაზრისით ნაჭივჭავეების საცხოვრებელი კომპლექსები ქართული ხალხური საცხოვრებლის გენეზისის თვალსაზრისით ნიშნავს.

ნასოფლარი ნაჭივჭავეების მნიშვნელობა შესწავლის ამ ეტაპზე უდაოა. საინტერესოა, რომ ამ ადგილას ადამიანის მკვიდრი მოსახლეობის ტრადიცია წინაქრისტიანულ ხანაში იღებს სათავეს. რაც შეეხება შუასაუკუნეების ნასოფლარს, მისი მრავალრიცხოვანი საცხოვრებლები, ნაეკლესიარები, თუ სასაფლაოებზე დაცული ძველი საფლავის ქვები, სამეურნეო იარაღის შესანახი დამოუკიდებელად მდგარი ნაგებობები და სხვადასხვა დანიშნულების

ბრავიკული მასალა:

1. გენგემა;
2. ეკლესიის გენგემა;
3. გეგმა, გეგმის ფრაგმენტი (შურფი);
4. ჭრილი 1-1, ჭრილი 2-2, ჭრილი 3-3, ჭრილი 4-4;
5. აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის ფასადი;
6. ეკლესიის წყობის ქვები;
7. წყობის და საფლავის ქვები;
8. საფლავის ქვები.



მდ. ნ. კ. 85
ნასოფლარი "ნაჭიჭიჭი"

ეკლესიის გეგმა 1:100


ეკლესიის გეგმა

1. ეკლესია

2. ზღუდის კედელი

3. ნაგებობა




4. წყობის და ხედიანობის ზედა






ძეგლი 5, კა-85

ნასოფლარი "ნაჭივჭავები"


ბ ე ბ მ ა მ.-1:50



ბაგმის ვრამენი (შურვი) მ.-1:50




ნასოფლარი "ნაჭივჭავები"
დეგლი 5, კბ-85




პრილი 1-1 ხედი აღმოსავლეთისკენ მ.-1:50

პრილი 3-3 ხედი სამხრეთისკენ მ.-1:50




პრილი 2-2 ხედი დასავლეთისკენ მ.-1:50


პრილი 4-4 ხედი ჩრდილოეთისკენ მ.-1:50




ბეგლი 5, კვ-85
ნასოფლარი "ნაჭივკავში"



აღმოსავლეთის ფასადი მ. 1:50





დასავლეთის ფასადი მ. 1:50



სამხრეთის ფასადი მ. 1:50









ბეგლი 5, კპ.-85
ნასოფლარი "ნაჭივჭავები"
საფლავის ძეგლი მ.-1:25

D.



E.



ფოტომასალა:

S05-F001	ნაჭივჭავეები, ეკლესია, ხედი დასავლეთიდან გაწმენდამდე	მ. ბოჭორიძე
S05-F002	ნაჭივჭავეები, ეკლესია, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გაწმენდამდე	მ. ბოჭორიძე
S05-F003	ნაჭივჭავეები, ეკლესია, ხედი აღმოსავლეთიდან გაწმენდამდე	მ. ბოჭორიძე
S05-F004	ნაჭივჭავეები, ეკლესია, ხედი გაწმენდის შემდეგ	მ. ბოჭორიძე
S05-F005	ნაჭივჭავეები, ეკლესია, ხედი გაწმენდის შემდეგ	მ. ბოჭორიძე
S05-F006	ნაჭივჭავეები, ეკლესია, ხედი გაწმენდის შემდეგ	მ. ბოჭორიძე
S05-F007	ნაჭივჭავეები, ეკლესია, ინტერიერი გაწმენდის შემდეგ	მ. ბოჭორიძე
S05-F008	ნაჭივჭავეები, ეკლესია, ხედი გაწმენდის შემდეგ	მ. ბოჭორიძე
S05-F009	ნაჭივჭავეები, ეკლესია, ხედი გაწმენდის შემდეგ	მ. ბოჭორიძე
S05-F010	ეკლესიის აღმოსავლეთის კედლის ფრაგმენტი	მ. სურამელაშვილი
S05-F011	ეკლესიის ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილი	მ. სურამელაშვილი
S05-F012	ეკლესიის საკურთხეველის ნაწილი გაწმენდის შემდეგ	მ. სურამელაშვილი
S05-F013	ეკლესიის საკურთხეველის ნაწილი გაწმენდის შემდეგ	მ. სურამელაშვილი
S05-F014	საფლავის ქვა ორ ეკლესიას შორის ტერასაზე	მ. სურამელაშვილი
S05-F015	ჩიტინი საფლავის ქვა ეკლესიის სამხრეთით	მ. სურამელაშვილი
S05-F016	საფლავის ქვა ეკლესიის ეზოს აღმოსავლეთის ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S05-F017	დიდი ლოდი შემოსწორებული ნაპირით დასავლეთის უბანში	მ. სურამელაშვილი
S05-F018	საკურთხეველის გაწმენდისას ნაპოვნი ჩუქურთმიანი ქვის და კერამიკული ჯამის ფრაგმენტები	მ. სურამელაშვილი
S05-F019	ქვის თლილი ბაზისი ნასოფლარის ცენტრალური უბნიდან	მ. სურამელაშვილი
S05-F020	ნაჭივჭავეები, საფლავის ქვა	მ. ბოჭორიძე
S05-F021	ნაჭივჭავეები, საფლავის ქვა	მ. ბოჭორიძე
S05-F022	ნაჭივჭავეები, საფლავის ქვის ფრაგმენტი	მ. ბოჭორიძე
S05-F023	ნაჭივჭავეები, ორ ფიგურიანი საფლავის ქვა	მ. ბოჭორიძე
S05-F024	ნაჭივჭავეები, ორ ფიგურიანი საფლავის ქვის ფრაგმენტი	მ. ბოჭორიძე
S05-F025	საცხოვრებელი კომპლექსის კედელი ნასოფლარის ცენტრალურ ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S05-F026	გზა ეკლესიის გაღავნის ჩრდილოეთით	მ. სურამელაშვილი
S05-F027	საცხოვრებელი კომპლექსის სათავსი მთავარი ეკლესიის სამხრეთით	მ. სურამელაშვილი
S05-F028	საცხოვრებელი კომპლექსის სათავსი მთავარი ეკლესიის სამხრეთით	მ. სურამელაშვილი
S05-F029	კარის ღიობი	მ. სურამელაშვილი
S05-F030	კედლის წყობა	მ. სურამელაშვილი
S05-F031	საცხოვრებელი კომპლექსის სათავსი მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთით	მ. სურამელაშვილი
S05-F032	სათავსი ცენტრალური უბნის აღმოსავლეთ ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S05-F033	ქვედა ეკლესიის ნანგრევი	მ. სურამელაშვილი
S05-F034	სათავსები ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S05-F035	ტერასები ქვედა უბანში	მ. სურამელაშვილი
S05-F036	ტერასები ქვედა უბანში	მ. სურამელაშვილი
S05-F037	სათავსი ქვედა უბანში	მ. სურამელაშვილი
S05-F038	სათავსი ქვედა უბანში	მ. სურამელაშვილი
S05-F039	კედლის ფრაგმენტი ქვედა უბანში	მ. სურამელაშვილი
S05-F040	სათავსი ნასოფლარის დასავლეთ ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S05-F041	სათავსის ფრაგმენტი ეკლესიის ჩრდილოეთით	მ. სურამელაშვილი
S05-F042	სათავსის ფრაგმენტი ნასოფლარის ჩრდილოეთ ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S05-F043	სათავსი სამანქანო გზის მოსაზღვრე ზედა უბანში	მ. სურამელაშვილი
S05-F044	ნაჭივჭავეები, ნამოსახლარი	ლ. ბოკუჩავა
S05-F045	ნაჭივჭავეები, ნამოსახლარის ტერიტორია	ლ. ბოკუჩავა
S05-F046	ნაჭივჭავეები, ნამოსახლარი, გზის მონაკვეთი	ლ. ბოკუჩავა

გადაღებულია 6.08.2003



ნაჭიჭავები, ეკლესია, ხედი დასავლეთიდან გაწმენდამდე.



ნაჭიჭავები, ეკლესია, ხედი გაწმენდის შემდეგ.



ნატივტავები, ეკლესია, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გაწმენდამდე



ნატივტავები, ეკლესია, ხედი გაწმენდის შემდეგ



საცხოვრებელი კომპლექსის სათავის მთავარი ეკლესიის სამხრეთით



კარის ღობი



ნატივტავები, საფლავის ქვა



ნატივტავები, ორ ფიგურიანი საფლავის ქვა

ნასოფლარი მდინარე ჭიჭავის ხეობაში

აღბილმდებარეობა	53
GPS კოორდინატები.	53
მიმართება მილსადენთან	53
გავრცელების საზღვრები რუკაზე	54
აბსტრაქტი	55
აღბილმდებარეობის და გეგმარების ზოგადი აღწერა	55
ექლესია – აღწერა, მდგომარეობა, ზედაპირული გაწმენდის შედეგები.	56
ნასოფლარის მდგომარეობა	57
ნასოფლარის ზოგადი თარიღი და მნიშვნელობა	57
რეკომენდაციები დაცვითი ღონისძიებებისათვის	58
გამოყენებული ლიტერატურა.	58
ბრაზიკული მასალა	59
ფოტომასალა	67

ნასოფლარი მდინარე ჭივჭავის ხეობაში

(X – XVI სს.)



აღბილმდებარეობა:

ისტორიული მხარე - ქვემო ქართლი
 თეთრი წყაროს რ-ნი
 რაიონული ცენტრიდან დასავლეთით, 3 კილომეტრის მოშორებით,
 თეთრიწყაროდან ივანოვკისკენ მიმავალ გზაზე,
 მდინარე ჭივჭავის მარჯვენა ნაპირზე.

GPS კოორდინატები:

ეკლესია - **8450790 - 4602373**

საზღვრები:

8450750 - 4602225

8450520 - 4602280

8450430 - 4602450

8450510 - 4602580

8450680 - 4602630

8450810 - 4602530

8450850 - 4602360


მილსადენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – **kp-87**

მიმართება მილსადენთან:

მილსადენი კვეთს ნასოფლარის ტერიტორიას

8450547 - 4602590

8450545 - 4602274



აბსტრაქტი

2002 წელს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფნის მიწისზედა ძეგლების შესწავლისას, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ექსპედიციამ მდინარე ჭივჭავის ხეობაში დააფიქსირა შუა საუკუნეების ნასოფლარი. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში იგი არ მოიხსენიება, თუმცა ადგილობრივ მცხოვრებთათვის მისი არსებობა ცნობილია.

ნასოფლარში არსებული ეკლესია ნაგებია უხეშად თლილი ქვით და კირის ხსნარის გამოყენებით.

მსგავსად ჭივჭავის ხეობის სხვა ნასოფლარებისა, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების შენობათა ჯგუფები ნაგებია დაუმუშავებელი ლოდების მშრალი წყობით. ამ ტიპის ნასოფლარები გასული საუკუნის 50-იან წლებამდე წინაფეოდალური საზოგადოების ნასახლარებად იყო მიჩნეული, სამშენებლო ტექნიკის არქაულობისა და მასალის დამუშავების თავისებურების გამო. როგორც შემდგომში გამოკვლევებმა აჩვენა, ისინი წარმოადგენენ შუა საუკუნეების პერიოდის სოფლებს, რომლებიც შედგება მცირე ოჯახების საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების მქონე საკარმიდამო კომპლექსებისაგან.

ადგილმდებარეობის და გეგმარების ზოგადი აღწერა

ნასოფლარი, ძირითადად, ვრცელდება ოდნავ დამრეცი რელიეფის მქონე გაშლილ ადგილზე, ტყეში. მისი მცირე ნაწილი კი განლაგებულია უშუალოდ მდინარე ჭივჭავის მარჯვენა, ძლიერად დამრეც და მაღალ ნაპირზე (ამ ადგილზე ჭივჭავა მოედინება ვიწრო და ღრმა ხეობაში).

ნაგებობათა ჯგუფები თეთრიწყაროდან - ივანოვკისკენ მიმავალ სამანქანო გზამდე ჩამოდის და ნაწილობრივ არაიდენტიფიცირებული ნანგრევების სახით, გადადის გზის მოპირდაპირე მხარეს.

დასახლება განსხვავებული ზომისა და მოყვანილობის სათავსების მქონე გაფანტული ჯგუფებისაგან შედგება. აღნიშნული სათავსების გეგმა სხვადასხვა მოხაზულობისაა: ოვალური, კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედი, იშვიათად – წრიული.

ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან სოფელს შემოუყვებოდა მძლავრი გალავანი, რომელიც, როგორც ჩანს, ხეობიდან ამოსასვლელ გზას კეტავდა. გალავნის საკმაოდ გრძელი მონაკვეთი (დაახლოებით 60 მ) დაფიქსირდა ნასოფლარის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეებზე. დასახლების სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარესაც სწორკუთხაბურჯებიანი გალავანი ზღუდავდა (შემონახულია ფრაგმენტულად).

ნასოფლარის ინტენსიური დასახლების ძირითადი ნაწილი ხევის პირს გაუყვება. იგი დასერილია სასოფლო გზებით. სამხრეთ-აღმოსავლეთით შემონახულია ეკლესიის ნანგრევები. მის ირგვლივ სასაფლაოა.

ნასოფლარის შენობები, გარდა ეკლესიისა, ნაგებია ხსნარის გარეშე, დიდი ზომის დაუმუშავებელი, სხვადასხვა მოყვანილობის ბაზალტის ლოდებით (ზოგიერთი მათგანის ზომა 2 მეტრამდე აღწევს). ქვები მჭიდროდაა ერთმანეთთან მორეგებული და ერთიან მონოლითურ მასადაა ქცეული. კედლების სიგანე ხშირ შემთხვევაში 2 მეტრს უტოლდება.

განსხვავებული ტექნიკით არის ნაგები ეკლესია.

ეკლესია – აღწერა, მდგომარეობა, ზედაპირული გაწმენდის შედეგები

ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ჩრდილოეთის მინაშენით. იგი ნაგებია უხეშად თლილი, სხვადასხვა ზომის და მოყვანილობის კვადრებით. შენობის ქვედა რიგებში მოზრდილი ქვებია ჩაყოლებული. წყობის ხასიათი ფასადებზე და ინტერიერში განსხვავებულია – ფასადებზე შედარებით უფრო მოზრდილი ქვებია გამოყენებული, წყობის ჰორიზონტალური რიგების დაცვით. ეკლესიის დარბაზული ნაწილისა და ჩრდილოეთი მინაშენის წყობა ერთმანეთის იდენტურია.

ნაგებობის ძირითადი, დარბაზული ნაწილი აღმოსავლეთით სრულდება ნახევარწრიული აფსიდით. მის ცენტრში დგას სწორკუთხა მოყვანილობის ტრაპეზის ქვა, რომლის წინა პირზე ჯვრის გამოსახულებაა. აფსიდის ჩრდილოეთ მხარეს სწორკუთხა ნიშია შერჩენილი. ასეთივე ნიში უნდა ყოფილიყო სამხრეთ მხარესაც (ამ ადგილზე კედელი დანგრეულია).

მთავარი შესასვლელი ეკლესიას სამხრეთიდან ჰქონდა. დაფიქსირებულია ღიობის კვალი და უზარმაზარი არქიტრავის ქვა.

ეკლესიის ჩრდილოეთის კედელში არსებული კარი უკავშირდებოდა აღმოსავლეთით სწორკუთხად დასრულებულ მინაშენს. ჩრდილოეთ მინაშენს უკავია ეკლესიის ამავე ფასადის დასავლეთის ნაწილი. როგორც გაწმენდამ აჩვენა, მინაშენი ოდნავ სცდება ეკლესიის ფარგლებს და გრძელდება დასავლეთით. ამ მხარეს დაფიქსირდა მინაშენის შესასვლელი.

ეკლესიის მდგომარეობა ძლიერ სავალალოა. ნაგებობის ერთადერთი, შედარებით სრული სიმაღლით მდგარი, 3-3,5 მეტრის სიმაღლის კედელი შუაში გარღვეულია; ფასადის მხრიდან მას შემოცლილი აქვს საპირე ქვების დიდი ნაწილი; აფსიდიდან ჩრდილოეთი მხარეა ნაწილობრივ შემონახული; სამხრეთი და დასავლეთი კედლებიდან წყობის 1-3 რიგია მხოლოდ ადგილზე; ჩრდილოეთი მინაშენი მიწაშია ჩაფლული; არ არის შემორჩენილი ეკლესიის არც ერთი ღიობი; ირგვლივ ნანგრევებია მიმოფანტული.

ნაგებობის სრული ფიქსაციისათვის საჭირო იყო მიწის ზევით შემორჩენილი ნაწილების გაწმენდა ბალახის, ბუჩქებისა და ხეებისაგან. აგრეთვე, მიწით დაფარული კედლებისა და საკვანძო ადგილების გამოვლენა. აღნიშნული სამუშაო მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შესრულებული, რადგან ჩრდილოეთის მხარეს მცენარეთა ფესვები ღრმად არის გამჯდარი კედელში და მცირედი ბიტიც კი მის ნგრევას გამოიწვევდა.

ეკლესიის ამჟამინდელი მდგომარეობა აშკარად მეტყველებს “განძის მაძიებელთა” საქმიანობაზე ამ მიდამოებში, რამაც გაართულა ბეგლის შესწავლის პროცესი. ნაგებობის დასავლეთი და სამხრეთი კედლების გასწვრივ ყრია ადგილმონაცვლებული საფლავის ქვები. ეკლესიის ინტერიერი და მის გარშემო ტერიტორია დაზიანებულია უსისტემოდ ამოთხრილი ორმოებით და მიწის გროვებით. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ეკლესიიდან სამხრეთ-დასავლეთით, 3 მეტრის მოშორებით არსებული მონაკვეთი – აქ იარუსებად განლაგებული ქვასამარხებია ამოყირავებული.

ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლებს საფასადო მხრიდან მოშორდა ნაყარი და ნაშალი მიწის ფენა, შემდეგად – 30-40 სმ სიღრმეზე გამოჩნდა საპირე წყობა.

ზედაპირულად, ზოლად, გაიწმინდა სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლების ქვედა ორი რიგი. სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში კარგად გამოიკვეთა კარის ღიობი. ინტერიერში, აღმოსავლეთი კედლის გაწმენდის შემდეგ, გამოვლინდა აფსიდის მოხაზულობა.

ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან, მიწის ზედაპირიდან 40 სმ სიღრმეზე ჩაიჭრა შურფი, დაფიქსირდა ერთსაფეხურიანი ცოკოლი, რომელიც

აღმოსავლეთ ფასადის გასწვრივ უფრო განიერია, ვიდრე ჩრდილოეთისა.

გართულდა ჩრდილოეთი მინაშენის გეგმის გამოვლენა დიდი ზომის ქვებით ჩახერგილობის გამო. წმენდის დროს გამოიკვეთა მინაშენის ჩრდილოეთისა და დასვლეთ კედლის გადაბმის კუთხე და მინაშენის დასავლეთი შესასვლელი.

ეკლესიის დასავლეთ კედელთან გამოვლინდა საფლავის ქვა, რომელიც გამოკვეთილია მთლიან ქვაში და მიწაზე გართხმული ცხენის სქემატურ გამოსახულებას წარმოადგენს, ხოლო სამხრეთ ფასადთან – ლილვებით დამუშავებული საფლავის ქვა. აქვეა ერთიან ქვაში გამოკვეთილი მცირე ზომის ჯვარი.

სხვადასხვა ფორმის და მოყვანილობის საფლავის ქვები ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზეც დაფიქსირდა. ერთ-ერთ მათგანზე (ეკლესიის ჩრდილოეთით) ადამიანის გამოსახულებაა, მისი ტანი ფრონტალურად არის წარმოდგენილი, ფეხები კი – პროფილში. სახე სქემატურადაა დამუშავებული. ადამიანის ფიგურას თან ახლავს შრომის იარაღების გამოსახულებები: ნაჯახი და გუთანა.

ასეთივე ტიპისაა ეკლესიიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 50 მეტრში გამოვლენილი საფლავის ქვა. განსხვავებულია მხოლოდ ფიგურის თანმხლები ატრიბუტები. ეს უკანასკნელი დოქებით და ყანწებითაა აღჭურვილი.

ეკლესიის წმენდისას, ნაშალ-ნანგრევ ფენაში აღმოჩნდა ღარისებრი და ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები, ქვევრების პირ-ყელის, ქოთნების ძირგვერდის და კედლების ნატეხები; ასევე – მრავალფერად მოჭიქული ჯამის ძირ-ქუსლის ორი ნატეხი.

ორნამენტი, რომელიც მოჭიქული ჯამის ძირ-ქუსლზეა შერჩენილი დამახასიათებელია XII-XIII სს. კერამიკისათვის (მცენარეული და გეომეტრიული სახეების ერთობლიობა), ხოლო აქ აღმოჩენილი დანარჩენი მცირედი არქეოლოგიური მასალა, პარალელების მიხედვით, XII-XV საუკუნეებით თარიღდება.

ნასოფლარის მდებარეობა

ნასოფლარი ტყითა და ხავსითაა დაფარული. შედარებით უკეთესადაა შემონახული ეკლესია.

ნასოფლარის სამეურნეო და საცხოვრებელი ჯგუფების სათავსები მხოლოდ გეგმის დონეზე, ან კედლების 1-2 მეტრის სიმაღლითაა წარმოდგენილი. გადახურვის კონსტრუქცია ძირითადად არ ჩანს. მხოლოდ ერთ-ერთ სამეურნეო დანიშნულების სათავსს აქვს შერჩენილი ქვით ამოყვანილი სფერული გადახურვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ გარდა სფერულისა, აქ იქნებოდა ბრტყელი (ბანური) გადახურვაც.

ნასოფლარის ზოგადი თარიღი და მნიშვნელობა

ნასოფლარის მიახლოებითი თარიღის დადგენა ეკლესიის მიხედვითაა შესაძლებელი. ეკლესიის გეგმა, ქვის დამუშავება და წყობა, ასევე, ტრაპეზის ქვაზე გამოსახული ჯვრის შესრულების ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ მისი აგების თარიღი X-XIII საუკუნეებს შორის მერყეობს. შენობის ირგვლივ არსებული საფლავის ქვები გვიანი შუა საუკუნეებისაა.

ნასოფლარი ჭივჭავის ხეობაში ისტორიული დასახლების ძალზე საყურადღებო ძეგლს წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა სხვადასხვა ფაქტორებით განისაზღვრება: ძეგლი ნათლად მეტყველებს სამშენებლო ხელოვნების მაღალ დონეზე შუა საუკუნეების საქართველოში, რაც შემზადებული იყო განვითარების წინა პერიოდებით; განსაკუთრებით აღანიშნავია ისიც, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ხალხური ხასიათის ნიმუშთან. ნასოფლარის ეკლესიის მშენებლები რიგითი ოსტატები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ აშკარაა, რომ ისინი ფლობენ და ავითარებენ შესაბამისი პერიოდის საეკლესიო მშენებლობის მოწინავე მხატვრულ ხერხებს და ტრადიციებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სოფლის დაცვის კარგად მოფიქრებული სისტემა, რაც ამ ნასოფლარში შედარებით კარგადაა შემონახული. ბუნებრივი პირობების და ზღუდე - ბურჯების სისტემა საიმედოდ იცავდა სოფლის მცხოვრებლებს უცხოთა შემოსევებისაგან.

სოფლის ბინადარი მისდევდნენ მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. ამ დარგების განვითარებისათვის აქ შესანიშნავი პირობები იყო. ნასოფლარის ნაგებობები ნათლად მეტყველებს მაღალ სამიწათმოქმედო კულტურაზე, რაც ქართული სახელმწიფოებრიობის დასაყრდენს წარმოადგენდა საუკუნეების განმავლობაში.

ძეგლი არ არის სათანადოდ დაცული და შესწავლილი. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის არქიტექტურული ნიმუშებისთვის საქართველოში დაცვის განსაკუთრებული სისტემაა შემუშავებული.

რეკომენდაციები დაცვითი ღონისძიებებისათვის

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი გადაივლის ნასოფლარის სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ, ნაკლებინტენსიური გავრცელების ნაწილზე. მილსადენის დერეფანში ხვდება გალაგნის, სასოფლო გზების და რამდენიმე სათავეს ფრაგმენტები.

2003 წლის ზაფხულში ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა შეისწავლეს ნასოფლარის მიწისზედა ძეგლები. ჩატარდა შემდეგი სახის სამუშაოები: ნასოფლარის გავრცელების საზღვრების დადგენა და მილსადენის გადაკვეთის ხაზის დაზუსტება; აღწერა, გრაფიკული და ფოტო-ფიქსაცია; ფიზიკური მდგომარეობის შეფასება.

ველზე მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგად რეკომენდირებულია შემდეგი სახის დაცვითი და კვლევითი ღონისძიებების გატარება:


- პირობითი ნიშნებით მონიშნოს ნასოფლარის საზღვრები და მილსადენის დერეფანი;
- შესწავლილი იქნას მილსადენის გადაკვეთის ხაზზე არსებული მიწისქვეშა ძეგლები;
- მშენებლობის პროცესი უნდა წარიმართოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ზედამხედველობით;
- მილსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ შემოწმდეს განიცადა თუ არა ცვლილება მილსადენის დერეფნის მიმდებარე ზოლზე არსებულმა ძეგლებმა და მიღებული იქნას შესაბამისი ზომები.


ბამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ბახტაძე, ვემო ქართლის კლდის სოფლები განვითარებულ შუა საუკუნეებში, კრ. საქართველოს სიძველენი, თბ., 2002, გვ., 33-46
2. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, თბ., 1979
სასახლე, ინტერიერი, ხედი სამხრეთ-დასავლეთით, გაწმენდის შემდეგ



სასახლე, ინტერიერი, ხედი ჩრდილოეთით, გაწმენდის შემდეგ



სასახლე, კარის ფრაგმენტი



სასახლე, ინტერიერის ფრაგმენტი



საცხოვრებელი ნაგებობა, სამხრეთის ფასადი



საცხოვრებელი ნაგებობა, ინტერიერი, ხედი სამხრეთისაკენ



საცხოვრებელი ნაგებობა, ინტერიერი, დასავლეთის კედლის ფრაგმენტი

ტახტისწყაროს ნასოფლარი და ეკლესია

მღებარეობა	131
GPS კოორდინატები	131
მიმართება მილსადენთან	131
ბავრცელების საზღვრები რუკაზე.	132
აბსტრაქტი.	133
აღბილმღებარეობის და გეგმარების ზოგადი აღწერა.	133
ნასოფლარისა და ეკლესიის ფიზიკური მდგომარეობა.	134
მხატვრული ღირებულება და თარიღი	134
რეკომენდაციები დაცვითი ღონისძიებებისათვის.	135
გამოყენებული ლიტერატურა	135
ბრაზიკული მასალა	136
ფოტომასალა.	146

ტახტისწყაროს ნასოფლარი და ეკლესია (X - XVI სს.)



მდებარეობა

ისტორიული მხარე - ქვემო ქართლი
თეთრიწყაროს რ-ნი
ივანოვკიდან 3 კმ. აღმოსავლეთით, მდ. ჭივჭავის მარჯვენა სანაპირო,
რკინიგზის ლიანდაგის სიახლოვეს.

GPS კოორდინატები

ეკლესია - **8448820 - 4606252**

საზღვრები:

8448950 - 4606250	8448570 - 4605940
8448480 - 4605940	8448340 - 4606135
8448100 - 4606220	8448110 - 4606340
8448440 - 4606300	8448680 - 4606300
8448900 - 4606380	

მილსაღენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – **kp-93**

მიმართება მილსაღენთან

ნასოფლარი დასავლენ ნაწილში იკვეთება მილსაღენით,
გადაკვეთის წერტილები:
8448215 - 4606179
8448268 - 4606321

**შეგლი 10, ტახტისწყაროს ნასოფლარი
და ეკლესია, კპ-93**


საზღვრების GPS კოორდინატები:

1. ეკლესია - 8448820 - 4606252
2. 8448950 - 4606250
3. 8448570 - 4605940
4. 8448480 - 4605940
5. 8448340 - 4606135
6. 8448100 - 4606220
7. 8448110 - 4606340
8. 8448440 - 4606300
9. 8448680 - 4606300
10. 8448900 - 4606380

ნათობსადენთან გადაკვეთის კოორდინატები

8448215 - 4606179

8448268 - 4606321



აბსტრაქტი

ტახტისწყარო, შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი კარგად შემონახული გეგმარებითი სტრუქტურის მქონე, უმნიშვნელოვანესი ნასოფლარია.

1948-50 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მრავალდარგობრივ ესქპედიციის მიერ ჩატარდა დაზვერვითი სამუშაოები, რომელთა შედეგად რეგიონში აღმოჩენილ მრავალ ნასოფლარს შორის ტახტისწყაროს ნასოფლარიც ფიქსირდება.

მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის გაყვანის დროს, 1980-იან წლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ესქპედიციის მიერ გაითხარა ნასოფლარის გარკვეული ნაწილი, რის შედეგადაც გამოვლინდა ეკლესია და რამოდენიმე საცხოვრებელი კომპლექსი (სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს).

განვითარებული შუასაუკუნეების ნასოფლარი, ძველ ციკლოპურ ნამოსახლარზეა აგებული. იგი წარმოადგენს რთულ, მრავალსათავსიანი საცხოვრებელი უჯრედებისგან შემდგარ ორგანიზმს, გზების ქსელით, ორმაგი გამაგრებითი სისტემით და ეკლესიით.

თეთრიწყაროდან ბედენის პლატოზე გამავალი ერთადერთი სამანქანო გზა კვეთს ნასოფლარის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე. ამავდროულად, ნასოფლარი რკინიგზის უშუალო სიახლოვესაა განთავსებული.

აღბილმდებარეობის და ბებმარების ზოგადი აღწერა

ნასოფლარი განლაგებულია ხევის თავზე, ფლატეზე და ტერასულად მიუყვება ტყით დაფარული მის დამრეც ფერდს ძირამდე. ჩრდილოეთიდან მას გახსნილი მდელოები ესაზღვრება. ნასოფლარი ძალიან დიდ ტერიტორიას მოიცავს და ვითარდება აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით. კვეთს ერთადერთ თეთრიწყარო-ბედენის სამანქანო გზას და გზის გადაღმაც ვრცელდება. თუმცა თანდათანობით განაშენიანების ინტენსიურობა საგრძნობლად კლებულობს და გზის გადაღმა ნელ-ნელა ქრება.

ნასოფლარის ძირითადი, ინტენსიური განაშენიანება დაფიქსირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მკაფიოდ იკითხება ბაზალტის სხვადასხვა ზომის ქვის, მშრალი წყობით ნაგები მრავალსათავსიანი საცხოვრებელი უჯრედები. ოთახების რაოდენობა თითოეულ უჯრედში განსხვავებულია და წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებულ, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ერთიან - შვიდ კომპარტიმენტისგან შედგენილ საცხოვრებელ სტრუქტურას. ნასოფლარის სამხრეთი ფერდი ბურჯებით შემაგრებული ორმაგი გალავნით არის შემოსაზღვრული.

ნასოფლარის ტერიტორიაზე, გზების მთელი ქსელია დაფიქსირებული, რომელიც გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ ფეხით მოსიარულელთათვის, არამედ ბორბლიანი ტრანსპორტისთვისაც. თანდათანობით, დასავლეთისკენ მატულობს ტყის სისქირე რაც ხელს უშლის ამ ნაწილში ნაგებობათა კვადრის წაკითხვას. რომელთა ნაშთები ფრაგმენტულად გვხვდება. ამ ნაწილში უფრო ხშირად ფიქსირდება შედარებით უფრო დიდი ზომის და უშველებელი ქვების მშრალი წყობით ნაგები ადრეული, ციკლოპური შენობების ფრაგმენტები.

ნასოფლარის კიდეში, ძირითადი ბირთვის ჩრდილოეთით, გახსნილ მდელოზე, გალავნით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე მცირე ზომის, ბაზალტის უშველებელი ქვებით ნაგები ეკლესიაა დაცული. ეკლესიის ეზოში ძველი საფლავის ქვებია.

ეკლესია

ეკლესია მცირე ზომის დარბაზული ტიპის ნაგებობაა (გაბარიტული ზომები - 7.62X4.53მ) დგას ერთსაფეხუროვან ცოკოლზე. ნაგებია ძალიან დიდი ზომის ბაზალტის ქვის კარგად დამუშავებული კვადრებით. ქვები არასწორი მოხაზულობისაა, ერთმანეთთან მჭიდროდ მორგებული. საპირე ქვებს შორის დუღაბის ხსნარის თხელი ფენაა ჩასხმული. ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას სამხრეთიდან აქვს. კუთხის ქვები ძალიან დიდია და ასეთივე გრანდიოზული არქიტრავის ქვით სრულდება. არქიტრავის ზედაპირი სადაა. მის აღმოსავლეთ ნაწილში რელიეფური ჯვარია ამოკვეთილი. ამ უკანასკნელის სამი ზედა მკლავი თაღით არის გაერთიანებული.

ეკლესიის გეგმის კომპოზიცია წარმოადგენს მცირე მართკუთხედს, რომელიც აღმოსავლეთით ღრმა, ოდნავ ნაღისებრი საკურთხევლით სრულდება. საკურთხევის ცენტრში გაშლილი მოყვანილობის თაღით დასრულებული სარკმელია გაჭრილი. სარკმელი ფლანკირებულია სწორკუთხა ნიშებით. საკურთხევის კუთხეებში მძლავრი, მაღალი თარო-იმპოსტებია შემორჩენილი.

ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადთან გდია უშველებელი თავსართი ქვა, რომლის ცენტრში სარკმლის ვიწრო თაღია ამოკვეთილი.

ეკლესიის ეზოში დიდი ზომის ზეთსახდელი ქვაცაა დაცული.

ნასოფლარისა და ეკლესიის ფიზიკური მდგომარეობა

ნასოფლარის ტერიტორია ხეებით, ბუჩქებით, ხავისთა და მიწით იყოფა დაფარული. საცხოვრებლების კედლები ზოგან 1-2 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი.

ეკლესია დანგრეულია; ჩამოქცეულია კამარა. ინტერიერი წყობის უშველებელი ქვებით არის ჩახერგილი. საკურთხეველში ხეა ამოსული. ეკლესიისგან მიახლოებით 60%-ია შემორჩენილი.

საფიქსაციო საქმიანობისთვის ეკლესია გაიწმინდა. გაიკაფა ბუჩქები, მოიჭრა ასწლოვანი ხეების ტოტები, რომლებიც მთლიანად ფარავდნენ ეკლესიას. გაიწმინდა ბაღახისგან ეკლესიის ფასადების შემორჩენილი ნაწილები და მის ირგვლივ დავარდნილი საპირე წყობის ქვები.

დიდი სიფრთხილითა და ოსტატობით მოიჭრა აფსიდში, ნანგრევებზე ამოსული საკმაოდ დიდი ჭნავის ხე.

მხატვრული ღირებულება და თარიღი

ტახტისწყაროს ნამოსახლარი ერთ-ერთი საუკეთესოა თეთრიწყაროს რ-ნში დაცულ შუასაუკუნეების ნამოსახლართა შორის. იგი ძვირფას მასალას გვაწვდის X-XIII სს-ეების დასახლების სტრუქტურისა და საცხოვრებლის ტიპოლოგიის დასადგენად. აღსანიშნავია სოფლის სრულყოფილი გამაგრებითი სისტემა, რომელიც წარმოადგენს ერთმანეთისგან გარკვეული ინტერვალით დაცილებულ, ორ, ბურჯებით გამაგრებულ გალავნის კედელს. ეს ორმაგი ზღუდე ტიპურია ზოგადად შუა საუკუნეების დასახლებული პუნქტებისათვის, თუმცა ჩვენში, ასეთი შემორჩენილი სტრუქტურები იშვიათობას წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ ობიექტის მნიშვნელობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის ეკლესია, რომელიც უზარმაზარი, თლილი ქვებით არის ნაგები და მცირე ზომის მიუხედავად მონუმენტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. წყობის ხასიათი, მშენებლობის მაღალი ხარისხი, X ს-

ის ქართული, კერძოდ კი ქვემო ქართლის ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ნიშანთვისებების მატარებელია. იშვიათობას წარმოადგენს არქიტრავის ქვაზე არსებული ჯვრის რელიეფური გამოსახულება, რომლის ზუსტ ანალოგს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ. თუმცა არქიტრავის დამუშავების ხერხი, რომელიც მდგომარეობს ქვის უშველელად ზედაპირის მხოლოდ ერთი, მცირე მონაკვეთის გაფორმებაში, ანალოგებს X-XI სს-ების ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების არა ერთ ნიმუშში პოულობს.

რეკომენდაციები დაცვითი ღონისძიებებისათვის

პროექტის III ფაზის განხორციელების დროს შესრულდა შემდეგი სამუშაოები: ზოგადი შესწავლა, გაიწმინდა ეკლესია, დამუშავდა ნასოფლარის გენგეგმა, შესრულდა ეკლესიის და მისი დეტალების არქიტექტურული ანაზო-მი და ფოტოდოკუმენტაცია, დაზუსტდა ნასოფლარის გავრცელების საზღვრები და მოხდა მათი დატანა რუკაზე, აღიწერა ეკლესიის ფიზიკური მდგომარეობა.

ტახტისწყაროს ნამოსახლარი ერთ-ერთი საუკეთესოა თეთრიწყაროს რ-ნში დაცული შუასაუკუნეების ნამოსახლართა შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის ეკლესია, რომელიც უზარმაზარი, თლილი ქვებით არის ნაგები და მცირე ზომის მიუხედავად მონუმენტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. წყობის ხასიათი, მშენებლობის მაღალი ხარისხი X ს-ის ქართული, კერძოდ კი ქვემო ქართლის ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ნიშანთვისებების მატარებელია.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი კვეთს ტახტისწყაროს ნასოფლარს მის დასავლეთ ნაწილში (მილსადენის გადაკვეთის კოორდინატებია: 8448215-4606179; 8448268-4606179). ასევე იგი იკვეთება თეთრიწყარო-ბედენის სამანქანო გზითაც.

საჭიროა შესრულდეს შემდეგი სახის დაცვითი ღონისძიებები:

- ტახტისწყაროს ეკლესიის არქიტექტურის მნიშვნელობიდან და მისი მძიმე ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, აგრეთვე იმ ფაქტით რომ ეკლესი-ის ტერიტორიაზე ჯერ-ჯერობით შემორჩენილია თითქმის ყველა ძირითადი საპირე ქვა და არქიტექტურული დეტალები, საჭიროდ ვთვლით ეკლესიაზე სარესტავრციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებას საერთაშორისო სარესტავრაციო პრაქტიკაში აღიარებული ანასტილოზის მეთოდის გამოყენებით.
- არქეოლოგიურად შესწავლილ იქნას მილსადენის მიერ ნასოფლარის გადაკვეთის მონაკვეთი.
- პირობითი ნიშნებით მოინიშნოს ქველის გავრცელების საზღვრები (გარკვეულ მონაკვეთებში).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. გრძელიშვილი, თეთრიწყაროს რაიონის ნასოფლარები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, №5.
2. ი. გრძელიშვილი, რუსთაველის ეპოქის ქართული სოფელი, კრებული საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1960.

ბრაზიკული მასალა:

ტახტისწყარო, ნასახლარი და ეკლესია

1. გენგემა

ეკლესია

2. გეგმა

3. ჭრილი 1-1 ხედი ჩრდილოეთით

4. ჭრილი 2-2 ხედი აღმოსავლეთით

5. აღმოსავლეთის ფასადი


6. დასავლეთის ფასადი


7. სამხრეთის ფასადი

8. ჩრდილოეთის ფასადი

9. წყობის ქვები და დეტალები

ტახტისწყარო, ნასახლარი და ეკლესია






ბეგლი 10, კა-93

ტახტისფარო, ეკლესია

ჭრილი 1-1 ხედი ჩრდილოეთით მ. 1:50






ბეგლი 10, კვ-93

ტახტისფართ, ეკლესია



ჭრილი 2-2 ხედი აღმოსავლეთით შ.-1:50

ფუძისხედი შ.-1:20




ბეგლი 10, კბ. 93
 ტახტისფარო, ეკლესია
 აღმოსავლეთის ფასადი მ. 1:50


საფლავის ქვა მ. 1:10




ბეგლი 10, კპ-93
 ტახტისფარი, ეკლესია
 დასავლეთის ფასადი შ. - 1:50




ბეგლი 10, კპ-93
ტახტისფარო, ეკლესია
სამხრეთის ფასადი მ.-1:50




ბეგლო 10, კა.-93
 ტახტისფართო, ეკლესია
 ჩრდილოეთის ფასადი მ. - 1:50





ბ. ა. მ. შ. 18.06.2000

მეგლი 10, 93-93
ტახტისწარმო, ეკლესია
წყლის ძეგლი და დეტალები



ფოტომასალა:

S10-F001	ტახტისწყარო, ეკლესია, ჩრდილოეთის ფასადი.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F002	ტახტისწყარო, ეკლესია, აღმოსავლეთის ფასადი.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F003	ტახტისწყარო, ეკლესია, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F004	ტახტისწყარო, ეკლესია, ხედი სამხრეთიდან გაწმენდის პროცესში.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F005	ტახტისწყარო, ეკლესია, ინტერიერი, არქიტრავის ქვა.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F006	ტახტისწყარო, ეკლესია გაწმენდის შემდეგ, ხედი სამხრეთ-დასავლეთით.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F007	ტახტისწყარო, ეკლესია გაწმენდის შემდეგ, ჩრდილოეთის ფასადი.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F008	*ტახტისწყარო, ეკლესია გაწმენდის შემდეგ, აღმოსავლეთი ფასადი.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F009	ტახტისწყარო, ეკლესია გაწმენდის შემდეგ, აღმოსავლეთი ფასადი.	მ. ბოჭორიძე
S10-F010	ტახტისწყარო, ეკლესია გაწმენდის შემდეგ, სამხრეთ-აღმოსავლეთის ფასადი	მ. ბოჭორიძე
S10-F011	ტახტისწყარო, ეკლესია გაწმენდის შემდეგ, ჩრდილო-აღმოსავლეთი ფასადი	მ. ბოჭორიძე
S10-F012	ტახტისწყარო, ეკლესია გაწმენდის შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთის ფასადი	მ. ბოჭორიძე
S10-F013	ტახტისწყარო, ეკლესია გაწმენდის შემდეგ, დასავლეთის ფასადი	მ. ბოჭორიძე
S10-F014	ტახტისწყარო, ეკლესია გაწმენდის შემდეგ, ჩრდილოეთის ფასადი	მ. ბოჭორიძე
S10-F015	ტახტისწყარო, ეკლესია გაწმენდის შემდეგ, ჩრდილოეთის ფასადის ფრაგმენტი	მ. ბოჭორიძე
S10-F016	ტახტისწყარო, ეკლესია, ინტერიერი გაწმენდამდე, ხედი საკურთხეველზე.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F017	ტახტისწყარო, ეკლესია, ინტერიერი, აბსიდა	მ. ბოჭორიძე
S10-F018	ტახტისწყარო, ეკლესია, ინტერიერი, ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე, საკურთხეველში ამოსული ხის მოჭრის შემდეგ.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F019	ტახტისწყარო, ეკლესია გაწმენდის შემდეგ, არქიტრავის ქვა.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F020	ტახტისწყარო, ეკლესია, სარკმლის დამასრულებელი თავსართი ქვა აღმოსავლეთ ფასადთან.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F021	ტახტისწყარო, ეკლესია, ქვა ჯვრის გამოსახულებით ეკლესიის ეზოში	ი. ელიზბარაშვილი
S10-F022	ტახტისწყარო, ეკლესია, ქვა ჯვრის გამოსახულებით ეკლესიის ეზოში	მ. ბოჭორიძე
S10-F023	ტახტისწყარო, ეკლესია, ზეთისსახადი ქვა ეკლესიის ეზოში	მ. ბოჭორიძე
S10-F024	ტახტისწყარო, ნასოფლარი, საცხოვრებელი ნაგებობის ფრაგმენტი.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F025	ტახტისწყარო, ციკლოპური ნამოსახლარის ფრაგმენტი.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F026	ტახტისწყარო, ნასოფლარი, საცხოვრებელი ნაგებობის ფრაგმენტი.	ი. ელიზბარაშვილი
S10-F027	ტახტისწყარო, ნასოფლარი, ციკლოპური ნაგებობის კვალი.	ი. ელიზბარაშვილი

გადაღებულია 19.08.2003



ეკლესია, ხედი სამხრეთიდან გაწმენდის პროცესში



ეკლესია გაწმენდის შემდეგ, ხედი სამხრეთ-დასავლეთით



ეკლესია გაწმენდის შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთის ფასადი



არქიტრავის ქვა



ეკლესია, ინტერიერი, აბსიდა



ქვა ჯვრის გამოსახულებით



ზეთის სახადი ქვა

ციკლოპური ციხე და ეკლესია “აი ილია”

აღბილმდებარეობა	150
მიმართება მილსაღენთან	150
მოკლე აღწერა.	150
ღაცვითი რეკომენდაციები	150
გავრცელების საზღვრები რუკაზე.	151
ღაცვითი ზონის გეგმა	152
ფოტომასალა.	153

ციკლოპური ციხე და ეკლესია “აი ილია”

(წინაქრისტიანული ხანა, ეკლესია - XX ს.)



აღბილმდებარეობა:

ისტორიული მხარე - ქვემო ქართლი

რაიონი - წალკა

წალკის წყალსაცავსა და სოფელ კარიაკს შორის

მიღსაღენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – kp-124

მიმართება მიღსაღენთან - უახლოესი მანძილი 80 მ.

მოკლე აღწერა:

მაღალი ბორცვის თხემსა და ფერდზე შემორჩენილია ციკლოპური ნაციხარი. ბაზალტის დიდი ზომის არასწორი მოხაზულობის ქვები ფრაგმენტულად შემოუყვება ბორცვის თხემსა და ფერდს. გეგმით ციხე ოვალური მოხაზულობისაა. წყობა მშრალია.


ლოდები გაბნეულია და ერთმანეთისგან მოცილებული. ციხის ტერიტორიაზე, მოსწორებულ ბაქანზე ბერძნების მიერ აგებული დარბაზული ტიპის სამლოცველოა. ეკლესია ნაგებია ბაზალტის საშუალო ზომის ქვის წყობით. გადახურულია წითლად შეღებილი თუნუქით. გეგმით წარმოადგენს სწორკუთხედს. ინტერიერში აღმოსავლეთით ქვაჯვარია ბერძნული წარწერით.

დაცვითი რეკომენდაციები:

პირობითი ნიშნებით მოინიშნოს ძეგლის გავრცელების საზღვრები (გარკვეულ მონაკვეთებში).

ბეგლი 11, ციკლოპური ციხე და
ეკლესია "აი ილია"; კპ.-124
საზღვრების GPS კოორდინატები:

1. ეკლესია - 8422526 - 4612877
2. 8422410 - 4612810
3. 8422410 - 4612950
4. 8422625 - 4612950
5. 8422625 - 4612810




ძეგლი 11, ციკლოპური ციხე და

ეკლესია "აი ილია"; კპ.-124

საზღვრების GPS კოორდინატები:

1. ეკლესია - 8422526 - 4612877
2. 8422410 - 4612810
3. 8422410 - 4612950
4. 8422625 - 4612950
5. 8422625 - 4612810



საქართველოს ICOMOS-ის პაწმირი

პროექტის ხელმძღვანელი:

სპეციალისტები:

- მ. ბოჭორიძე
- ღ. ახალაია
- ღ. ბოჭორიძე

კამერალური სამ. თარიღი: 01.10.2003 წ. - 07.01.2004 წ.

ფოტომასალა:

S11-F001	ციკლოპური ციხე, კრ – 124	მ. ბოჭორიძე
S11-F002	ციკლოპური ციხე, კრ – 124	მ. ბოჭორიძე
S11-F003	ციკლოპური ციხე, კრ – 124	მ. ბოჭორიძე
S11-F004	ციკლოპური ციხე, კრ – 124	მ. ბოჭორიძე
S11-F005	ციკლოპური ციხე, კრ – 124	მ. ბოჭორიძე
S11-F006	ციკლოპური ციხე, კვლევითი “აი ილია”, ინტერიერი	მ. ბოჭორიძე
S11-F007	ციკლოპური ციხე, კვლევითი “აი ილია”, ინტერიერის დეტ.	მ. ბოჭორიძე

გადაღებულია 22.07.2003

მენჭირი “ქააკაცი”

აღბილმდებარეობა	155
მიმართება მილსაღენთან	155
მოკლე აღწერა.	155
დაცვითი რეკომენდაციები	155
გავრცელების საზღვრები რუკაზე.	156
დაცვითი ზონის გეგმა	157
ფოტომასალა.	158

მენჭირი “ქვაკაცი”

(წინაქრისტიანული ხანა, დამუშავებული ქრისტიანულ პერიოდში)



აღბილმდებარეობა:

ისტორიული მხარე - ქვემო ქართლი

რაიონი - წალკა

ეიზილ-ქილისასა და ავრანლოს შორის, მინდორში

მილსაღენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – **kp-140**


მიმართება მილსაღენთან - უახლოესი მანძილი 180 მ.

მოკლე აღწერა:

მენჭირი წარმოადგენს უშველებელ ბაზალტის ქვას მომრგვალებული ძირით და გამოსახულებით ერთ მხარეს. ზოგადი ფორმებით გამოკვეთილია გულხელდაკრეფილი ადამიანის ფიგურა დიდი, მრგვალი თავით, რომელიც მთლიანობაში მონუმენტური ქანდაკების შთაბეჭდილებას ტოვებს, ფიგურა ორიენტირებულია სამხრეთ-დასავლეთით. მის მარცხენა მხარეს, ქვედა ნაწილში ჯვარი და ძლიერ დაზიანებული ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი.

დაცვითი რეკომენდაციები:




გაუკეთდეს პირობითი აღნიშვნა და შემოიღოს ლითონის ბადით (თანახმად ნახაზისა).



ბეგლი 12, მენჰირი; კპ.-140

საზღვრების GPS კოორდინატები:

1. მენჰირი - 8406966 - 4513683
2. 8406956 - 4513673
3. 8406956 - 4513693
4. 8406976 - 4513693
5. 8406976 - 4513673



საქართველოს იმ უ - ის კავშირი

პროექტის ხელმძღვანელი: - მ. ბოჭორიძე
 სპეციალისტები: - ლ. ახალაია
 - ლ. ბოჭორიძე
 გამგეობის სამ. თარიღი: 01.10.2003 წ. - 07.01.2004 წ.

ფოტომასალა:

S12-F001	მეწიერი "ქეკაცი", წაღვის რ-ნი, კრ - 140	მ. ბოჭორიძე
S12-F002	მეწიერი "ქეკაცი", წაღვის რ-ნი, კრ - 140	მ. ბოჭორიძე
S12-F003	მეწიერი "ქეკაცი", წაღვის რ-ნი, კრ - 140	მ. ბოჭორიძე

გადაღებულია 21.07.2003

ნასოფლარი მდინარე ცხრაწყაროს ხეობაში

მღებარეობა	160
GPS კოორდინატები	160
მიმართება მილსადენთან	160
მიმართება გზასთან	160
ბავრცელების საზღვრები რუკაზე.	161
აბსტრაქტი.	162
აღბილმღებარეობისა და გეგმარების ზოგადი აღწერა.	162
ფიზიკური მდგომარეობა და თარიღი.	163
მნიშვნელობა	164
რეკომენდაციები დაცვითი ღონისძიებებისათვის	164
გამოყენებული ლიტერატურა	165
ბრაფიკული მასალა	165
ფოტომასალა.	170

ნასოფლარი მდინარე ცხრაწყაროს ხეობაში

(შუა საუკუნეები)



მდებარეობა

ბორჯომის რაიონი

ისტორიული მხარე – ქვემო ქართლი

უახლოესი დასახლებული პუნქტიდან – სოფელი ციხისჯვრიდან
აღმოსავლეთით 3 - 4 კმ

საცხოვრებელი კომპლექსების GPS კოორდინატები:

8373273 - 4621133	8373395 - 4620930	8373591 - 4620736
8374015 - 4620573	8373908 - 4620517	8373921 - 4620507
8373986 - 4620474	8374005 - 4620462	8373913 - 4620481
8373974 - 4620465	8374097 - 4620411	8373963 - 4620547

თავმოყრილ ნაგებობათა საზღვრების კოორდინატები:

8473865 - 4620450	8474050 - 4620320	8474140 - 4620410
8474045 - 4620610	8473915 - 4620590	

ნავთობსადენთან გადაკვეთის კოორდინატები:

8374136 - 4620406	8373889 - 4620517
-------------------	-------------------


მილსადენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – **kp-85**

მიმართება მილსადენთან

ნასოფლარი გადაკვეთა მილსადენმა

მიმართება გზასთან

ნასოფლარის ტერიტორიაზე ორი სამანქანო გზა უერთდება ერთმანეთს.



აბსტრაქტი

ნასოფლარი მდინარე ცხრაწყაროს ხეობაში (KP181) სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არ არის. იგი პირველად დაფიქსირდა 2003 წელს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფნის II ფაზის საველე სამუშაოებისას. განისაზღვრა, რომ ძეგლს უშუალოდ გადაკეთდა მილი. ამის საფუძველზე ნასოფლარი შევიდა პროექტის III ფაზის საკვლევ ობიექტთა ნუსხაში.

მიმდინარე წელს დაკონკრეტდა ნასოფლარის საზღვრები, ნამოსახლარები განთავისუფლდა მცენარეული საფარისგან, მოხდა მათი საველე შესწავლა, დაზუსტდა ცალკეული კომპლექსების გეგმარება.

სამწუხაროდ, მასალის ლაბორატორიულ კვლევამდე და დასკვნის გაცეამდე, დეპარტამენტთან შეუთანხმებლად დაწყებული მილსადენთან დაკავშირებული სამშენებლო საქმიანობის დროს განადგურდა კომპლექსების გარკვეული ჯგუფი.

ამის გამო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენ ხელთ არსებული მასალა. გამოიკვეთა ძეგლის ზოგადი თარიღი – შუა საუკუნეები. მიუხედავად მოგვიანო პერიოდისა, ნასოფლარის სტრუქტურა და სამშენებლო ტექნიკა ავლენს ნათესაობას ამ რეგიონის ადრეულ ნასოფლარებთან და ინტერესს იწვევს საცხოვრისის ტრადიციული ტიპის სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით. ასევე მეტად მნიშვნელოვანია გადარჩენილი კომპლექსების სათანადო დაცვა-შენარჩუნება.

აღბილმდებარეობისა და გეგმარების ზოგადი აღწერა

ნასოფლარი მდებარეობს გაშლილ, დამრეც რელიეფზე, რომელიც მდინარე ცხრაწყაროს ხეობითაა დასერილი. ჩანს, სწორედ შენაკადების ამგვარ სიმრავლეს პასუხობს მდინარის სახელწოდება – ცხრაწყარო. აღბილმდებარეობიდან გამომდინარე პირობითად ნასოფლარსაც “ცხრაწყაროს” ვუწოდებთ.

დელტის ორ ტოტს შორის არსებულ ტერიტორიაზე და აღმოსავლეთ შენაკადის მეორე ნაპირზე განთავსებულია ნასოფლარის საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსები, რომლებიც ხეობის გასწვრივ – სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ვითარდება.

ნანგრევების სახით მოღწეულ ნასოფლარში იკითხებოდა მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული გეგმარების თორმეტი კომპლექსი. ზოგიერთ მათგანს აშკარად ეტყობა საბჭოთა პერიოდში საქონლის ფერმად გამოყენების კვალი.

“ცხრაწყაროს” ნასოფლარის საცხოვრებელი კომპლექსები მსგავსად ამ რეგიონის სხვა ნასოფლარებისა, ნაშენია დაუმუშავებელი ფლეთილი ქვის წყობით. ლოდები ერთმანეთთან კარგად არის მორგებული და შეკავშირებული ხსნარის გარეშე. ქვები საშუალო ზომისაა და უსწორმასწორო მოხაზულობის. ზოგიერთი სათავსის კედლებს შემდგომი შეკეთების კვალი ატყვია, რომლის დროსაც კიდევ უფრო მცირე ზომის ქვები გამოუყენებიათ. ასეთ შეკეთებულ მონაკვეთებში კედლის ზედაპირი დეფორმირებულია და ქვები ერთმანეთს მჭიდროდ არ უკავშირდება. შენობების კედლის სისქე 120 სმ - დან 150 სმ - მდე მერყეობს.

ნამოსახლარების გეგმარება არაერთგვაროვანია, თუმცა მათ სტრუქტურაში, სათავსების რაოდენობასა და განაწილებაში საერთო პრინციპი ჩანს:

- კომპლექსები მდინარისკენაა გახსნილი;
- სადგომები ნაწილობრივ მიწაშია ჩამჯდარი;
- გეგმით სწორკუთხა სათავსთა რაოდენობა 3-დან 5-მდე მერყეობს;
- კარის ღიობები მეტწილად სათავსების კუთხეშია მოწყობილი;
- სადგომების კუთხეები უმთავრესად მომრგვალებულია.
- კომპლექსის შემადგენლობაში მოზრდილი სადგომი, ძირითადად, ორია, წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის; ხშირად ერთ-ერთის წინ პატარა დერეფანი კეთდება. ამ კვანძს ირეგულარული გეგმა აქვს და ვიწრო ყელით პლასტიკურად ერწყმის დიდ სადგომში შესასვლელს. ზოგ შემთხვევაში დიდ სადგომებშიც ვხვდებით ირეგულარულ გეგმარებას და კედლების მრუდე ხაზებს;
- კომპლექსებს ახლავს პატარა მრგვალი ოთახი, რომელსაც, ძირითადად, განაპირა მდებარეობა უკავია;
- კომპლექსებში, ჩანს გაერთიანებული იყო საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სათავსები; მათ ახლავს, ასევე კედლით შემოზღუდული მოზრდილი სამეურნეო ეზოები, რომლებიც ხვეისკენ ვითარდება. ასეთია “ცხრაწყაროს” ნასოფლარის კომპლექსების ძირითადი თავისებურებები.

ნიშანდობლივია, რომ ახლოს, სამასიოდ მეტრის დაშორებით დასავლეთის მიმართულებით, ტყით დაფარულ ცხრაწყაროს ხევთაშუებში, კიდევ ერთი, უფრო დიდი და შედარებით ადრეული ნასოფლარის ნაშთია შემონახული. აქვე ყოფილა ეკლესიაც, რომლის გეგმა მიწითაა დაფარული; შემორჩენილია საკურთხეველისწინა ჯვრის ბაზისი წინა მხარეს გამოკეტილი მომრგვალებულმკლავიანი ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. მიმდინარე წელს, ამ ნასოფლარის მიდამოებში ხევში ჩაგდებული წისქვილის ძველი ქვაც იქნა აღმოჩენილი.

ნასოფლარის სიდიდე, ნანგრევების სახით მოღწეული კომპლექსების მასშტაბურობა, ეკლესიისა და წისქვილის არსებობა, საკურთხეველისწინა ჯვრის ბაზისის გაფორმება, მშრალად ნაწყობი დიდ ღოდებიანი კედლები, ქვის ნაპირებიანი რუ და სოფლის გზის ფრაგმენტი ავლენს, რომ საქმე გვაქვს კარგად განვითარებულ, ადრეული ხანის (Xს.) ნამოსახლართან.

ფიზიკური მდგომარეობა და თარიღი

“ცხრაწყარო” ნანგრევების სახით მოღწეულ ნასოფლარს წარმოადგენდა, სადაც იკითხებოდა როგორც დასახლების საერთო სტრუქტურა, ასე ცალკეული ნამოსახლარის გეგმარების თავისებურებები.

კომპლექსებში უკეთ იყო შემორჩენილი ზურგის მხარეები, ანუ ძირითადად სათავსების ის ნაწილი, რომელიც მეტად იყო ჩამჯდარი მიწაში. მათი კედლების სიმაღლე ხშირ შემთხვევაში 2 მეტრს აღემატებოდა; შესაბამისად, უფრო დაზიანებული იყო ნამოსახლარების წინა ნაწილები. აქ კედლები ან მიწის დონეზე იყო შემორჩენილი და მხოლოდ გეგმად იკითხებოდა, ან საშუალოდ 0.5 მეტრის სიმაღლით იდგა.

როგორც აღვნიშნეთ, ნასოფლარი “ცხრაწყარო” მსგავსებას ამჟღავნებს სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ამ რეგიონის სხვა ნასოფლარებთან (თორი, სვინის ძირი, გოგიხანთ დელე და სხვა). ეს ეხება როგორც სამშენებლო მასალას – ფლეთილი ქვა, სამშენებლო ტექნიკას – მშრალი წყობა, ასევე გეგმარების გარკვეულ თავისებურებებს – სათავსების რაოდენობა, განაპირა მდებარე მრგვალი კამერა, გადახურვის კონსტრუქციის სავარაუდო ერთგვაროვნება და

სხვა. თუმცა, მიუხედავად მითითებული მსგავსებისა განსხვავებაც თვალსაჩინოა: მილსადენის დერეფანში მდებარე ნასოფლარის ნაგებობები შედარებით წერილი ქვითაა ნაშენი, კედლებიც უფრო თხელია, განსხვავებით ადრე შუასაუკუნეების სხვა ნასოფლარებისგან, სადაც კედლის სისქე საშუალოდ 2 მ-ს ფარგლებშია.

ეს განსხვავება “ცხრაწყაროს” ნასოფლარის მოგვიანო თარიღით უნდა იყოს განპირობებული.

რაც შეეხება გეგმარებას, ამ მხრივ კომპლექსების აგებულება შედარებით გამარტივებულია, შემცირებულია სათავსების რაოდენობა და ზომები.

მნიშვნელობა

როგორც აღინიშნა მდინარე ცხრაწყაროს დელტაში განთავსებულია ორი ნასოფლარი – ერთი სავარაუდოდ Xს-ის, ხოლო მეორე, ჩვენი შესწავლის ობიექტი – მოგვიანო ხანისა. მათთან ერთად, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი, ამ მიდამოების სხვა ნასოფლარების სიმრავლე აჩვენებს ტერიტორიის ინტენსიურ განაშენიანებას წარსულში. ჩვენს მიერ დაფიქსირებული ნასოფლარები, ბუნებრივია, მრავალი დამატებითი ინფორმაციის შემცველია. მათი შემდგომი კვლევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ხალხური არქიტექტურის ევოლუციის ხაზის უფრო სრულყოფილად გამოკვეთაში.

კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება აღინიშნოს, რომ აღწერილი ნასოფლარების შედარებამ რეგიონის სხვა ნასოფლარებთან საინტერესო სურათი აჩვენა: უცვლელია განაშენიანების ტიპი, გეგმარების გარკვეული ნიუანსები, სამშენებლო მასალა, სამშენებლო ტექნიკა, გადახურვის სავარაუდო სახეები.

ყოველივე ამან კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა როგორი მყარი იყო სამშენებლო ტრადიციები ხალხურ არქიტექტურაში დროის ხანგრძლივ მონაკვეთში.


რეკომენდაციები ღაცვითი ღონისძიებებისათვის


სპეციალისტების მიერ შესწავლილი იქნა ნასოფლარის მიწისზედა ძეგლები. ჩატარდა შემდეგი სახის სამუშაოები: აღწერა, ფოტოდოკუმენტაცია, დამუშავდა გენგეგმა, ნაგებობათა ფიქსაცია არქიტექტურული ნახაზების შესრულებით, ნასოფლარის გავრცელების საზღვრების დადგენა რუქაზე დატანით და ფიზიკური მდგომარეობის შეფასება.

ნასოფლარი “ცხრაწყარო” იმ ობიექტთა ნუსხაშია, რომლებიც უშუალოდ მილსადენის ხაზზე მდებარეობს. დეპარტამენტთან შეუთანხმებელი სამშენებლო სამუშაოების დროს, როგორც აღვნიშნეთ, ისინი ნაწილობრივ განადგურდა. ამის გამო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნასოფლარის გადარჩენილი არქიტექტურული კომპლექსების უდანაკარგოდ შენარჩუნება. ეს ეხება მდინარე ცხრაწყაროს აღმოსავლეთის შენაკადის მარჯვენა ნაპირზე მდებარე, უკეთესად შემორჩენილი გეგმარების მქონე იმ კომპლექსებს, სადაც ახლო წარსულში მწყემსების მიერ სადგომების გამოყენების და გადაკეთების კვალი არ შეიმჩნევა. მათ შორისაა ყველაზე უკეთ შემორჩენილი მრგვალკამერიანი ნამოსახლარიც.


იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპლექსების დაცვა, საჭიროა:

- პირობითი ნიშნებით მოინიშნოს ნასოფლარი გარკვეულ მონაკვეთებში
- მილსადენის მშენებლობის პროცესში გადარჩენილი კომპლექსები შემოიფარგლოს ბადით
- სამანქანო გზის ნაპირში დაიდგას ბარიერი, რათა მძიმე ტექნიკამ არ დააზიანოს გადარჩენილი კომპლექსები, რომელიც გზის უშუალო სიახლოვესაა და მიწის დონიდან ჩაღრმავებულია






ნაშთსახლარი 3-ის გეგმა 1:100




გეგმა 13, კ. 181
ნაშთსახლარი 3-ის გეგმა
ნაშთსახლარი 3-ის გეგმა - 2 და 3

ნაშთსახლარი 2-ის გეგმა 1:100




გეგმა 4-4 1:100


გეგმა 5-5 1:100



ნამოსახლარი 4-06 გეგმა შ. 1:1000




ნამოსახლარი 5-06 გეგმა შ. 1:1000



ძეგლი 13, კპ-181
ნასოფლარი მღ. ცხრაფხაროს ხეობაში
ნამოსახლარის ფრაგმენტი - 4 და 5

პროექტი 6-6 შ. 1:1000



პროექტი 7-7 შ. 1:1000



ფოტომასალა:

S13-F001	წისკილის ქვა	მ. სურამელაშვილი
S13-F002	ნაგებობის ნანგრევები	მ. სურამელაშვილი
S13-F003	სათავსების ნანგრევები	მ. სურამელაშვილი
S13-F004	კედლის ფრაგმენტი	მ. სურამელაშვილი
S13-F005	ქვაფუძის ბაზისი	მ. სურამელაშვილი
S13-F006	კომპლექსი მდინარე ცხრაწყაროს მარჯვენა ნაკადულის მარცხენა ნაპირზე, ნასოფლარის ზედა ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S13-F007	კედლის წყობა	მ. სურამელაშვილი
S13-F008	კომპლექსი მარცხენა ნაკადულის მარჯვენა ნაპირთან	მ. სურამელაშვილი
S13-F009	კომპლექსი მარცხენა ნაკადულის მარჯვენა ნაპირთან	მ. სურამელაშვილი
S13-F010	კომპლექსი მარცხენა ნაკადულის მარჯვენა ნაპირთან	მ. სურამელაშვილი
S13-F011	ორ შენაკადს შორის მდებარე კომპლექსის გაწმენდა მცენარეებისგან	მ. სურამელაშვილი
S13-F012	ზედა კომპლექსი მარჯვენა ნაკადულის მარჯვენა მხარეს, მრგვალი სათავსი	მ. სურამელაშვილი
S13-F013	კომპლექსი მარცხენა ნაკადულის მარჯვენა ნაპირთან	მ. სურამელაშვილი
S13-F014	ქვედა კომპლექსი მარჯვენა ნაკადულის მარცხენა მხარეს	მ. სურამელაშვილი
S13-F015	ქვედა კომპლექსი მარჯვენა ნაკადულის მარცხენა მხარეს	მ. სურამელაშვილი
S13-F016	ქვედა კომპლექსი მარჯვენა ნაკადულის მარცხენა მხარეს	მ. სურამელაშვილი
S13-F017	ქვედა კომპლექსი მარჯვენა ნაკადულის მარჯვენა ნაპირთან	მ. სურამელაშვილი
S13-F018	ქვედა კომპლექსი მარჯვენა ნაკადულის მარცხენა მხარეს	მ. სურამელაშვილი
S13-F019	ზედა კომპლექსი მარჯვენა ნაკადულის მარჯვენა მხარეს, მრგვალი სათავსი	მ. სურამელაშვილი
S13-F020	კომპლექსი მარცხენა ნაკადულის მარჯვენა ნაპირთან, კარის ღიობი	მ. სურამელაშვილი
S13-F021	ქვედა კომპლექსი მარჯვენა ნაკადულის მარცხენა მხარეს	მ. სურამელაშვილი
S13-F022	ნასოფლარი ცხრაწყაროს ტერიტორიის საერთო ხედი	მ. სურამელაშვილი
S13-F023	ნასოფლარი ცხრაწყარო, ნაგებობის კედელი	ლ. ბოკუჩავა
S13-F024	ნასოფლარი ცხრაწყარო, ნაგებობის კედელი	ლ. ბოკუჩავა
S13-F025	ნასოფლარი ცხრაწყარო, ნაგებობის კედელი	ლ. ბოკუჩავა
S13-F026	ნასოფლარი ცხრაწყარო, გაწმენდის პროცესი	ლ. ბოკუჩავა
S13-F027	ნასოფლარი ცხრაწყარო, ნაგებობის ფრაგმენტი	ლ. ბოკუჩავა
S13-F028	ნასოფლარი ცხრაწყარო, ნაგებობის ფრაგმენტი	ლ. ბოკუჩავა
S13-F029	ნასოფლარი ცხრაწყარო, ნაგებობის ფრაგმენტი	ლ. ბოკუჩავა
S13-F030	ნასოფლარი ცხრაწყარო, ნაგებობის ფრაგმენტი	ლ. ბოკუჩავა
S13-F031	ნასოფლარი ცხრაწყარო, ნაგებობის ფრაგმენტი	ლ. ბოკუჩავა
S13-F032	ნასოფლარი ცხრაწყარო, ნაგებობის ფრაგმენტი	ლ. ბოკუჩავა
S13-F033	ნასოფლარი ცხრაწყარო, ნაგებობის ფრაგმენტი	ლ. ბოკუჩავა
S13-F034	ნასოფლარი ცხრაწყარო, ნაგებობის ფრაგმენტი	ლ. ბოკუჩავა
S13-F035	ნასოფლარი ცხრაწყარო, ნაგებობის ფრაგმენტი	ლ. ბოკუჩავა

გადაღებულია 26.08.2003



კომპლექსი მარცხენა ნაკადულის მარჯვენა ნაპირთან



კომპლექსი მარცხენა ნაკადულის მარჯვენა ნაპირთან, კარის ღიობი



კომპლექსი მარცხენა ნაკადულის მარჯვენა ნაპირთან



ქვედა კომპლექსი მარჯვენა ნაკადულის მარცხენა მხარეს



წისქვილის ქვა



ქვაჯვარის ბაზისი

წმინდა მარიამის ეკლესია და ნამოსახლარი

აღბილმდებარეობა	174
მიმართება მილსაღენთან	174
მოკლე აღწერა.	174
ღაცვითი რეკომენდაციები	174
გავრცელების საზღვრები რუკაზე.	175
ღაცვითი ზონის გეგმა	176
ფოტომასალა.	177

წმინდა მარიამის ეკლესია და ნამოსახლარი

(ნამოსახლარი და ქართული ნაეკლესიარი - განვითარებული
შუა საუკუნეები, ბერძნული ეკლესია - XX ს)



აღბილმდებარეობა:

ისტორიული მხარე - თორი

რაიონი - ბორჯომი

ციხისჯვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეში, მთის ფერდზე

მილსადენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – kp-185

მიმართება მილსადენთან - უახლოესი მანძილი 80 მ.

მოკლე აღწერა:

ტყით დაფარული მთის ერთ-ერთ მდელოზე, ძველ ნასოფლარზე, რომელიც მთის ფერდის დიდ ნაწილს მოიცავს, დგას XX ს-ის ბერძნული, მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესია. იგი ძველ ქართულ ნაეკლესიარზეა აგებული. ქართული ეკლესიის გეგმა სცილდება ამჟამინდელი ნაგებობის ფარგლებს. მხოლოდ საკურთხეველშია ძველი წყობის ქვედარიგი დაცული.

ნამოსახლარი მძლავრი მონუმენტური ქვის ლოდებით არის ნაგები. ალაგ-ალაგ მშრალი წყობის კედლების ფრაგმენტებია შემორჩენილი.


დაცვითი რეკომენდაციები:

გაუკეთდეს პირობითი აღნიშვნები გავრცელების საზღვრებს. შემოიღოს ლითონის ბადით მილსადენთან მომიჯნავე მონაკვეთი. მშენებლობის პროცესი წარიმართოს არქეოლოგიური ზედამხედველობით.

დეგლი 14, სოფ. ციხისჯვარი, კპ.-185
წმ. მარიამის ეკლესია და ნამოსახლარი.

საზღვრების GPS კოორდინატები:


1. ეკლესია - 8370190 - 4620718
2. - 8370225 - 4620645
3. - 8370338 - 4620740
4. - 8370259 - 4620847
5. - 8370120 - 4620730
6. - 8370165 - 4620634



ბეგლი 14, სოფ. ციხისჯვარი, კპ.-185
წმ. მარიამის ეკლესია და ნამოსახლარი.

საზღვრების GPS კოორდინატები:

1. ეკლესია - 8370190 - 4620718
2. - 8370225 - 4620645
3. - 8370338 - 4620740
4. - 8370259 - 4620847
5. - 8370120 - 4620730
6. - 8370165 - 4620634



საქართველოს იმ უ - ის კავშირი

პროექტის ხელმძღვანელი: - მ. ბოჭორიძე
სპეციალისტები: - ლ. ახალაია
- ლ. ბოჭორიძე
კამერალური სამ. თარიღი: 01.10.2003 წ. - 07.01.2004 წ.

ფოტომასალა:

S14-F001	წმინდა მარიამის ეკლესია და ნამოსახლარი, კრ - 185	მ. პოჭოძე
--------------------------	--	-----------

გადაღებულია 21.08.2003

ციხისჯვარი, ნასოფლარი ეკლესიით

აღბილმდებარეობა	179
მიმართება მილსაღენთან	179
მოკლე აღწერა.	179
ღაცვითი რეკომენდაციები	179
ბავრცელების საზღვრები რუკაზე.	180
ღაცვითი ზონის გეგმა	181
ფოტომასალა.	182

ციხისჯვარი, ნასოფლარი ეკლესიით

(თარიღი არ დგინდება)



აღბილმდებარეობა:

ისტორიული მხარე - თორი

რაიონი - ბორჯომი

ციხისჯვარიდან დასავლეთით 400 მ მდინარის მარცხენა ნაპირზე

მილსაღენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – **kp-186**

მიმართება მილსაღენთან - უახლოესი მანძილი 200 მ.

მოკლე აღწერა:

ნასოფლარი მდინარის მაღალ კლდოვან ნაპირზე მდებარეობს, შემორჩენილია დიდი ღოდებით ნაგები ნასახლარები და ნაეკლესიარი (წმ.გიორგის სახელობის).

ნასახლარების გეგმა ძნელად იკითხება.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა, შემორჩენილია აფსიდის, გრძივი კედლების ნაწილი და ერთადერთი სარკმელი აღმოსავლეთით. შენობა სანახევროდ მიწაშია ჩაფლული. საკურთხეველში დგას ტრაპეზის ქვა. ეკლესიას გარს უვლიდა დიდი ღოდებით, მშრალად ნაწყობი გალავანი, რომელიც ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. ეკლესია გადახურულია ბერძნების მიერ.


დაცვითი რეკომენდაციები:

გაუკეთდეს პირობითი აღნიშვნები გავრცელების საზღვრებს მშენებლობის პროცესი წარიმართოს არქეოლოგიურ სამსახურთან შეთანხმებით და შედამხედველობით.

ბეგლი 15, სოფ. ციხისჯვარი,
ნამოსახლარი ეკლესიით კპ.-186


საზღვრების GPS კოორდინატები:

1. ეკლესია - 8369333 - 4621446
2. - 8369387 - 4621406
3. - 8369253 - 4621406
4. - 8369253 - 4621510
5. - 8369387 - 4621510



მეგლი 15, სოფ. ციხისჯვარი,
ნამოსახლარი ეკლესიით კპ.-186
საზღვრების GPS კოორდინატები:

1. ეკლესია - 8369333 - 4621446
2. - 8369387 - 4621406
3. - 8369253 - 4621406
4. - 8369253 - 4621510
5. - 8369387 - 4621510



საქართველოს ICOMOS-ის კავშირი

პროექტის ხელმძღვანელი: - მ. ბოჭორიძე
სპეციალისტები: - ღ. ახალაია
- ღ. ბოჭორიძე
კამერალური სამ. თარიღი: 01.10.2003 წ. - 07.01.2004 წ.

ფოტომასალა:

S15-F001	ნასოფლარი ეკლესიით სოფ. ციხისჯვართან, კრ - 186	მ. ბოჭორიძე
S15-F002	ნასოფლარი ეკლესიით სოფ. ციხისჯვართან, კრ - 186	მ. ბოჭორიძე
S15-F003	ნასოფლარი ეკლესიით სოფ. ციხისჯვართან, კრ - 186	მ. ბოჭორიძე

გადაღებულია 22.08.2003


ქვეყრილები

“ციკლოპური” ციხე – ნამოსახლარი

მდებარეობა	184
GPS კოორდინატები	184
მიმართება მილსადენთან	184
გავრცელების საზღვრები რუკაზე.	185
აბსტრაქტი.	186
ადგილმდებარეობის ზოგადი აღწერა.	186
“ციკლოპური” ციხე-ნამოსახლარის აღწერა	186
მნიშვნელობა და ზოგადი თარიღი	187
რეკომენდაციები კვლევის შესანარჩუნებლად	188
გამოყენებული ლიტერატურა	188
ბრაფიკული მასალა	189
ტოპოგრაფიული რუკა	190
ფოტომასალა.	191

ქეაყრილები

“ციკლოპური” ციხე – ნამოსახლარი
(წინაქრისტიანული ხანის მეგალითური კულტურის ძეგლი
გამოყენებული შუა საუკუნეებში.)



მდებარეობა

ისტორიული მხარე – თორი
ბორჯომის რაიონი
სოფელი საკირის აღმოსავლეთით 5კმ-ზე

GPS კოორდინატები ბავრცელების საზღვრებისათვის

8362600 - 4623180	8362590 - 4623250	8362720 - 4623400
8362900 - 4623570	8363100 - 4623615	8363280 - 4623510
8363270 - 4623350	8363170 - 4623120	8362950 - 4623195
8362800 - 4623230		


GPS კოორდინატები ბაღაკვეთის ხაზზე

აღმოსავლეთ კიდედან	8363197 - 4623182
დასავლეთ კიდედან	8362678 - 4623351

მილსადენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – kp-194

მიმართება მილსადენთან

ძეგლს ქვედა ნაწილში კვეთს მილსადენი. აქ განსაკუთრებით ინტენსიურია ნაშალი სტრუქტურების თავმოყრა, გამოყენებული ღოდების ზომებიც გამორჩეულად დიდია.



აბსტრაქტი

ბორჯომის რაიონის სოფელ საკირის აღმოსავლეთით მდებარე მაღალი მთის ქედზე, კოდიანის უღელტეხილის მახლობლად, შემორჩენილია მეგალითური კულტურის გრანდიოზული ძეგლი, რომლის გრძივი ღერძი 800 მეტრს უდრის; მის გასწვრივ განვითარებულ, უზარმაზარი ღოდებით ნაგებ ნაშალ სტრუქტურებს დამრეცი თხემები და მიმდებარე ტაფობები უკავია.

ეს არის მრავალრიცხოვანი ნაგებობისაგან შემდგარი გამაგრებული დასახლება, რომლის გეგმარებაში ჭარბობს სხვადასხვა ზომის მომრგვალებული შენობის ნაშთი, დიდი ტერიტორიების შემომფარგლავი კედელ-ზღუდეები, იკითხება კომუნიკაციების გაბნეული ფრაგმენტები.

ქვაყრილები 2002 წელს გამოვლინდა ძეგლთა დაცვის ექსპერტების მიერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დერეფნის საველე შესწავლისას. 2003 წელს, III ფაზის სამუშაოების დროს დაზუსტდა ძეგლის გაგრძელების საზღვრები, განხორციელდა კომპლექსური საფიქსაციო სამუშაოები (აღწერილობითი, გრაფიკული, ფოტო, ტოპოგრაფიული), განისაზღვრა მილსადენთან მიმართება და შემუშავებული იქნა დაცვითი რეკომენდაციები. ძეგლის გამორჩეული სიდიდის, ძლიერი დაზიანების და სპეციფიკური სირთულეების გამო მოცემული ვადა – 4 სამუშაო დღე – ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა.

ქვაყრილების შემდგომი მეცნიერული შესწავლა და ჩვენამდე მოღწეულ ამ ტიპის ძეგლებს შორის მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა მომავლის საქმეა; ამ ეტაპზე ერთი რამ უდავოა – იგი ერთ-ერთი საინტერესო გამაგრებული “ციკლოპური” ნამოსახლარია, რომლის არსებობა დროის ხანგრძლივ პერიოდს მოიცავდა; სავარაუდოა ისიც, რომ, მიუხედავად დროის შესაბამისი გარკვეული მოდიფიკაციისა, სტრატეგიული დანიშნულება მის წამყვან ფუნქციას შეადგენდა საუკუნეების მანძილზე, რაც აქვე, კოდიანის უღელტეხილზე გამავალი მნიშვნელოვანი საგზაო მაგისტრალის კონტროლსა და დაცვაშიც გამოიხატებოდა ალბათ.

აღბილმდებარეობის ზოგადი აღწერა

მეგალითური კულტურის ძეგლი ქვაყრილები კოდიანის უღელტეხილის მახლობლად, მაღალი მთის წვერიდან დაშვებული მკვეთრად დამრეცი თხემებისა და ტაფობების მონაცვლეობით შემდგარი ფერდობის დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს შავ-ტბის სერს ეძახის. “ციკლოპური” ციხე-ნამოსახლარის გრძივი ღერძი 800 მეტრამდეა და ნანგრევები ინტენსიურად მის გასწვრივ იყრის თავს. ყველაზე ზედა ნაშალი სტრუქტურები ზღვის დონიდან 2233 მეტრზე შეინიშნება, ხოლო ქვემოთ, სოფელი საკირის მწვემსების საზაფხულო ბინების მიდამოებში, ზღვის დონიდან 2090 მეტრის დონეზე წყდება. მთის კალთა ამ ნაწილში, ძირითადად, მცენარეული საფარის გარეშე, ალაგ-ალაგ პატარა წიწვოვანი კორომებია გაბნეული.

“ციკლოპური” ციხე-ნამოსახლარის აღწერა

ქვაყრილები მეგალითური კულტურის გრანდიოზული ძეგლია, როგორც დაკავებული ტერიტორიით და ცალკეული ნაწილების სიდიდით, ასევე გამოყენებული ღოდების მასიურობით.

“ციკლოპურ” ციხე-ნამოსახლარში ნაგები და ბუნებრივი სტრუქტურები ისეა ერთმანეთს შეზრდილი, რომ ძნელი ხდება მათი გამოიჯენა. ცალკეულ მონაკვეთებში ქვები ისეა ჩამოზავებული, რომ ერთი შეხედვით ბუნებრივ გროვებად აღიქმება. დაკვირვებისას ეს გროვები, იმის მიხედვით ერთ ადგილზეა ისინი კონცენტრირებული, თუ ზოლებად ნაწილდება დიდ ტერიტორიაზე, დამოუკიდებელი ნაგებობის და კედელ-ზღუდეების ნანგრევებთან იდენტიფიცირდება.

ძეგლის ტერიტორიაზე ნაშალი სტრუქტურების ინტენსიური თავმოყრა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით განვითარებული გრძივი ღერძის გასწვრივ შეინიშნება; ამ ნაწილში, სერზე მონაცვლეობით განაწილებულ ქანობებსა და მოვაკებულ ადგილებში თავმოყრილი ღოდები უფრო მასიურია და გეგმარებაც შედარებით უკეთ იკითხება. როგორც ჩანს, ძეგლის ზოგად გეგმარებაში ჭარბობდა მრგვალი სტრუქტურები. ასეთი წრიული ნაშალები, რომლებიც ზომის მხრივ სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან, აურაცხელი რაოდენობითაა გამაგრებული ციხე-ნამოსახლარის ტერიტორიაზე. ნამოსახლარის სამხრეთ ნაპირში, კოხი-წყაროსკენ, დიდი არეების შემომფარგლავ ზოლებად დარჩენილია გამწკრივებული ნაშალი ქვები; შესაძლოა, ზღუდეები აქ სამეურნეო ეზოებს ფარგლავდა.

ძეგლის ქვედა დამასრულებელ ნაწილში, ვეებერთელა მონოლითების თავმოყრასა და მათ განაწილებაში რელიეფზე, მძლავრი კედლისა და “კარიბჭის” წაშლილი კვალი იკითხება თითქოს. ისე როგორც ცალკეულ სხვა ადგილებში, აქაც, დახვავებული ღოდების გროვებში ქვებს შორის სიცარიელე და ღრმა ნაპრალები შეინიშნება. მილსადენი ძეგლს სწორედ ამ, უზარმაზარი ღოდების ინტენსიური თავმოყრის ნაწილში კვეთს მთელ სიგანეზე.

მნიშვნელობა და ზოგადი თარიღი

ქვაყრილები ღოდოვანი მასალის, ქვის მშრალი წყობის, სამშენებლო ტექნიკის და გავრცელების გრანდიოზული მასშტაბის თვალსაზრისით, მეგალითური კულტურის დამახასიათებელი ნიმუშია.

ზოგადი გეგმარებიდან გამომდინარე, სადაც ზღუდეებით შემოფარგლული ტერიტორიების შიგნით ნაგებობებისა და სათავსების სიმრავლე იკითხება, მას მხოლოდ სათავდაცვო ფუნქცია არ უნდა ჰქონოდა და სტაციონარული გამაგრებული დასახლების ნიმუშად გვესახება.

ამ ტიპის ძეგლები საქართველოში ცნობილია თრიალეთში, ჯავახეთში, ქვემო ქართლში. ბოლო ხანს ასეთი ძეგლები გამოვლინდა არაგვის, ქსნისა და თერგის ხეობების სათავეებშიც. თითქმის ყველა ძეგლი მდებარეობს სტრატეგიულ პუნქტებში, უღელტეხილებზე, დიდ და პატარა ხეობებზე გამავალ საგზაო მაგისტრალზე.

საქართველოში არქეოლოგიურად შესწავლილია, არქიტექტურულად და ტოპოგრაფიულად აზომილი და აგეგმილია რამდენიმე “ციკლოპური” ნამოსახლარი და ციხე თრიალეთსა და ჯავახეთში. მათი აგების სავარაუდო თარიღად ძვ. წ. II ათასწლეულია მიჩნეული.

მეგალითური კულტურის ძეგლები გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. მათი შექმნისა და ფუნქციის პრობლემა სრულად არ არის შესწავლილი.

აქედან გამომდინარე მათ დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო კულტურის ისტორიისათვის.

მსგავსად სხვა “ციკლოპური” ძეგლებისა, შუა საუკუნეებში ქვაყრილების შემდგომი გამოყენება, ბუნებრივია, ცვლილებებს შეიტანდა მის სტრუქტურაში. ეს ფაქტორი რა თქმა უნდა ართულებს ისედაც მძიმე დანაკარგებითა და სახეცვლით მოღწეული ძეგლის წაკითხვას. სრულიად აშკარაა, რომ მეგალითური კულტურის ამ საინტერესო ძეგლის შემდგომი შესწავლა შეავესებს ჩვენს ცოდნას და მრავალ საკითხს მოფენს ნათელს.

რეკომენდაციები ძეგლის მუდმივად შესანარჩუნებლად

III ეტაპის ჩატარებული სამუშაოების შედეგად შესრულდა ციხე-ნამოსახლარის ტერიტორიის ტოპოგრაფიული ფიქსაცია, შესრულდა გენგეგმა და ფოტოდოკუმენტაცია. დაზუსტდა გავრცელების საზღვრები და მოხდა მათი დატანა რუკაზე. აღიწერა ეკლესიების ფიზიკური მდგომარეობა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი კვეთს ციხე-ნამოსახლარს (მილსადენის გადაკვეთის კოორდინატებია: 8363197-4623182; 8362678-4623351).

მეგალითური კულტურის ძეგლების შესწავლისა და დაცვის საქმეში ბოლო ხანს გადამგზავნი ნაბიჯების მიუხედავად, სირთულეები მაინც მრავლადაა, რაც პირველ რიგში ამ ტიპის ძეგლების შენარჩუნების პრობლემას უკავშირდება. წინაქრისტიანული ხანის ეს ძეგლები (ძვ.წთ. XV საუკუნიდან მოყოლებული) განადგურების პირასაა მისული. ამის გამო ყოველი ახალი ნიშნის გამოვლენა და დაცვა დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ბუნებრივია ეს ეხება “ქვაყრილებსაც”.


მილსადენი გადაკვეთს ძეგლს უკეთ შენარჩუნებულ ნაწილში. ამ გარემოების გათვალისწინებით აუცილებლად მიგვაჩნია შესრულდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

- გადატანილი იქნას მილსადენი მოშორებით, უფრო სამხრეთ მონაკვეთში, სადაც შესაძლოა კიდევ ვრცელდებოდა ძეგლის საზღვრები, მაგრამ მისი ხილული კვალი დღეს არ იკითხება;
- იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გაზიარებული მილსადენის გადატანა ძეგლის ფარგლებს გარეთ, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მოხდეს იმ ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა, რომელსაც განადგურების საფრთხე ემუქრება.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ახალი პრობლემა საქართველოს ისტორიაში, მნათობი №2, თბ., 1925
2. ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, თბ., 1938
3. თრიალეთის “ციკლოპური” ნაგებობები, მასალები კომპიუტერული ბანკისათვის (შემსრულებლები: გ. ნარიშკინი, გ. მინდიაშვილი, ნ. შანშაშვილი, ლ. ახალაია, გ. ჭანიშვილი, შ. მელიქიძე, ა. თევზაძე, ბ. გლურჯიძე), ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა, 1998
4. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბ., 1985

ბრავიკული მასალა: 1. გენგემა



ტოპოგრაფიული რუკა



ფოტოგრაფია:

S16-F001	ქველილების ციხე-ნამოსახლარი	მ. ბოჭორიძე
S16-F002	ქველილების ციხე-ნამოსახლარი	მ. ბოჭორიძე
S16-F003	ნაშალი სტრუქტურები შავების სერის ზედა ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S16-F004	კოხიწყაროს მიმართულებით განვითარებული სტრუქტურების ნაშთები	მ. სურამელაშვილი
S16-F005	ქველილების სამხრეთის ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S16-F006	ნაგები სტრუქტურების ნაშთი მილსადენის მიერ ქველის გადაკვეთის ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S16-F007	ქველილების ციხე-ნამოსახლარი	მ. ბოჭორიძე
S16-F008	ქველილების ციხე-ნამოსახლარი	მ. ბოჭორიძე
S16-F009	ქველილების ციხე-ნამოსახლარი	მ. ბოჭორიძე
S16-F010	ქველილების ციხე-ნამოსახლარი	მ. ბოჭორიძე
S16-F011	ნაგები სტრუქტურების კვალი მთის ზედა ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S16-F012	ქველილების ციხე-ნამოსახლარი	მ. ბოჭორიძე
S16-F013	ქველილების ციხე-ნამოსახლარი	მ. ბოჭორიძე
S16-F014	ქველილების ციხე-ნამოსახლარი	მ. ბოჭორიძე
S16-F015	ქველილების ციხე-ნამოსახლარი	მ. ბოჭორიძე
S16-F016	ნაშალი სტრუქტურა ზედა ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S16-F017	ზღუდეების კვალი შავების სერის ზედა, მოსწორებულ მონაკვეთში	მ. სურამელაშვილი
S16-F018	ნაგები სტრუქტურების ნაშთი სერის შუა მონაკვეთის სამხრეთ ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S16-F019	ნაგები სტრუქტურების ნაშთი სერის შუა მონაკვეთის სამხრეთ ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S16-F020	ნაგები სტრუქტურების ნაშთი სერის ქვედა ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S16-F021	ნაგები სტრუქტურების ნაშთი მილსადენის მიერ ქველის გადაკვეთის ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S16-F022	ნაგები სტრუქტურების ნაშთი მილსადენის მიერ ქველის გადაკვეთის ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S16-F023	ნაგები სტრუქტურების კვალი ქვედა ნაწილში	მ. სურამელაშვილი
S16-F024	გეგმით მრგვალი სტრუქტურის კვალი	მ. სურამელაშვილი
S16-F025	სტრუქტურების კვალი მწყემსების ბინების მახლობლად	მ. სურამელაშვილი
S16-F026	უხეშად დამუშავებული ლოდი	მ. სურამელაშვილი
S16-F027	უხეშად დამუშავებული ლიდი ლოდი ქვეშ სიცარიელის	მ. სურამელაშვილი

გადაღებულია 30.08.2003



ნაგები სტრუქტურების ნაშთი მილსადენის მიერ ძეგლის გადაკვეთის ნაწილში



ნაგები სტრუქტურების ნაშთი სერის შუა მონაკვეთის სამხრეთ ნაწილში



ქვაყრილების ციხე-ნამოსახლარი



ქვაყრილების ციხე-ნამოსახლარი



ნაგები სტრუქტურების კვალი ქვედა ნაწილში

ნასოფლარი ორწო

მდებარეობა	195
GPS კოორდინატები	195
მიმართულება მილსადენთან	195
გავრცელების საზღვრები რუკაზე.	196
ახსტრაქტი.	197
ადგილმდებარეობა და გეგმარების ზოგადი აღწერა	197
ნასოფლარის ფიზიკური მდგომარეობა და ზედაპირული გავმენდის შედეგები	198
მხატვრული ღირებულება და თარიღი	198
რეკომენდაციები დაცვითი ღონისძიებებისათვის	199
გამოყენებული ლიტერატურა	199
ბრაფიკული მასალა	200
ტოპოგრაფიული რუკა	202
ფოტომასალა.	203

ნასოფლარი ორწო

(VIII-X სს.)



მდებარეობა

ისტორიული მხარე - თორი

ბორჯომის რ-ნი

სოფელ საკირიდან აღმოსავლეთით 4 კმ-ში

საკირის საზაფხულო ბინებიდან - 500 მ-ში.

GPS კოორდინატები ბავრცელების საზღვრებისათვის

8361700 - 4623200

8361685 - 4623120

8361600 - 4623110

8361540 - 4623120

8361515 - 4623160

8361550 - 4623230

8361600 - 4623270

8361685 - 4623250


ქვაჯვარის ბაზა - **8361790 - 4623114**

მილსადენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – kp-195

მიმართულება მილსადენთან

სამანქანო გზა კვეთს ნასოფლარს

მილსადენი ნასოფლარიდან 100 მეტრში გადის.



აბსტრაქტი

ნასოფლარი ორწო VIII-X სს. ისტორიული სოფლის უაღრესად საინტერესო, სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე უცნობ ნიმუშს წარმოადგენს.

ნასოფლარი მოიცავს დიდ ტერიტორიას და წარმოადგენს გამაგრებულ, მრავალი საცხოვრებელი უჯრედისგან დაკომპლექტებულ, რთულ ორგანიზმს.

შემორჩენილი საცხოვრებლების გეგმის კომპოზიცია შედგება ერთმანეთთან დაკავშირებულ, კომპაქტურ, მრავალსათავსიან, სხვადასხვა დანიშნულების კომპარტიმენტებისგან შედგენილ საცხოვრისებისგან, რომლებიც ფორმათა ნაირსახეობით გამოირჩევა. აქ დაფიქსირებულია საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სათავსების განსხვავებული კომბინაციებისგან შედგენილი უჯრედები, სასოფლო გზები.

საკირე-კოდიანის სამანქანო გზის გადაღმა, ნასოფლარიდან 40-50 მ-ის დაშორებით ჩვენი ექსპედიციის მიერ, II ფაზის საველე სამუშაოებისას აღმოჩენილია ქვაჯვარის ბაზა, რაც საგარაუდოდ ან სოფლის ეკლესიის არსებობაზე უნდა მეტყველებდეს, (ეკლესია ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის), ან მანიშნებელია იქვე გამოვლენილი ისტორიული გზის დასაწყისისა, რომლის ფრაგმენტები საკმოდ დიდ მანძილზე გრძელდება სოფელ საკირის მიმართულებით.

ნასოფლარი მშრალი წყობით არის ნაშენი.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი ნასოფლარიდან ჩრდილოეთით 100 მ-ის სიახლოვეს გადის, ხოლო მოქმედი სამანქანო გზა, რომელიც მძიმე ტრანსპორტის მოძრაობის ერთადერთი საშუალებაა - იგი საგარაუდოდ კვეთს ნასოფლარს.

აღბილმდებარეობა და გეგმარების ზოგადი აღწერა

ორწოს ნასოფლარი ტყით დაფარულ მთის დამრეც ფერდზეა განფენილი და ვითარდება სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით. ჩრდილოეთიდან მას ვიწრო ხევი მიუყვება. მთის წვერიდან ჩრდილოეთით, ფერდზე და ხევის მთელ გაყოლებაზე აღმოსავლეთის მიმართულებით ქვაყრილებამდე ძველი, ციკლოპური ნამოსახლარის ფრაგმენტებია შემორჩენილი. ხევის ერთი მცირე ფრთა უხვევს დასავლეთით, უვლის ნასოფლარს და წყდება კოდიან-საკირის სამანქანო გზასთან, რომელიც სოფლის ამ მონაკვეთში, მის ქვედა საზღვარს წარმოადგენს. ამ გზის გადაღმა, სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეში, ბაზალტის ქვაში ამოკვეთილი ბუნია დაცული, შესაძლოა ეს ფაქტი ნასოფლარის ამ მონაკვეთში ეკლესიის არსებობაზე მეტყველებდეს, თუმცა ეს უკანასკნელი, ჯერჯერობით მოძიებული არ არის. უფრო დასაშვებია, რომ ჯვარი, იმ ისტორიული გზის ნიშნული იყოს, რომლის ფრაგმენტები მისგან რამოდენიმე მეტრში არის დაფიქსირებული.

სოფელი დიდ, გამაგრებულ დასახლებას წარმოადგენს და შედგება მრავალი სხვადასხვა რაოდენობის და დანიშნულების მქონე კომპარტიმენტებისგან შემდგარი საცხოვრებელი უჯრედებისგან. ნასოფლარის მძიმე ფიზიკური მდგომარეობის გამო, ჭირს მისი მთლიანი სტრუქტურის ზუსტი ფიქსაცია, თუმცა, საცხოვრებელ უჯრედთა გეგმის კომპოზიცია ფრაგმენტულად იკითხება.

გამოვლენილ სათავსთა მიხედვით, შეიძლება განისაზღვროს ნასოფლარის

ცალკეული საცხოვრებელი უჯრედების სტრუქტურა. საცხოვრებელი უჯრედი შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული რამოდენიმე ოთახისგან შედგენილ კომპოზიციისაგან. ოთახების ზომა განსხვავებულია. სამოთახიანი სტრუქტურა წარმოადგენს ორ პატარა კომპარტიმენტს, რომელიც გაერთიანებულია ერთი დიდი ოთახით. შესასვლელები ხან კუთხეში არის მოწყობილი, ხან ოთახის ცენტრში. ზოგიერთ საცხოვრებელ უჯრედს წინკარი აქვს. წინკარი და ოთახების მოხაზულობა ხშირ შემთხვევაში მომრგვალებულია. ნასოფლარში დაცული საცხოვრებელი ჯგუფები წარმოადგენს ვარიაციებს ამ ძირითად თემაზე.

ორწოს ნასოფლარი ნაგებია საშუალო ზომის ბაზალტის ქვით, მშრალი წყობით.

ნასოფლარის ფიზიკური მდგომარეობა და ზედაპირული გაწმენდის შედეგები

ნასოფლარის ამჟამინდელი მდგომარეობა ძალიან მძიმეა. მისგან დაახლოებით 40%-ია შემორჩენილი. ტერიტორია ტყიანია. საცხოვრებელი კომპლექსები, რომელთა შემორჩენილი კედლის სიმაღლე 2 მეტრს არ აღემატება - დაფარულია წიწვოვანი ხეებით, ასევე უსისტემო ჭრის ნარჩენებით - მორებით, ტოტებით, ხავისთა და ბალახით. მრავალბორცვიანი ზედაპირი და ღრმა ორმოები აქ არსებული სათავსების მანიშნებელია.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის III ფაზის სამუშაოების განხორციელების პროცესში, შესაძლებელი გახდა ერთი, შედარებით უკეთ შემორჩენილი საცხოვრებელი კომპლექსის გაწმენდა მორების, ტოტების, ხავისთა და ბალახისაგან, რის შედეგადაც გამოჩნდა გეგმა და კედლის წყობა. ერთ-ერთი კომპარტიმენტის კედლის სიმაღლე გამოვლინდა 1 მეტრამდე.

კომპლექსის ერთ-ერთ სათავსში ჩაიჭრა პატარა შურფი, 60-65 სმ. სიღრმეზე, რის შედეგადაც გამოვლინდა იატაკის დონე. დადგინდა, რომ იატაკი წარმოადგენს კარგად დატკეპნილ მოწითალო ბაზალტის ნაშალს მიწასთან შეერეულს. არავითარი არქეოლოგიური მასალა არც ზედაპირულად და არც შურფის ამოღებისას არ გამოვლინდა.

მხატვრული ღირებულება და თარიღი

ორწოს ნასოფლარი VIII-X სს ისტორიული სოფლის უმნიშვნელოვანეს ნიმუშს წარმოადგენს. დიდია მისი მხატვრულ-ისტორიული ღირებულება. შემორჩენილი საცხოვრებლების გეგმის კომპოზიცია, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულ, კომპაქტურ, მრავალსათავსიან საცხოვრებელ უჯრედებს წარმოადგენს, ფორმათა ნაირსახეობით გამოირჩევა. საცხოვრებელი სტრუქტურის გეგმარებითი სირთულე იმდროინდელი საზოგადოების განვითარებულ სოციალურ დონეზე მეტყველებს. მშრალი წყობით ამოყვანილი კედლები, უძველესი, წინაქრისტიანული ხანის სამშენებლო ტრადიციების გაგრძელებას წარმოადგენს.

ნასოფლარი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არ არის, რაც უფრო მეტად ზრდის მისდამი ინტერესს.

სოფლის სამშენებლო ტექნოლოგია, თითოეული კომპლექსის გეგმის კომპოზიციის სტრუქტურა ანალოგებს პოულობს ბორჯომის ხეობაში არსებულ VIII-X სს-ების ნასოფლარებთან. თუმცა ორწოს ნასოფლარის მსგავსი მასშტაბური, შესანიშნავად შემორჩენილი კომპლექსი ამ ხეობაში იშვიათობას წარმოადგენს.

რეკომენდაციები დაცვითი ღონისძიებებისათვის

პროექტის III ფაზის განხორციელების დროს შესრულდა შემდეგი სამუშაოები: ნასოფლარის ტოპოგრაფიული ფიქსაცია, გენგეგმის ნახაზი და ნაგებობათა კედლის ფრაგმენტების არქიტექტურული ანაზომი, ფოტოდოკუმენტაცია. დაზუსტდა ნასოფლარის გავრცელების საზღვრები და მოხდა მათი დატანა რუქაზე, აღიწერა ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა, მოხდა მისი ზოგადი შესწავლა.

ნასოფლარი ორწო, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენიდან 100 მ-ში მდებარეობს. მას კვეთს საკირე-კოდიანის სამანქანო გზა, რომელზეც უდავოდ მოხდება მშენებლობის პროცესში მძიმე ტრანსპორტის მოძრაობა.


ნასოფლარის შესწავლის შედეგად შემუშავდა შემდეგი სახის დაცვითი ღონისძიებები:

- მშენებლობის პროცესი წარიმართოს სპეციალისტთა ზედამხედველობით.
- პირობითი ნიშნებით მოინიშნოს ძეგლის გავრცელების საზღვრები (გარკვეულ მონაკვეთებში).
- არ განხორციელდეს სამანქანო გზის გაფართოება.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ლ.რჩეულიშვილი, ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები, ძველი ნასახლარები ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში, თბ., 1994.


კედლის ფრაგმენტი - 1 მ. - 1:50




კედლის ფრაგმენტი - 2 მ. - 1:50




კედლის ფრაგმენტი - 3 მ. - 1:50




კედლის ფრაგმენტი - 4 მ. - 1:50



კედლის ფრაგმენტი - 5 მ. - 1:50



ტოპოგრაფიული რუკა



ფოტომასალა:

S17-F001	ორწო, ნასოფლარი, საერთო ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F002	ორწო, ნასოფლარი, ციკლოპური ქვები მთის წვერზე, ნასოფლარის ჩრდილოეთით.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F003	ორწო, ნასოფლარი, საერთო ხედი ნასოფლარის ზედა, ჩრდილოეთი კიდიდან.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F004	ორწო, ნასოფლარი, საერთო ხედი ზედა, ჩრდილოეთი კიდიდან.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F005	ორწო, ნასოფლარი, ცენტრალური მონაკვეთის ფრაგმენტი.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F006	ორწო, ნასოფლარი, სათავსი ნასოფლარის ცენტრალურ მონაკვეთში.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F007	ორწო, ნასოფლარი, კედლის ფრაგმენტი ნასოფლარის ცენტრალურ მონაკვეთში.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F008	ორწო, ნასოფლარი, მომრგვალებული სათავსი ნასოფლარის ცენტრალურ მონაკვეთში.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F009	ორწო, ნასოფლარი, ხეებით ჩახერგილი მონაკვეთი ნასოფლარის ცენტრში.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F010	ორწო, ნასოფლარი, ხეებისგან გამონთავისუფლებული საცხოვრებელი უჯრედი.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F011	ორწო, ნასოფლარი, ხეებისა და ტოტებისგან გამონთავისუფლებული სათავსი.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F012	ორწო, ნასოფლარი, საცხოვრებელი უჯრედი გაწმენდის პროცესში.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F013	ორწო, ნასოფლარი, საცხოვრებელი უჯრედის წინკარის მომრგვალებული კედელი გაწმენდის შემდეგ.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F014	ორწო, ნასოფლარი, საცხოვრებელი უჯრედი გაწმენდის პროცესში.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F015	ორწო, ნასოფლარი, შურფი ნასოფლარის საცხოვრებელი უჯრედის ერთ-ერთ სათავსში.	ი. ელიზბარაშვილი
S17-F016	ორწო, ნასოფლარი, სათავსი შურფის გაჭრის შემდეგ.	ი. ელიზბარაშვილი

გადაღებულია 2.09.2003



ნასოფლარი, საცხოვრებელი უჯრედი გაწმენდის პროცესში



ნასოფლარი, სათავსი ნასოფლარის ცენტრალურ მონაკვეთში



ნასოფლარი, საცხოვრებელი უჯრედი გაწმენდის პროცესში

ისტორიული გზა სოფელ საკირის მიდამოებში

მღებარეობა	206
GPS კოორდინატები	206
მიმართება მილსადენთან და გზასთან.	206
გავრცელების საზღვრები რუკაზე	207
აბსტრაქტი	208
ადგილმდებარეობის ზოგადი აღწერა.	208
ისტორიული გზის აღწერა	209
ფიზიკური მდებარეობა და ზედაპირული გავმენდის შედეგები	209
ზოგადი თარიღი და მნიშვნელობა	210
რეკომენდაციები დაცვითი ღონისძიებებისათვის.	211
გამოყენებული ლიტერატურა	211
ბრაფიკული მასალა	212
ტოპოგრაფიული რუკა	214
ფოტომასალა.	215

ისტორიული გზა სოფელ საკირის მიდამოებში (შუა საუკუნეები)



მდებარეობა

ისტორიული მხარე – თორი
ბორჯომის რაიონი
სოფელ საკირის აღმოსავლეთით 2.5 – 3.5 კილომეტრის შუალედში
საკირის მწყემსების საზაფხულო ბინების დასავლეთით 500 მეტრში
ნასოფლარი ორწოს სამხრეთით 50 – 100 მეტრში
კოდიანის ხევის მარჯვენა ნაპირზე

GPS კოორდინატები გავრცელების საზღვრებისათვის

8361800 - 4623134	8361810 - 4623110	8361720 - 4623104
8361740 - 4623085	8361697 - 4623069	8361713 - 4623044
8361597 - 4623049	8361584 - 4623019	8361512 - 4623100
8361493 - 4623072	8361422 - 4623099	8361428 - 4623071
8361277 - 4623008	8361285 - 4622983	8361210 - 4623000
8361230 - 4622976	8361130 - 4622955	8361134 - 4622923
8361008 - 4622988	8361058 - 4622944	8360938 - 4622918
8360941 - 4622868	8360854 - 4622788	8360878 - 4622778


მილსადენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – kp-196

მიმართება მილსადენთან და გზასთან

ისტორიული გზა მიუყვება რელიეფს, ხან უახლოვდება და ხან სცილდება მილსადენს. მაქსიმალურად დაახლოებულ მონაკვეთში მანძილი მილსადენამდე 170 მეტრის ტოლია. რაც შეეხება მოქმედ სამანქანო გზასთან მიმართებას, ისტორიული გზის ზედა, მასთან დაახლოებულ მონაკვეთში მანძილი 20 მეტრია.

დეგლი 18, ისტორიული გზა
სოფელ საკირის მიდამოებში, კპ.-196
საზღვრების GPS კოორდინატები:

1. 8361800 - 4623134
2. 8361810 - 4623110
3. 8361720 - 4623104
4. 8361740 - 4623085
5. 8361697 - 4623069
6. 8361713 - 4623044
7. 8361597 - 4623049
8. 8361584 - 4623019
9. 8361512 - 4623100
10. 8361493 - 4623072
11. 8361422 - 4623099
12. 8361428 - 4623071
13. 8361277 - 4623008
14. 8361285 - 4622983
15. 8361210 - 4623000
16. 8361230 - 4622976
17. 8361130 - 4622955
18. 8361134 - 4622923
19. 8361008 - 4622988
20. 8361058 - 4622944
21. 8360938 - 4622918
22. 8360941 - 4622868
23. 8360854 - 4622788
24. 8360878 - 4622778



აბსტრაქტი

ბორჯომის რაიონში, საკირე-ტაძრის-დგვარის სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე მიღსადენის დერეფნის საველე შესწავლისას სხვადასხვა პერიოდის, ტიპოლოგიურად მრავალფეროვანი ძეგლების ინტენსიური თავმოყრა აღინიშნა; აქ, მეგალითური კულტურის ძეგლებსა, ეკლესია-მონასტრებსა, ციხე-დარბაზებსა და შუასაუკუნეების ნასოფლარებთან ერთად მეტად საინტერესო, ქვის ბორღიურებიანი ძველი გზაც დაფიქსირდა.

ეს მიდამოები შედიოდა ისტორიულ თორში, რომელიც შუასაუკუნეებში ქვეყნის ერთერთ უმდიდრეს და პოლიტიკურად მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენდა. თორში გადიოდა სახელმწიფოებრივი, სტრატეგიული და საგარეო სავაჭრო მნიშვნელობის გზები, რომელთა მარშრუტები ცნობილია.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ გზების მოწყობის თავდაპირველი სახე წაშლილია, მსგავსად საქართველოს ისტორიული გზების უმეტესობისა საზოგადოდ. ამ ფონზე ძველი გზის ფრაგმენტის დაფიქსირება განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს და ავსებს ჩვენს წარმოდგენას ამ მხარის კულტურული, თუ ეკონომიკური აღმავლობის ხასიათზე შუასაუკუნეებში. იგი ამასთანავე საინჟინრო ხელოვნების საინტერესო ნიმუშია.

ამ გზის დანიშნულებას, ბუნებრივია, ადგილობრივ ეკლესია-მონასტრებსა, ნასოფლარებსა და სათავდაცვო კომპლექსებს შორის ცივილიზებული ფორმით დაკავშირება არ შეადგენდა მხოლოდ. საგარაუდოა, რომ სოფელ საკირის ტყეში დაფიქსირებული ისტორიული გზა კოდინის უღელტეხილზე გამავალი სტრატეგიული მნიშვნელობის მარშრუტის შემორჩენილი ფრაგმენტია. მისი შენარჩუნება მომავალში დიდად შეუწყობს ხელს ამ მხარის წარსულის შემდგომ კვლევას, რთული და საინტერესო ისტორიული სურათის სრულყოფილ აღდგენას.

ადგილმდებარეობის ზოგადი აღწერა

ისტორიული გზა სოფელ საკირის აღმოსავლეთით არსებული მთის კალთაზე მდებარეობს. ეს მთა სუბალპური, შიშველი ქედით სრულდება, ხოლო შუაწელს ქვემოთ წიწვნარით არის დაფარული. მთის ქედზე მდებარეობს კოდინის უღელტეხილი, სადაც დღეს მოქმედი სამანქანო გზა გადის. ბუნებრივია, ისტორიული გზის მარშრუტი წარსულშიც აქ გაივლიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მონაკვეთში ძველი გზის კვალმა ჩვენამდე არ მოაღწია. საყურადღებოა ქვაჯვარის თლილი ბაზისი, რომელიც ნაძვებს შორის დევს (ზ.დ. 1935 მ). ბაზისიდან დაახლოებით 70 მეტრში, მთის დაახლოებით შუა წელზე (ზ.დ. 1920 მ.), თანამედროვე სამანქანო გზის სამხრეთით იწყება ძველი გზის შემორჩენილი ფრაგმენტი.

ისტორიული გზის მიმართულება აღმოსავლეთ – დასავლეთის ღერძს ემთხვევა; იგი სოფლისკენ ეშვება მთის კალთაზე. გზა ზოგან უწყვეტ დიდ მონაკვეთებად, ზოგან კი, მცირე ფრაგმენტებად არის მოღწეული. მისი დიდი ნაწილი მიემართება სანახევროდ გაჩეხილ ტყეში; დაახლოებით 500 მეტრის შემდეგ გზა ჭაობიან მინდორზე გადის (ზ.დ. 1860 მ.) აქვე, თხილიანში, გზის კვალი ძნელად იკითხება. თხილიანის ბოლოს ისტორიულ გზას კვეთს თანამედროვე გრუნტის გზა; ამის შემდეგ გზის კვალი ისევ შედის წიწვნარ ტყეში და გრძელდება დასავლეთის მიმართულებით; მომდევნო 500 მეტრის

შემდეგ გზა გამოდის ტყიდან და შიშველ მინდვრებზე კვალი იკარგება. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის თავზე, საკირის ციხის მიდამოებში, ანალოგიური გზის კვალი ისევ იკვეთება.

ისტორიული გზის აღწერა

მთის კალთის შუა წელზე, სადაც იწყება ტყის საფარი, წიწვოვან ხეებს შორის მიწაზე დევს რუხი ფერის ბაზალტის თლილი ქვის ბაზისი (80სმ x 85 სმ), ბაზისი ორ საფეხურიანია, წინა მხარეს სქემატური ჩაკვეთილი ჯვარია გამოსახული, ხოლო ზედა სიბრტყეში ქვაჯვარის ჩასადგმელი ღრმულია ამოღებული.

ბაზისის მახლობლად იწყება ორივე მხრიდან ქვის ბორდიურებით შემოსაზღვრული ისტორიული გზა, რომლის სავალი ნაწილის სიგანე 2,5 -დან 3 მეტრამდე მერყეობს.

ისტორიული გზის მარშრუტი საკმაოდ დამრეც რელიეფზე ვითარდება. გზას რთული პროფილი აქვს თხემზე გამავალ მონაკვეთებში, სადაც მის ორივე მხარეს მკვეთრად დაქანებული ფერდებია. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ გზა მძიმე კლიმატურ პირობებში ფუნქციონირებდა; გაზაფხულსა და შემოდგომაზე ხშირი წვიმები, ასევე ზამთრის თოვლი და ნამქერი მოძრაობას გააძნელებდა; ასეთ ვითარებაში ქვის ჯებირები უსაფრთხო გადაადგილების ხელშემწყობი და დამცავი საშუალება იქნებოდა.

ჯებირებისთვის ძირითადად გამოყენებულია მშრალად ნაწყობი ბაზალტის სხვადასხვა ზომის ქვები. ასევე დიდი ზომის უხეშად დამუშავებული, სწორკუთხა მოხაზულობის ლოდები; შესაბამისად, გარკვეულ მონაკვეთებში განსხვავებულია ჯებირის სიმაღლე. იქ, სადაც დიდი ქვებია გამოყენებული სიმაღლე შედარებით დაბალია, რადგან ქვების მხოლოდ ერთი რიგია შემორჩენილი, ხოლო ფლეითი ქვის მშრალი წყობით ამოყვანილი კედელ-ჯებირების სიმაღლე ზოგან 150 სმ აღწევს.

გზის ჯებირებში, საშუალოდ 2,5 – 4 მეტრის ინტერვალებით, ქვის მძლავრი მონოლითებია ჩართული. ისინი სიმტკიცეს შემატებდა გზას, დიდთოვლობისას ორიენტირისა და გზის მიმართულების მაჩვენებლის ფუნქციასაც შეასრულებდა.

რაც შეეხება გზის სავალ ნაწილს, ადგილობრივ მცხოვრებთა ინფორმაციით იგი ქვის ფილებით იყო მოგებული, რაც ადგილზე დათვალიერებისას არ დადასტურდა.

კიდევ ერთი კანონზომიერება ჩანს ისტორიული გზის აგებულებაში – მოსახვევებში სავალი ნაწილის სიგანე მატულობს და სამ მეტრს უტოლდება, რაც მეტყველებს მშენებელთა საგზაო საინჟინრო გამოცდილებაზე.

საველე მუშაობის დროს მოხდა გზის დეტალური აღწერა, კარგად შემორჩენილი მონაკვეთის გრაფიკული ფიქსაცია (გეგმა, დამახასიათებელი ფრაგმენტების ჭრილი), შესრულდა გზის ტოპოგრაფიული აგეგმვა და ფოტო გადაღება.

ფიზიკური მდგომარეობა და ზედაპირული გაწმენდის შედეგები

ისტორიული გზა დღეს არ გამოიყენება. მოქმედი გზა მისგან მოშორებით, ჩრდილოეთითაა გაჭრილი. ხანდაზმულობით და მოუვლელობით ქველი გზა ძალიან დაზიანებულია. ასწლოვანი ხეების ფესვების ზემოქმედებით

დეფორმირებულია გზის კონტური. დროთა განმავლობაში დაგროვილი წიწვე-ბისა და მიწის სქელი საფარის ქვეშ მოქცეული გზა, ტყის უსისტემო ჭრით და ნაყარი მორებით კიდევ უფრო მეტად არის დანგრეული და ჩახერგილი. გაწმენდის გარეშე ჩანს მხოლოდ ჯებირები, ისიც ნაწილობრივ. რაც შეეხება გზის საფენს, მისი დამუშავების სახეზე წარმოდგენის შექმნა გაწმენდის გარეშე შეუძლებელი იყო.

ამის გამო შეირჩა შედარებით უკეთ შემორჩენილი მონაკვეთი ნასოფლარ ორწოს გასწვრივ, მისგან სამხრეთით. ტერიტორია გაიწმინდა ტყის უსისტემო ჭრის ნარჩენებისგან, მცენარეული საფარისა და მიწის ფენისაგან, რის შედეგად გაირკვა, რომ გზის ფსკერი დაფარული ყოფილა დატკეპნილი, მოწითალო-აგურისფერი ბაზალტის ნაშალით. დაზუსტდა, რომ სავალი ნაწილის სიგანე 2,5 მეტრს უდრიდა. სხვადასხვა ზომის ნატეხი ბაზალტის მშრალი წყობით ნაგები ჯებირის სიმაღლე ცალკეულ ადგილებში 150 სმ-ია. აღსანიშნავია, რომ გაწმენდითი სამუშაოების დროს არავითარი არქეოლოგიური ნივთი არ აღმოჩენილა.

ზოგადი თარიღი და მნიშვნელობა

სოფელ საკირის მიდამოებში დაფიქსირებული ისტორიული გზა, ამ ტიპის შემორჩენილ საინჟინრო ძეგლებს შორის მეტად საინტერესო ნიმუშია. მის ძირითად თავისებურებას ბორღიურების არსებობა წარმოადგენს, რაც რთულ რელიეფზე მძიმე კლიმატურ პირობებში უსაფრთხო მოძრაობის საიმედო მექანიზმი იქნებოდა; უსაფრთხო მოძრაობაზე ზრუნვა შესაძლებელია ნებისმიერ პერიოდში განეხორციელებინათ; ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გადაწყვეტის სახე. ისტორიული გზის მოცემულ ფრაგმენტზე ჯებირების მოწყობის ორი განსხვავებული მიდგომა ჩანს. გარკვეულ მონაკვეთებში ამისთვის გამოყენებულია უხეშად დამუშავებული სწორკუთხა ღოდების ერთი რიგი, ხოლო ძირითად ნაწილში გზას საზღვრავს ბაზალტის ფლეთილი ქვის მშრალი წყობის კედელ-ჯებირები. შესაძლოა ეს სხვაობა მათი მოწყობის სხვადასხვა დროით იყოს გამოწვეული და ფლეთილი ქვის კედლები გზის მოგვიანებით შეკეთების შედეგი იყოს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადასტურებულია მრავალი ისტორიული გზის ნაშთი. მათი უმეტესობის სავალი ნაწილი ქვებით არის მოგებული. ცნობილია ჯებირებიანი გზების ნიმუშებიც. ერთი მათგანი, არქეოლოგიურად შესწავლილია კახეთში, XI – XV სს ნაქალაქარ გავაზსა და მის სამეურნეო ზონაში.

საინტერესოა, აგრეთვე გზის შემორჩენილი ფრაგმენტის საწყისი წერტილის მახლობლად ქვაჯვარის ბაზისის არსებობა. საქართველოში გავრცელებულ საგზაო-საჩვენებელ ნიშნებს შორის დაფიქსირებულია აყუდებული ქვები, კონუსური ფორმის ქვაყრილები და ქვა-ჯვარები, რომლებიც უღელტეხილებზე, ან გზაჯვარედინებზე იყო ძირითადად გამართული. ეს ნიშნები უამინდობისას ორიენტირის როლს ასრულებდა, გზის მიმართულებას მიაჩნებდა და ხიფათისაგან იფარავდა მგზავრებსა და ქარაგნებს.

ისტორიული გზის სრულფასოვანი შეფასებისა და დათარიღებისთვის, ვფიქრობთ გასათვალისწინებელია ამ მხარის – თორის – ისტორიული და გეოგრაფიული ასპექტები. ჯავახეთს, თრიალეთსა და სამცხეს, ქართლსა და იმერეთს შორის მოქცეულ თორს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა წარსულში, რასაც მისი უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები და ხელსაყრელი გეოგრაფი-

ული მდებარეობაც უწყობდა ხელს.

მთაგორიანი თორის კავშირი მოსახლურე მხარეებთან რთულ უღელტეხილებზე გამავალი მნიშვნელოვანი გზებით ხორციელდებოდა. უდაოა, რომ ძველი გზის ფრაგმენტი სოფელ საკირის ტყეში, მნიშვნელოვანი სტრატეგიული მარშრუტის მცირე ნაწილია, რომელიც დაშვებისას გუჯრისხევით ოშორაში – სამცხეში გადადიოდა, ხოლო ზევით სვლისას, კოდინის უღელტეხილის გადავლის შემდეგ – ციხისჯვარ-ბაკურიანს, ხოლო შემდგომ ცხრაწყაროს უღელტეხილიდან ტაბაწყურის გავლით ჯავახეთს გადადიოდა. დაფიქსირებული ძველი გზის ფრაგმენტი ამ მნიშვნელოვანი ისტორიული საგზაო მაგისტრალის ნაწილად წარმოგვიდგება.

რთულ რელიეფზე გაყვანილი ჯებირებიანი ძველი გზა საინჟინრო ხელოვნების საინტერესო ძეგლია. ამასთან ერთად მისი არსებობა ამ ადგილზე თვალსაჩინოს ხდის კავშირს მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირებულ ნასოფლარ ორწოს (VIII – IX სს), შუასაუკუნეების პერიოდში გამოყენებულ ციკლოპურ ძეგლს – ქვაყრილებს, საყდრისაკის მონასტერს (IX – X სს), საკირის ციხე-დარბაზს (XI – XIII სს), გუჯრისხევის მონასტერს (IX – X სს) და ტაძრის-საკირე-დგვარის მიდამოებში არსებულ შუასაუკუნეების სხვა ძეგლებსა და ნასოფლარებს შორის. შესაბამისად, მისი გამართვა და აქტიური ფუნქციონირება, ვფიქრობთ ამავე პერიოდშია საგულისხმო.

რეკომენდაციები ღაცვითი ღონისძიებებისათვის

ჩატარებული სამუშაოების შედეგად შესრულდა: ისტორიული გზის ტოპოგრაფიული ფიქსაცია, შესრულდა გენგეგმა და გზის უკეთესად შემორჩენილი ფრაგმენტის გრაფიკული და ფოტო ფიქსაცია; დაზუსტდა გავრცელების საზღვრები რუკაზე დატანიტ, აღიწერა ფიზიკური მდგომარეობა.

ისტორიული გზის მოღწეული ფრაგმენტები ხანდაზმულობის, მოუვლელობის და ტყის უსისტემო ჭრის შედეგად დღეს მეტად სავალალო მდგომარეობაშია.

ველზე მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგად რეკომენდირებულია შემდეგი სახის დაცვითი ღონისძიებები:

- პირობითი ნიშნებით მოინიშნოს ისტორიული გზის საზღვრები გარკვეულ მონაკვეთებში.
- სასურველია, მოქმედი სამანქანო გზის სიახლოვეს, ისტორიული გზის შედარებით უკეთესად შემორჩენილი ნაწილი გაიწმინდოს და გამაგრდეს ჯებირების ქვის წყობა, რათა სულ არ დაიკარგოს ამ მეტად მნიშვნელოვანი საინჟინრო ძეგლის კვალი.

ბამოყენებული ლიტერატურა:


1. ნ. კეზერელი - კოპაძე, გზათა მშენებლობა საქართველოში, თბ., 1974
2. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბ., 1985
3. ლ. ჭილაშვილი, ძველი გაგაზი, თბ., 1975
4. დ. ხოშტარია, X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის -საკირის მიდამოებში, მაცნე №3 (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), თბ., 1986, გვ., 135–155

ბეგლი 18. გ. 196.

ისტორიული გზა

სოფელ საპირის მიდამოებში

ფრაგმენტის განვლა შ. 1:50




ფრაგმენტის გეგმა შ. 1:50

შპ 440

შპ 440

4623085




4623085

პროექტი 2-2 შ. 1:50

პროექტი 1-1 შ. 1:50



ტოპოგრაფიული რუკა



ფოტომასალა:

S18-F001	ისტორიული გზის ჯებირი დამუშავებული, ნარჩევი კვადრებით	მ. სურამელაშვილი
S18-F002	ქეჯვარის ბაზისი	მ. სურამელაშვილი
S18-F003	ქეჯვარის ბაზისი	მ. სურამელაშვილი
S18-F004	გზის ბორდიურის ფრაგმენტი	მ. სურამელაშვილი
S18-F005	გზის მონაკვეთი	მ. სურამელაშვილი
S18-F006	გზის მონაკვეთი	მ. სურამელაშვილი
S18-F007	გზის მონაკვეთი	მ. სურამელაშვილი
S18-F008	გზის მონაკვეთი	მ. სურამელაშვილი
S18-F009	გზის მონაკვეთი	მ. სურამელაშვილი
S18-F010	გზის სავალი ნაწილის გაწმენდის პროცესი	მ. სურამელაშვილი
S18-F011	გზის სავალი ნაწილი გაწმენდის შემდეგ	მ. სურამელაშვილი
S18-F012	ფლეთილი ქვის კედელ-ჯებირი	მ. სურამელაშვილი
S18-F013	გზის ფრაგმენტი	მ. სურამელაშვილი
S18-F014	გზის ფრაგმენტი	მ. სურამელაშვილი

გადაღებულია 5.09.2003



გზის მონაკვეთი



გზის საგალი ნაწილის გაწმენდის პროცესი



ქვაჯვარის ბაზისი



ისტორიული გზის ჯებირი დამუშავებული, ნარჩევი კვადრებით



გზის საგალი ნაწილი გაწმენდის შემდეგ

საკირის ციხე-დარბაზი წმ. გიორგის ეკლესია (“მიწის საყდარი”) და ნამონასტრალი

მღებარეობა	219
კოორდინატები	219
მიმართება მილსადენთან	219
გავრცელების საზღვრები რუკაზე	220
ახსტრაქტი.	221
აღბილმღებარეობის ზოგადი აღწერა.	221
საკირის ციხე-დარბაზი	222
ბეგმარების ზოგადი აღწერა	222
ფიზიკური მდგომარეობა	223
ზოგადი თარიღი და მნიშვნელობა	223
რეკომენდაციები დაცვითი ღონისძიებებისათვის	224
წმ. გიორგის ეკლესია (“მიწის საყდარი”) და ნამონასტრალი.	225
ხელაპირული გაწმენდის შედეგები	225
ხუროთმოძღვრული ტიპი და ბეგმის კომპოზიცია.	226
მნიშვნელობა	227
ფიზიკური მდგომარეობა	227
რეკომენდაცია დაცვითი ღონისძიებებისათვის.	227
გამოყენებული ლიტერატურა	227
ბრაფიკული მასალა	228
ტოპოგრაფიული რუკა	246
ფოტომასალა.	247

საკირის ციხე-დარბაზი

წმ. გიორგის ეკლესია (“მიწის საყდარი”)
და ნამონასტრალი

(X – XIII სს.)



მდებარეობა

ისტორიული მხარე - თორი

ბორჯომის რ-ნი

სოფ. საკირის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას

GPS კოორდინატები

8357843 - 4622929 - ციხე-დარბაზი

8357935 - 4622929 - წმინდა გიორგის ეკლესია (მიწის საყდარი)

გაერცელების საზღვრები:

8358135 - 4623083

8358146 - 4623048

8358090 - 4623048

8357964 - 4622900

8357845 - 4622818

8357738 - 4622971

8357741 - 4623036

8357802 - 4623090

8357983 - 4623142

8358013 - 4623084

მილსადენის უახლოესი კილომეტრაჟის ნიშნული – **kp-199**

მიმართება მილსადენთან

ციხე-დარბაზი – 150 მ. მილსადენამდე

მონასტერი – 50 მ. მილსადენამდე


ძეგლი 19, საკირის ციხე-დარბაზი,
წმ. გიორგის ეკლესია და ნამონასტრალი, კპ. 199

GPS კოორდინატები:

1. ციხე-დარბაზი: - 8357843 - 4622987
2. წმ. გიორგის ეკლესია: - 8357935 - 4622929

საზღვრები:

3. - 8358135 - 4623083
4. - 8358146 - 4623048
5. - 8358090 - 4623022
6. - 8357964 - 4622900
7. - 8357845 - 4622818
8. - 8357738 - 4622971
9. - 8357741 - 4623036
10. - 8357802 - 4623090
11. - 8357983 - 4623142
12. - 8358013 - 4623084



აბსტრაქტი

საკირის ციხე-დარბაზი საფორტიფიკაციო ტიპის ნაგებობის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. იგი შუა საუკუნეების ეპოქის ფეოდალის რეზიდენციაა, სადაც შერწყმულია საცხოვრებელი და სათავდაცვო ფუნქცია. აქვეა კარის ეკლესია.

საკირის ციხე-დარბაზის (XI - XIII სს.) შესანიშნავი ადგილმდებარეობა, სხვადასხვა ფერის ქვით ნაგები კედლები და კარის ეკლესიის ხაზგასმულად ფერწერული ხასიათი ძალზე შთამბეჭდავია.

სტრატეგიული თვალსაზრისით, საკირის ციხე-დარბაზს მოხერხებული ადგილი ეკავა და საკმაოდ დიდი ტერიტორიის გაკონტროლება შეეძლო. მას ექვემდებარებოდა ირგვლივ არსებული დასახლებები (ამჟამად ისინი ნასოფლარებადაა ქცეული). მტრის შემოსევის დროს ფეოდალი ციხეში იკეტებოდა, ხოლო მოსახლეობა ტყეს აფარებდა თავს.

ციხე-დარბაზის აგებამდე ამ მიდამოებში ფუნქციონირებდა X საუკუნეში დაარსებული მონასტერი. ეკლესია, რომელიც წმინდა გიორგის სახელობისაა ("მიწის საყდარი"), იშვიათი ხუროთმოძღვრული ტიპის, სამეკლესიანო ბაზილიკის ნიმუშს წარმოადგენს. ეკლესიის სამხრეთით არსებული სამონასტრო შენობები ნანგრევების სახითაა შემონახული.

ადგილმდებარეობის ზოგადი აღწერა

ორი მდინარის – საკირისწყლის და გუჯრისხევის, შესართავთან, მაღალ კონცხზე აღმართულია საკირის ციხე-დარბაზი, საიდანაც ფართო ხედები იშლება ყველა მიმართულებით: ჩრდილო-დასავლეთით მოჩანს სოფლები საკირე და ტაძრისი; სამხრეთ-აღმოსავლეთით გუჯრისხევის ვიწრო ხეობაა, რომელიც წიწვოვანი ხეებით დაფარულ მთებს შორის მოედინება; აღმოსავლეთით მდებარე მაღალ ბორცვზე და მის ირგვლივ არსებულ ტერიტორიაზე ნამოსახლარებია, სადაც მშრალი წყობით ნაგები სათავსების ნაშთებია შემონახული.

ციხე-დარბაზის სამხრეთ – აღმოსავლეთით, დამრეც ფერდზე, 100 მეტრის მოშორებით ნახევრად მიწაში ჩაფლული ეკლესიის ("მიწის საყდარი") ნანგრევებია, ხოლო უფრო ქვევით – სამონასტრო შენობების ნაშთები.

სამხრეთიდან ნამონასტრალს ესაზღვრება სამანქანო გზა, რომელიც უერთდება მდინარისკენ მიმავალ ძველ სასოფლო გზას და გრძელდება სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

საკირის ციხე-დარბაზი

საკირის ციხე-დარბაზი წარმოადგენს კომპლექსს, რომელშიც შედის საცხოვრებელი კოშკი, გალავანი, კარის ეკლესია და გალავნის მეორე ხაზი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან. შემონახულია კომპლექსის მთლიანი მოცულობის დაახლოებით 60 პროცენტი.

ციხე-დარბაზისათვის საშენ მასალად გამოყენებულია უხეშად დამუშავებული, უმეტეს შემთხვევაში თანაბარი ზომის, სხვადასხვა ფერის ქვები, რომლებიც ჰორიზონტალურ რიგებადაა დალაგებული. ადგილ-ადგილ წყობაში შეინიშნება მეორადი გამოყენების ქვებიც.

კარის ეკლესიის შიდა კედლების წყობის ხასიათი ციხე-დარბაზის წყობის მსგავსია. გარედან ეკლესია შემოსილია სუფთად გათლილი, ერთმანეთზე მჭიდროდ მორგებული ღვინისფერი ქვის კვადრებით.

გეგმარების ზოგადი აღწერა

საკირის ციხე-დარბაზი დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთ – ჩრდილო-დასავლეთ ღერძზე. საცხოვრებელ კოშკს, რომელიც გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა, უკავია კომპლექსის ცენტრალური ნაწილი. მას აკრავს სამ მონაკვეთად დაყოფილი, ოვალური მოხაზულობის, გალავნით შემოზღუდული ეზო. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან გალავანი შემაგრებულია ბურჯებით.

გალავანსა და კოშკს შორის სამშენებლო ნაკერია, თუმცა აშკარაა, რომ ისინი ერთდროულადაა აგებული. ციხე-დარბაზში შესასვლელი სამხრეთიდანაა. იგი წარმოადგენს არქიტრავით გადახურულ სწორკუთხა დიობს.

ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან საცხოვრებელ კოშკს აკრავს მცირე ზომის დარბაზული ეკლესია. აღმოსავლეთ-დასავლეთი ორიენტაციის დასაცავად იგი ოდნავ გადაწეულია კოშკის ღერძიდან. ეკლესიის საკურთხეველი ქვედა გალავნის კედელზეა მიბჯენილი.

ქვედა გალავანი იწყება საცხოვრებელი კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხიდან და წყდება ციხე-დარბაზის შესასვლელთან არსებულ ბურჯთან. აქედან იყო ქვედა გალავანში შესასვლელი, რომელიც ურდულით იკეტებოდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან ქვედა გალავანი კედლის ხაზიდან ნახევარწრედ შვერილი ბურჯითაა შემაგრებული. იგი გულამოღებულია, ამოშენებულია ქვითკირით და ხაროს ფუნქციასაც ასრულებდა.

კოშკი, ეზო, ეკლესია, გალავანი

საცხოვრებელი კოშკი ციხე-დარბაზის ყველაზე მაღალი და კარგად დაცული ნაგებობა იყო. მისი ქვედა ნაწილი, მეტი სიმტკიცისათვის, ამოვსებულია.

კოშკის ერთადერთი შესასვლელი თაღოვან დიობს წარმოადგენს, რომელიც მიწის დონიდან მაღლა მდებარეობს. საცხოვრებელ კოშკში შესვლა, მისადგმელი კიბით ხორციელდებოდა (ამჟამად მიწის დონე ამაღლებულია და კოშკში მოხვედრა კიბის გარეშეც შესაძლებელია).

შემონახულია საცხოვრებელი კოშკის ორი არასრული სართული. სართულშუა გადახურვის სისტემის დაზუსტება ქველის გაწმენდის გარეშე რთულია, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ბრტყელი უნდა ყოფილიყო.

ციხე-დარბაზის საცხოვრებელი კოშკის დასავლეთით მიმდებარე მოზღუდული ტერიტორია საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების მქონე ეზოს წარმოადგენდა. მის კედლებში დაყოლებულია სამხერები. ჩრდილოეთ კედელზე ჩარიგებულია კედლიდან შვერილი ქვის კონსოლები, ხოლო სამხრეთით, კედლის სისქის შემცირებით, საფეხურია შექმნილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი შიდა გალავანზე მიკრული ნაგებობების გადახურვის დასაყრდნობად იყო გამოყენებული, რომელთა თავზე საბრძოლო ბილიკი იქნებოდა მოწყობილი.

ნაგებობის შედარებით ადვილად მისადგომი მხარე გალავნის მეორე ხაზითაა გამაგრებული. ხეობის გასაკონტროლებლად სამხრეთ კედელზე სამხერებია ჩაყოლებული.

ციხე-დარბაზის ეკლესია დარბაზული ტიპისაა. შემონახულია მისი მთლიანი მოცულობის დაახლოებით 30 პროცენტი. ნაგებობა ხელოვნურად შექმნილ სუბსტრუქციაზე დგას. შესასვლელი დასავლეთიდანაა.

ინტერიერში, სამხრეთ კედელზე შერჩენილია სარკმლის ღიობის ქვედა ნაწილი, ამავე კედელზეა ერთსაფეხურიანი პილასტრი, რომელიც სრულდება თაროსა და ჩაკვეთილი სიბრტყის მქონე კაპიტელით.

ნანგრევებს შორის შეინიშნება ღვინისფერი ქვისაგან გამოთლილი კარნიზის ქვა. იგი ლილვითა და თაროთი დასრულებულ მაღალ ფოსოს წარმოადგენს.

ფიზიკური მდგომარეობა

საკირის ციხე-დარბაზი, საქართველოში არსებულ სხვა მსგავსი ძეგლებთან შედარებით, სრულადაა შემონახული (კედლების სიმაღლე ზოგიერთ მონაკვეთზე 10 მეტრამდე აღწევს), მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით იგი ძალზე ცუდ მდგომარეობაშია. შენობის ზოგი მონაკვეთი კი მწვავედ ავარიულია.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა ქვედა გალავნის შესასვლელთან, რომლის თავზე გადაყვანილი თალი ყოველ წუთში შეიძლება ჩამოიქცეს. ნაგებობის მთელ პერიმეტრზე მორყეულია კედლის წყობის ზედა ნაწილები და არსებობს მათი ჩამოცვენის შესაძლებლობა;

ძეგლის შიგნით, განსაკუთრებით ქვედა გალავნის ტერიტორიაზე, ამაღლებულია მიწის დონე. საცხოვრებელი კოშკში და ციხე-დარბაზის ეზოში ხეებია ამოსული.

მძიმე მდგომარეობაშია კარის ეკლესიაც. მისი შემორჩენილი კედლები არასრული სიმაღლით დგას; აღარ არსებობს გადახურვა; შენობის ყველა ღიობი გარღვეულია; ინტერიერი ნანგრევებითაა ამოვსებული. ფასადების დიდ ნაწილზე შემოცლილია საპირე წყობა.

ზოგადი თარიღი და მნიშვნელობა

საკირის ციხე-დარბაზის აგების თარიღი არ არის დაზუსტებული. ცნობები მის შესახებ არ არსებობს საისტორიო წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში.

არქიტექტურული კომპლექსის აგების დროზე ყველაზე უფრო მეტად მისი შემადგენელი ერთ-ერთი ნაგებობა – კარის ეკლესია მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ მისი კედლის წყობის ხასიათი და კარნიზის ფორმა XIII საუკუნეზე ადრინდელ პერიოდს არ გვაფიქრებინებს.

საკირის ციხე-დარბაზი XVII საუკუნის საისტორიო წყაროებში მოიხსენიება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას გვიან შუა საუკუნეებშიც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. შენობას ეტყობა განახლების კვალი, თუმცა ძირეული გადაკეთება არ ჩანს.

საკირის ციხე-დარბაზის მნიშვნელობა მრავალპლანიანია:

- არქიტექტურული კომპლექსი ჰარმონიულად აგვირგვინებს ორი მდინარის შესართავთან ამოზიდულ კონცხს და მთლიანობაში, ბუნებისა და ადამიანის ხელით შექმნილ ლანდშაფტურ ძეგლს წარმოადგენს;
- ძეგლი გამოირჩევა მხატვრული აღდგომა, შესრულების ოსტატობით, ინდივიდუალობით და მაღალი სამშენებლო ხელოვნებით;
- საკირის ციხე-დარბაზი მნიშვნელოვანი ისტორიული მეხსიერების;
- შემცველი ძეგლია. იგი ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოში – ისივე, როგორც შუა საუკუნეების ევროპაში – ფეოდალის ციხე-დარბაზი და მასზე დამოკიდებული ტერიტორია წარმოადგენდა გარკვეულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ერთეულს, რომელიც აქტიურ როლს თამაშობდა ქვეყნის ცხოვრებაში;
- საკირის ციხე-დარბაზს გვიან შუა საუკუნეებშიც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, რაზეც მეტყველებს მისი მოხსენიება XVII საუკუნის საისტორიო საბუთებში.

რეკომენდაციები დაცვითი ღონისძიებებისათვის

III ფაზის ფარგლებში შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები: აღწერა, ტოპოგრაფიული ფიქსაცია, ფოტოდოკუმენტაცია; დამუშავდა გენგეგმა და გრაფიკული მასალა არქიტექტურული ნახაზების შესრულებით, კომპლექსის გავრცელების საზღვრების დადგენა რუკაზე დასმით და ფიზიკური მდგომარეობის შეფასება.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი გაივლის ციხე-დარბაზის სამხრეთით. მილსადენის დერეფანიდან ციხე-დარბაზი მდებარეობს 200 მეტრში, ხოლო მონასტერი დაცილებულია 50 მეტრით.

ველზე მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგად რეკომენდირებულია შემდეგი სახის დაცვითი ღონისძიებები:

- საკირის ციხე-დარბაზის კომპლექსის მხატვრულ-არქიტექტურული და ისტორიული მნიშვნელობის, მისი უაღრესად მძიმე ფიზიკური მდგომარეობის და გარკვეული კედლის მასივების ჩამოქცევის საშიშროების გამო, აუცილებელია ძეგლზე განხორციელდეს გადაუდებელი გამაგრებითი-საკონსერვაციო სამუშაოთა კომპლექსი.
- გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ციხე-დარბაზი გეგმარებითა და მასშტაბით არის ერთად-ერთი შედარებით სრული მოცულობით შემონახული საფორტიფიკაციო ნაგებობა ბ-თ-ჯ მილსადენის უშუალო სიახლოვეს.
- გამაგრებითი-საკონსერვაციო სამუშაოთა ჩატარების გარეშე, მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გარდაუვალია სერიოზული დანაკარგები, რაც მნიშვნელოვანი და აუნაზადაურებელი დანაკლისი იქნება ქართული საფორტიფიკაციო არქიტექტურის ისტორიისა და ზოგადად საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისათვის.
- აღდგენითი სამუშაოების დაწყებამდე სათანადო ბარიერებით და გამაფრთხილებელი ნიშნებით უნდა შეიზღუდოს ადამიანთა მოძრაობა ძეგლის ავარიულ და საშიშ მონაკვეთებთან.

წმ. გიორგის ეკლესია (“მიწის საყდარი”) და ნამონასტრალი

წმინდა გიორგის ეკლესია და მონასტრის ნანგრევები ტერასულადაა განლაგებული საკირის ციხე-დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, მისგან 100-150 მეტრის დაშორებით.

ეკლესია სანახევროდ მიწითაა დაფარული, რის გამოც მოსახლეობა მას “მიწის საყდარს” უწოდებს. შემონახულია ნაგებობის მთლიანი მოცულობის დაახლოებით 20 პროცენტი, ხოლო მონასტრის სათავსები მხოლოდ გეგმის დონეზე, ან მცირე სიმაღლითაა შემორჩენილი.

ეკლესიისათვის სამშენებლო მასალად გამოყენებულია უხეშად დამუშავებული მოზრდილი კვადრები. მხოლოდ მხატვრული და კონსტრუქციული თვალსაზრისით საპასუხსაგებო ადგილებია ინტერიერში ნაწყოები თლილი ქვით, რაც კარგად ჩანს ჩრდილოეთი ეკლესიის მაგალითზე, სადაც კონქი, მისი თაღი და სარკმლის ღიობი თლილი ქვითაა ამოყვანილი. კამარა გადაყვანილია ვერტიკალურად დალაგებული ფლეთილი ქვით, კირის სქელ სსნარზე.

სამონასტრო შენობები ნაგებია მშრალი წყობით, მოზრდილი, დაუმუშავებელი ღოდებით. ზოგიერთი სათავსი, რომელიც სურსათის მარაგის შესანახად იყო განკუთვნილი, ქვითკირითაა ამოყვანილი.

ზედაპირული გაწმენდის შედეგები

ნაგებობის ცენტრალურ ნაწილის ინტერიერში გაიწმინდა აფსიდის მოხაზულობის ქვედა რიგები. ნაყარი მიწა აღებული იქნა 120 სმ. სიღრმეზე. აქ არის ნაშალი და ნანგრევი ფენა, რომელიც შეიცავს კირსსნარისა და ბუტის ქვებს. აგრეთვე – XX საუკუნის ტრაპეზის ნანგრევებს.

ეკლესიის ცენტრალური ნაწილის აფსიდის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კარგად გამოჩნდა წყობის სამი რიგი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში საპირე ქვები თითქმის არ არის შემორჩენილი. უფრო ღრმად, იატაკის დონის დასაფიქსირებლად, დადრმავება არ გაგრძელდა.

ძალიან ფრთხილი წმენდის შედეგად გამოვლინდა სამხრეთი ეკლესიის აფსიდის მოხაზულობა. მის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან დგას იფნის ხე, რომლის ფესვებმა ძლიერ დააზიანა ეკლესიის ეს მონაკვეთი. შესაბამისად, მორყეულია საპირე ქვებიც.

ნაგებობის კედლების ავარიულობის გამო საფასადო მხარეს არავითარი გაწმენდითი სამუშაო არ შესრულებულა. გამოვლინდა მხოლოდ ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ქვედა რიგი და ცოკოლი. აღებული იქნა ნაყარი მიწა 80 სმ. სიღრმეზე.

სამხრეთი ეკლესიის ტერიტორია მთლიანად დაფარებულია და შეინიშნება ნაგებობის სამხრეთი კედლიდან ჩაცურებული ქვების რიგი. ეკლესიის მთლიანი გაბარიტებისა და მიმდებარე ტერიტორიის საფუძვლიანი არქეოლოგიური გათხრების გარეშე სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია.

გარდა აღნიშნული სამუშაოსი დაიჭრა ნაგებობის ჩრდილოეთი ნაწილის თავზე ამოსული ხეები და ბუჩქნარი, ასევე – ცენტრალური ნაწილის აღმოსავლეთ კედელზე ამოსული ხეები.

ხუროთმოძღვრული ტიპი და გეგმის კომპოზიცია

წმინდა გიორგის ეკლესია (“მიწის საყდარი”) წარმოადგენს - საქართველოში კარგად ცნობილ, მაგრამ მის ფარგლებს გარეთ იშვიათი ხუროთმოძღვრული ტიპის - სამეკლესიოანი ბაზილიკის ნიმუშს.

ეს არის სამ რიგად დალაგებული კედლებით გამოყოფილი არატოლ-ფასოვანი ნაგებობა (ეკლესია), რომელსაც დასავლეთიდან აკრავს ნართექსი. სამივე ეკლესია აღმოსავლეთით დასრულებულია აფსიდებით.

როგორც ამგვარი ნაგებობებისთვისაა დამახასიათებელი, ცენტრალური ნაწილი გაცილებით უფრო განიერი და მაღალია გვერდით ეკლესიებზე.

წმინდა გიორგის ეკლესიის გეგმა ფრაგმენტულადაა შემონახული, თუმცა მისი ძირითადი მახასიათებლების დადგენა რთული არ არის. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ჩვენი ექსპედიციის მიერ ჩატარებული ზედაპირული გაწმენდის შედეგად დაზუსტდა შენობის სახასიათო დეტალები.

როგორც გაირკვა, ცენტრალური ეკლესია აღმოსავლეთით სრულდება ნალისებრი აფსიდით, რაც ნაგებობის აქამდე მიღებულ სავარაუდო თარიღს ნახევარი საუკუნით მაინც წევს უკან. ნაცვლად სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებული X საუკუნის შუა ხანებისა, შენობის თარიღი, ალბათ, არ უნდა გასცდეს IX – X სს. მიჯნას.

სამეკლესიოანი ბაზილიკის ჩრდილოეთის – თითქმის მთლიანად მიწაში ჩაფლულ ეკლესიას შერჩენილი აქვს ნახევარწრიული მოხაზულობის კამარა და სარკმელი აღმოსავლეთ მხარეს.

ცენტრალურ სივრცესთან კარით დაკავშირებული, ორ ნაწილად გაყოფილი ჩრდილოეთი ეკლესია აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული, ხოლო დასავლეთით თაღითაა გახსნილი ნართექსის მხარეს.

სამხრეთი ეკლესიის ვიწრო სივრცე აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით სრულდებოდა (შერჩენილია მცირე ნაწილი).

სავარაუდოა, რომ ეკლესიას შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჩატრილი შურფის საშუალებით, ჩვენმა ექსპედიციამ გამოავლინა ნაგებობის ერთსაფეხურიანი ცოკოლი.

ეკლესიის სამხრეთით არსებული, დიდი ღოდებით (50-100სმ.), უხსნაროდ ნაგები სათავსები სამონასტრო ნაგებობებს წარმოადგენდა. ზოგიერთი მათგანის კედლის სისქე 130–150 სმ აღწევს. ზედაპირულმა გაწმენდამ გამოავლინა წრიული მოხაზულობის, 70 სმ სიმაღლის ქვითკირით ამოშენებული სათავსი, რომელიც, ალბათ, სურსათის შესანახ სათავსს წარმოადგენდა.

ეკლესიის შიდა სივრცე

მიუხედავად ნაგებობის ფრაგმენტულობისა, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მის შიდა სივრცეზე. როგორც ჩანს, ცენტრალური ეკლესიის აზიდულ, ერთიან და მონუმენტურ სივრცეს უპირისპირდებოდა გვერდითი ეკლესიების შედარებით კამერული ხასიათი, ხოლო ნართექსი – იზოლირებულ, დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა.

შიდა სივრცის გაფორმებაში ძირითადი მხატვრული ზემოქმედების ძალას წარმოადგენდა სადა, დაუნაწევრებელი, მონუმენტური კედლის სიბრტყე.

მოგვიანებით ეკლესია შესაძლოა მოხატეს, რაზეც მეტყველებს შერჩენილი ნაღესობის ფრაგმენტები ჩრდილოეთ ეკლესიაში.

მნიშვნელობა

წმინდა გიორგის ეკლესია იშვიათი ხუროთმოძღვრული ტიპის, სამეკლესიოანი ბაზილიკის საინტერესო ნიმუშია. ამ არქიტექტურულმა ტიპმა, რომელმაც თავისი განვითარება ჯერ კიდევ VI-VII სს. დაასრულა, შემდგომშიც განაგრძო არსებობა მეტად თავისებური ნიმუშების სახით. მათ შორისაა წმ. გიორგის ეკლესია.

საინტერესოა, აგრეთვე, რომ ამ სამონასტრო ეკლესიის მშენებლობას უკავშირებენ IX საუკუნის ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწის, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებს.

ფიზიკური მდგომარეობა

წმ. გიორგის ეკლესიამ ჩვენამდე ძალზე ფრაგმენტულად მოაღწია. რაც არის შემონახული, ისიც ძალზე ცუდ მდგომარეობაშია.

სამეკლესიოანი ბაზილიკიდან მხოლოდ ჩრდილოეთის მიწაში ჩაფლული ეკლესიაა კამარიანად შერჩენილი; ცენტრალური ეკლესიის დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლების ფრაგმენტები 3-5 მეტრის სიმაღლეზე დგას; სამხრეთი ეკლესიიდან მხოლოდ აფსიდის მცირე ნაწილი იკითხება; ნართექსიდან შერჩენილია კამარის საწყისი და დასავლეთი კედლის ნაწილი თალითურთ; ნაგებობას მთლიანად შემოცდილი აქვს საპირე წყობა; შენობის კედლებზე ხეებია ამოსული და მათ ფესვებში ეკლესიის ქვებია გახლართული; არ არის შემონახული არც ერთი ღიობი, გარდა ჩრდილოეთი ეკლესიის სარკმლისა; ნართექსის კამარა დეფორმირებულია.

სამონასტრო შენობები დანგრეულია. ისინი მიწითა და მცენარეულობითაა დაფარული. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ გეგმის დონეზეა შემორჩენილი, ან მცირე სიმაღლით დგას.

რეკომენდაცია დაცვითი ღონისძიებებისათვის

III ფაზის ფარგლებში შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები: ეკლესიისა და სამონასტრო ნაგებობათა ნაშთების აღწერა, ფოტოდოკუმენტაცია, გრაფიკული ანაზომები, ფიზიკური მდგომარეობის შეფასება.

წმ. გიორგის სახელობის ეკლესია დაცვილებულია მილსადენიდან 50 მეტრით, ხოლო სამონასტრო ეგზენზა მილსადენს.

ველზე მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგად რეკომენდირებულია შემდეგი სახის დაცვითი ღონისძიებები:

- სათანადო ბარიერებით და პირობითი ნიშნებით უნდა მოინიშნოს ეკლესია და სამონასტრო ნაგებობათა ნაშთების გავრცელების საზღვრები.
- მშენებლობა წარიმართოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ზედამხედველობით.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი, თბ., 1985
2. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981, ტექსტი დაადგინა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა
3. დ. ხოშტარია, X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის-საკირის
4. მიდამოებში, მაცნე № 3 (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის), თბ., 1986, გვ., 135-155

ბრავიკული მასალა

ციხე-დარბაზის კომპლექსი,

1. გენგემა

საკირის ციხე-დარბაზი

2. გეგმა

3. ჭრილი 1-1, ხედი დასავლეთისკენ

4. ჭრილი 2-2, ჭრილი 3-3,

5. ჭრილი 4-4, ჭრილი 5-5

6. გალავნის კედელი, ხედი სამხრეთიდან,
ხედი დასავლეთიდან და ხედი აღმოსავლეთიდან

7. გალავნის კედელი, ხედი ჩრდილოეთიდან

საკირის ციხე-დარბაზი, კოშკი

8. გეგმები -0.50 და +1.50 ნიშნულზე

9. ჭრილი 1-1, ჭრილი 2-2

10. ჭრილი 3-3, ჭრილი 4-4

11. დასავლეთის ფასადი

საკირის ციხე-დარბაზი, ეკლესია

12. გეგმა, ჭრილი 1-1

13. ჭრილი 2-2, ჭრილი 3-3

14. დასავლეთის ფასადი, სამხრეთის ფასადი


წმ. გიორგის ეკლესია (“მიწის საყდარი”)


15. გეგმა


16. ჭრილი 1-1, ჭრილი 2-2,

სათავესი “მიწის საყდარი”-ს სამხრეთით


17. გეგმა, ჭრილი 1-1, ხედი სამხრეთიდან







სამხრეთ-აღმოსავლეთი
პროექტი 2-2, ხედი ჩრდილოეთიდან, 1:100




პროექტი 3-3, ხედი სამხრეთიდან, 1:100



ფელა 19, კ. 199

საპირის ციხე-დარბაზი

პროექტი 4-4, ხედი სამხრეთიდან შ.1:1.50




პროექტი 5-5, ხედი ჩრდილოეთიდან შ.1:1.50




საპირის ციხე-გორაკი
მეგლი, IV, კ. 199


გაღანიის ქვეყლა, სპი სახეობა, კ. 199



ფეო 19. კ. 199
საპირის ცხე-ღარგაზი
გალავნის კედელი, სიმახრე-მედიტორიან 8.1:100




საკმრის ციხე-დარბაზი, კოშკი
ბეგლი 19, კვ-199





ბეგლო 19, კ. 199

საკმრთის ციხე-დარბაზი, კოშკი

პროექტი 2-2, ხედი დასავლეთიდან მ. 1:50




პროექტი 1-1, ხედი ჩრდილოეთიდან მ. 1:50



0 - 6.5

ბგლი 19, კა-100
საპირის ციხე-დარბაზი, კოშკი


პროექტი 4-4, ხედი სამხრეთისაკენ შ-1-50



შ-1-50




პროექტი 3-3, ხედი აღმოსავლეთისაკენ შ-1-50



ბეგლი 19, კვ-199

საპირის ციხე-დარბაზი


პოვში, ღასაკლეციის ვასალი მ-1:50



ბეგლო 19, 1999

საპირის ციხე-სიმახე, ეკლესია

პირი 1-1, სიმახე ჩრდილო-აღმოსავლეთი




ბეგლი 19. კვ. 199

საპირის ციხე-დარბაზი, ეკლესია


პირილი 2-2, ხედი აღმოსავლეთიდან 3-1-25

პირილი 3-3, ხედი სამხრეთიდან 3-1-25




საკმირის ციხე-დარბაზი, პეკლსია
ბეგლო 19, კა-199

დარბაზის ფასადი მ-1:25





სამხრეთის ფასადი მ-1:25



ბეგლი 19. კა-199

საპირის ციხე-დარბაზის მიდამოები,
წმ. გიორგის ეკლესია ("მიწის საყდარი")


ბ ბ ბ ბ ა მ-1:50



დებელი 19. კ. 1999



სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით,
წმ. გიორგის ეკლესია ("გიორგის საყდრე")

პროექტი 1-1, სკალი 1:50




სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით
სკალი 1:50

პროექტი 2-2, სკალი 1:50



ხედი სამხრეთიდან




ძეგლი 19, კვ.-199

საპირის ციხე-დარბაზის მიღებოვანი, 22
სათავეს "მიწის საყრდენი"-ს სამხრეთით


მზის
ზოილი 1-1
ხედი სამხრეთიდან

/ მ. მ. მ. სეფიძე 1992 წ. /


ბეჭედი



ფანგ 1-1



ტოპოგრაფიული რუკა





საკირის ციხე-დარბაზი, საერთო ხედი სამხრეთი-დასავლეთიდან



გალავნის ფრაგმენტები გარედან



გალავნის ფრაგმენტები გარედან



საკირის ციხე-დარბაზის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი



აგარიული ფრაგმენტი ღიობთან



შიდა გალავნის შესასვლელი
შიგნიდან



კოშკი, ხედი სამხრეთიდან



საცხოვრებელი კოშკის შესასვლელი



კარის ეკლესია, დას. ფასადი



კარის ეკლესია, ინტერიერი

ნამოსახლარი საკირის ციხის მიდამოებში

აღბილმდებარეობა	253
მიმართება მილსაღენთან	253
მოკლე აღწერა.	253
ღაცვითი რეკომენდაციები	253
გავრცელების საზღვრები რუკაზე	254
ბრაფიკული მასალა	255
ფოტომასალა.	257

ნამოსახლარი საკირის ციხის მიდამოებში

(განვ. შუა საუკუნეები)



აღბილმდებარეობა:

ისტორიული მხარე - თორი

რაიონი - ბორჯომი

სოფელი - საკირე

